

ოთარ გიორგაძე

# დიდაქტიკა

(სწავლებლის თეორია)

ლექციების კურსი



ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“  
ბათუმი – 1998

ოთარ გიორგაძე ორიგინალური პედაგოგიური აზროვნების პედაგოგია, ამაში მკითხველს დავერწმუნება, როდესაც წინამდებარე ლექციების კურსს წაიკითხავს. წიგნი დააქტივებს გრადიციული საკითხები საინტერესო შეხედულებებსა და კონცეფციების ფონზე განხილული და გაჯერებულია ავტორისეული მისაზრებებით.

ოთარ გიორგაძე პედაგოგიური საქმიანობის რთული და ხანგრძლივი გზა ვახელს დაწყებითი სკოლის რიგითი მასწავლებლიდან უნივერსიტეტის კათედრის გამგემდე. ეს მდიდარი გამოცდილება ჩაისწინამდებარე წიგნში.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მაგრამ იგი კარგ სამსახურს გაუწევს განათლების მუშაკებსაც. რადგან სწავლების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებთან ერთად მოცემულია სხვადასხვა დროის კონკრეტული მოსაზრებანი, კანონმდებლობის საკითხები და „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის“ ძირითადი სახელმძღვანელო დებულებანი, დასახელებულია ლიტერატურა, რომლითაც სტუდენტებს და განათლების დარგის ყველა მუშაკს შეუძლია ისარკებლოს ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას.



## ნოდარ ბარამიძე

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე.

რამ განაბირობა ამ წიგნის გამოცემის აუცილებლობა?

პირველ რიგში, ამის მიზეზია პედაგოგიკური ლიტერატურისა და პედაგოგიკის სახელმძღვანელოების სიმცირე.

მეორე, რაჰაც გვიბიძგა ღეჰქციების კურსის გამოცემისაკენ, არის სახელმძღვანელოების სიმცელე (მხედველობაში არ გვაქვს. ა. გობრონიძის, ვ. გაგუას, ზ. ცუცქირიძისა და სხვათა უახლესი სახელმძღვანელოები) და ძველ სახელმძღვანელოებში მოცემული ზოგიერთი დებულების დრომოქმელობა, ყველაფერი იცვლება, საქართველო ცივილიზებული სამყაროში თავის ღირსეულ ადგილს იქერს, იცვლება და სრულყოფის, რეფორმის გზას ადგას მისი განათლების სისტემა. ბუნებრივია, რომ იცვლება განათლებისა და სწავლების არსი, შინაარსი, ფორმები და მეთოდები. ჩვენი სტუდენტები პედაგოგიკის იმ სახელმძღვანელოებით სარგებლობენ, რომლებიც მათ დაბადებამდე ღიდი ხნით ადრეა გამოცემული.

ღღეს სწავლებისა და აღზრდის სფეროში სხვა ორიენტირებია, ხდება ფასეულობათა გადაფასება, ბევრი ადრეული პედაგოგიური მოსაზრება თუ პედაგოგიკური დებულება ახლებურ მიდგომას, ახლებურად გააზრებას მოითხოვს, რამეთუ საბჭოთა განათლების სისტემისა და საბჭოთა სკოლის მრავალი საკანონმდებლო თუ მეცნიერული საფუძველი ღღეისათვის, ქართული ეროვნული განათლების სისტემისა და სკოლის ფორმირების პროცესში გადასინჯვას, გადახადისებასა და ღღეუანდებლობისადმი მისადაგებას მოითხოვს, საჭიროა სიახლეთა ვათვადლისწინება.

მკითხველს, სტუდენტს, ყველა იმას, ვინც ზელში აიღებს და გადაფურცლავს ამ წიგნს, ნუ იჩქარებს და ნუ იფიქრებს. რომ ჩვენ ასეთ ღიდ საქმეს შევეჭიდეთ. ჩვენი მიზანი ერთია: სტუდენტებს მივაწოდოთ ის მასალა, რაც მათი პროფესიული მომზადებისათვისაა აუცილებელი და საჭირო, ხოლო თუ იგი პრაქტიკოს მასწავლებლებსაც დაეხმარება - თავს ბედნიერად ჩავთვლით.

მკითხველი ნურც იმას იფიქრებს, რომ დიდაქტიკაში რაიმე ახალი აღმოჩენის პრეტენზია გვექონდეს, თუმცა, ზოგიერთ საკითხს ახლებურად ვაშუქებთ. ლექციების კურსი შემუშავებულია პედაგოგიურ ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებში არსებული მოსაზრებების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების, პრაქტიკოს მასწავლებელთა შეხედულებებისა და ჩვენი მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის პროცესში აპრობირებული თეორიული დებულებების შეჯერების გზით.

მკითხველი ნურც იმისათვის შეგვრისხავს, თუ არ გაიზიარებს ჩვენს ზოგიერთ მოსაზრებას თუ შეხედულებას.

ყოველივე ამან განაპირობა წინამდებარე წიგნის რამდენადმე უჩვეულო ფორმა. იგი, ბირველ რიგში, განსაზღვრულია პედაგოგიური ფაქულტეტებისა და პედაგოგიურ სპეციალობათა სტუდენტებისათვის. ამიტომ, ყოველი თავის დასაწყისში მასში შემავალ საკითხებთან ერთად მოცემულია შესაბამისი ლიტერატურაც იმ გვერდების მითითებით, სადაც ეს საკითხებია ასახული. თითოეული საკითხის გადმოცემისას ჩვენ ვიძლევიტ სხვადასხვა ლიტერატურაში არსებულ გამოჩენილ პედაგოგთა მოსაზრებებს და იმის მიუხედავად, ვეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებებს, სტუდენტებს საშუალებას ვაძლევეტ კრიტიკულად გაიაზრონ ყოველი მათგანი და აირჩიონ მათთვის მისაღები, მათი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შესატყვისი ვარიანტი.

ეს მათ საშუალებას მისცემტ უფრო სიღრმისეულად გაიაზრონ, გაიცნობიერონ და შეისწავლონ სწავლების თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ფუძემდებლური საკითხები.

თეორიული მასალის თვალსაჩინო აღქმის მიზნით წიგნში შევიტანეთ რამდენიმე სქემა და ილუსტრაცია.

ამასთანავე, ავტორი მოხარული იქნება ყველა შენიშვნისა და დიდ პატივად მიიჩნევს ყველა დადებითსა თუ უარყოფით გამომხაურებას წიგნისადმი.



## შესავალი

### სახელმწიფო კანონმდებლობა განათლების შესახებ

სახელმწიფო აცხადებს განათლების სფეროს პრიორიტეტულობას და ამის საფუძველზე წარმართავს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას.

საქართველოს კანონი  
განათლების შესახებ

ამ პოლიტიკის საკანონმდებლო საფუძვლების ცოდნა აუცილებელია განათლების სფეროს ყველა მუშაკისათვის.

სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ა) ქვეყანაში საგანმანათლებლო სიმრავის ერთმანებობა. რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე არსებობს განათლების ერთიანი სისტემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების მიხედვით.

ბ) სწავლების და აღზრდის კუბანისტური ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრში დგას ადამიანი, მთელი მისი მშვენიერებით, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებით, ინტერესებითა და მისწრაფებებით, საჭიროებითა და შესაძლებლობებით. სწორედ მისი განვითარებისა და სრულყოფისათვის, მისი მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვისაა მოწოდებული მთელი საგანმანათლებლო სისტემა.

გ) სწავლებისა და აღზრდის ერთმანებობა. ეს საგანმანათლებლო საქმიანობის ყველაზე გრადიციული პრინციპია, რადგან სწავლება, როგორც ადამიანის განათლების, ხოლო აღზრდა, როგორც მისი ფორმირების საშუალება, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული, ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესებია და საბოლოოდ მის პარმონიულ განვითარება-სრულყოფას ემსახურება.

დ) სულიერი და ჟიგიკური აღზრდის პარმონიულობა. ჯანსაღი ადამიანის, პარმონიული პიროვნების ცნების ქვეშ სწორედ პი-

როვნების მრავალმხრივი განვითარება იგულისხმება. სულიერი და ფიზიკური ძალების პარმონია, ვონებრივი, მწეობრივი, ესთეტიკური განვითარებისა და ფიზიკური სრულყოფის პარმონიული ურთიერთმერწყმა არის ადამიანის ის იდეალი, რასაც უნდა ემსახურობოდეს ჩვენი ქვეყნის მთელი საგანმანათლებლო საქმიანობა.

ბ) ზოგადსააკადემიური, პროფესულ-კულტურულ ღირებულებათა და საგანმანათლებლო ტრადიციათა აღიარება და პატივისცემა. ამ პრინციპში უნდა ვიგულისხმოდ, რომ არც ერთი ქვეყნის განათლების სისტემა არ შეიძლება არსებობდეს იზოლირებულად, მან უნდა შეითვისოს და გამოიყენოს ზოგადსაკაცობრიო მეცნიერულ-კულტურული და სოციალისტორიული ღირებულებანი, დაემყაროს ეროვნულ და მსოფლიო პროგრესულ საგანმანათლებლო ტრადიციებს. საქართველოს, ქვეყანას, რომელსაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ქქონდა ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, როგორცაა გელათისა და იყალთოს აკადემიები და რომლის რენესანსმა თითქმის ორი საუკუნით დაასწრო დასავლეთ ევროპულ აღორძინებას, ასეთი ტრადიციები მრავლად გააჩნია.

ბ) განათლების მემკვიდრული ხასიათი. საერო განათლების სფერო, რომელსაც მოიცავს საქართველოს კანონი განათლების შესახებ, ყოველ საგანმანათლებლო საფეხურზე ემყარება მეცნიერულობის პრინციპს. ეს კი ნიშნავს, რომ საშუალო განათლების ორივე საფეხურზე განათლების შინაარსს წარმოადგენს მეცნიერებათა საფუძვლები, რომლებიც აქ სასწავლო დისციპლინების სახითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება უმაღლესი განათლების საფეხურს, იგი მთლიანად მოწოდებულია იმ მეცნიერებათა დაუფლებისათვის, რაც დაკავშირებულია ადამიანის პროფესიულ მომზადებასთან. ამასთანავე, განათლების პროცესი აგებული უნდა იყოს პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და სხვა მეცნიერებათა საამისო ფუძემდებლურ დებულებათა საფუძველზე. ამ თვალსაზრისით განათლების სისტემა და პროცესი უნდა ემყარებოდეს იმ მეცნიერულ საფუძვლებს, რომლებიც წარმოადგენენ ამ სისტემისა და პროცესის მეთოდოლოგიას, თეორიასა და პრაქტიკას.

8) განათლების ეტაპობრიობა, უწყვეტობა და მიმკვიდრისობა. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სწავლება და განათლება, როგორც პროცესი, მოსწავლე ახალგაზრდობის ასაკის, განათლების შინაარსის რეალიზაციისა და მიღწეული დონის კვალობაზე ხორციელდება ეტაპობრივად, განათლების სისტემის საფეხურების მიხედვით უწყვეტად, იმ ვარაუდით, რომ შემკვიდრობითობის თვალსაზრისით, მომდევნო საფეხური წარმოადგენს წინა ეტაპის გაგრძელებას და მოსამზადებელ ეტაპს მომდევნო, უფრო მაღალი საფეხურისათვის. შემკვიდრობითობა აქ იმაშიც ელინდება, რომ ყოველი სასწავლო დისციპლინის სასწავლო მასალა წარმოადგენს ამ დარგის ცოდნათა ერთიან სისტემას, რომლის ყოველი კომპონენტი, თემა არის უკვე შესწავლილის გაღრმავება-გაფართოება-განვითარება და საფუძველი მომდევნო მასალის, თემის შესწავლისათვის.

ამ პრინციპის სრულ გამოყვანილებას წარმოადგენს საქართველოს განათლების სტრუქტურული აგებულება, რომელიც ასე გამოიყურება:

პირველი საშეხური - სკოლაშდელი აღზრდის საფეხური. საბავშვო ბავშვთა (ბავშვთა) 6 წლამდე ბავშვებისათვის.

მეორე საშეხური - საბავშვო განათლება. იგი ორი ეტაპისაგან შედგება: ელემენტარული (დაწყებითი) სკოლა, ამჟამად პირველი-მეოთხე, მომავალში - პირველი-მეექვსე კლასები 6-11 წლის ასაკის მოზარდებისათვის. მეორე ეტაპი - ძირითადი სკოლა, შემეიდღე-მეცხრე კლასები. 12-14 წლის ასაკის მოზარდებისათვის.

განათლების სისტემის ეს მეორე საფეხური საბავშვო განათლების საფეხურადაა მიჩნეული.

მესამე საშეხური - საშუალო განათლების საფეხური. მესამე-მეთორმეტე კლასები, 15-17 წლის ასაკის ახალგაზრდებისათვის. განათლების ეს საფეხური მრავალფეროვან სასწავლო დაწესებულებებს მოიცავს. ესენია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საშუალო სკოლა, გიმნაზია, ლიცეუმი, პროფესიული და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლები, კოლეჯი.

მეოთხე საშეხური - ესაა უმაღლესი განათლების საფეხური. იგი მოიცავს ორ ეტაპს: ბაკალავრის მომზადების ეტაპს, სწავლების 4-5 წლიანი ვადით და მაგისტრის მომზადების ეტაპს, რომელიც წარმოადგენს ბაკალავრიატის გაგრძელებას და სწავლების ორწლიანი ვადით განისაზღვრება. ამ საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებია უნივერსიტეტები და მათთან გათანაბრებული დაწესებულებები - ინსტიტუტები.

მეხუთე საშეხური - ეს განათლების სისტემის ბოლო საფეხურია, მას უმაღლესის შემდგომი საფეხური ეწოდება და იგი მოწოდებულია უმაღლესი სამეცნიერო-კვლევითი კვალიფიკაციის მქონე კადრებისა და სპეციალისტთა მომზადებისათვის. ამ საფეხურის დაწესებულებებია: ასპირანტურა, მაძიებლობა, უმაღლესი კურსები (აკადემიები).

განათლების სისტემის ეს სტრუქტურა იმგვარადაა აგებული, რომ მისი ყოველი საფეხური ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ყოველი მომდევნო გამომდინარეობს წინა საფეხურიდან და სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ წინა საფეხურის დასრულების შემდეგ ყოველი მათგანის განათლების შინაარსი ასევე ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს. სწორედ ეს ქმნის მემკვიდრეობითობის სისტემას და მთელი განათლების სისტემა წარმოგვიდგება როგორც ერთი მთლიანი სტრუქტურა, რომლის ყველა ეტაპი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მრავალსახეობა და მათი აპრონოზირება მოქმედი კანონმდებლობის შარბლებში. ამ პრინციპიდან გამომდინარე, როგორც წინა პრინციპის განხილვისას ვნახეთ, განათლების სისტემის ყოველი საფეხური მოიცავს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებას... უკვე ნათქვამს დავემატებთ, რომ განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის“ მიხედვით ჩამოთვლილი დაწესებულებების გარდა განათლების სისტემა, აგრეთვე, მოიცავს არაგაიპურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა თავისი საგანმანათლებლო სტანდარტით შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ტიპის სასწავლებლებს, თუმცა კქონდეს სასწავლო პროცესის საკუთარი მეთოდიკა. სხვები, დასაშვებია, არ ისახავდნენ მიზნად სტანდარტთან შესაბამისობის დამყარებას და სპეციალური

ფუნქციებით შემოიფარგლებოდნენ. ამგვარი დაწესებულებების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. მათგან შესაძლებელია ზოგიერთის დასახელება:

ს ა ბ ა მ შ მ ო ს ა ხ ლ ე ბ ი - ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებისათვის ფუნქციონირებს საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები, სადაც შექმნილია ყველა პირობა მათი სწავლების, აღზრდისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსამზადებლად (25), სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

შ ი შ ი კ უ რ ი ლ ა ბ ო ნ ე ბ რ ი ე ი ნ ა კ ლ ი ს მ ქ ო ნ ე ბ ა ე მ შ მ თ ა ს ა ე მ ი ა ლ უ რ ი ს ა ს ნ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი - წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღდგენით დაწესებულებებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან განახორციელონ ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა სწავლება და აღზრდა სპეციალური პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და მეთოდის საშუალებით, პროფესიულ-შრომითი სწავლება გამიზნულია ხელმისაწვდომ სპეციალობათა დაუფლებისათვის. ამ ტიპის დაწესებულებები, შესაძლოა, უკვე სკოლაშემდეგი აღზრდის საფეხურზე არსებობდეს და ისინი სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებოდეს (25).

ს ა ე მ ი ა ლ ი შ ე ბ უ ლ ი ს კ ო ლ ა წარმოადგენს სასწავლო დაწესებულებას რომელიც, ერთის მხრივ, თავისი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით უთანაბრდება სასკოლო განათლების რომელსავე ზემოთჩამოთვლილ ტიპს, ხოლო მეორეს მხრივ, მიზნად ისახავს გარკვეულ დარგში მოსწავლის განსაკუთრებული ნიჭის მაქსიმალურად გამოყენებას. ამგვარ სასწავლებლებს განეკუთვნებიან: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, სამხატვრო და ა.შ. სკოლები. მათი დამთავრების შემდგომ, თუკი მოსწავლეები გაივლიან ლიცეური ან გიმნაზიური განათლების მისაღებად აუცილებელ ციკლს, მათ უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში დადგენილი წესით. დასაშვებია ამ ტიპის სასწავლებლებმა ფუნქციონირება სწავლების პირველსავე ეტაპზე დაიწყონ (25-26).

ს ა ა მ ტ ო რ ო ს კ ო ლ ა არის სასწავლო დაწესებულება, რომელიც, მუშაობს ცალკეული პედაგოგის მიერ შემოთავაზებული ან მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული მეთოდით, რომლის

მიზანია სასწავლო პროცესის აგების ახალი გზების ძიება და მოსწავლეებში მისი მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინებისათვის პირობების შექმნა (26).

**არააკადემიური სტატუსის სკოლის შემდგომი სასწავლო დაწესებულებები** - ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებები განსაზღვრული დროის განმავლობაში მსურველებს აძლევს სკოლის შემდგომ განათლებას სხვადასხვა დარგში (მედიცინა, ხელოვნება, ენები და ა.შ.). მათ დიპლომს არ აქვს სახელმწიფო სტატუსი. ეს სასწავლებლები არ ექვემდებარებიან სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებს.

**ექსტერნის წესით განათლების მიღება** - დასაშვებია განსაკუთრებული დებულებით განსაზღვრულ შემთხვევაში და შესაბამისი გამოცდების ჩაბარებით. განათლების მიღების ამგვარი ფორმის პრაქტიკაში დანერგვა, განსაკუთრებით, საბაზისო საფეხურზე, უკიდურესად შემზღვეული უნდა იყოს, რადგან სასწავლო დაწესებულებას დაკისრებული აქვს არა მარტო ცოდნის მიცემის, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც. ამასთანავე, შესაბამისი კომპეტენციის სამთავრობო ორგანო ადგენს იმ დარგების ნუსხას, რომლებშიც ამ ფორმით განათლების მიღება საერთოდ უნდა გამოირიცხოს (26).

**სკოლის გარეშე აღზრდისა და განათლების დაწესებულებანი** - ფუნქციონირებს ყველა ასაკის ბავშვებისათვის (სპორტული სკოლები და კლუბები, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა, გურისტთა, აგრობიოლოგთა და სხვა სადგურები, ესთეტიკური აღზრდის სახლები, კომპიუტერული ცენტრები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები, პარკები და სხვა. ასეთი დაწესებულებები სასწავლო საქმიანობისაგან თავისუფალ დროს ემსახურება მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს მათ სულიერ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას (26-27).

რაც შეეხება ამავე პრინციპით გათვალისწინებულ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა ავტონომიურობას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებსა და ქვეყანაში საგანმანათლებლო სივრცის ერთიანობის პირობებში, იგი ვლინდება ამ დაწესებულებათა უფლებამოსილებაში დამოუკიდებლად აირჩიონ

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებითა და სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის გზები, ხერხები, ფორმები და მეთოდები, გამოძებნონ, დააფუძნონ და განავითარონ საამისო საშუალებები, დანერგონ მოწინავე გამოცდილება და განავითარონ განათლების პროცესისადმი ნოვატორული მიდგომა, შექმნან ჭეშმარიტი შემოქმედებითი პედაგოგიური მოღვაწეობის პირობები, აწარმოონ საინოვაციო საქმიანობა, დაამყარონ საქმიანი კონტაქტები ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებთან.

ი) ბანათლუბის სისტემის დემოკრატიზაცია. ეს პრინციპი განაპირობებს განათლების სისტემაში დემოკრატიული საწყისების განვითარებას, მასში სახელმწიფოს, საზოგადოებას, პიროვნების მონაწილეობის თანასწორუფლებიანობის, მოქალაქეთა უფლებას დამოუკიდებლად, ყოველგვარი დიქტატისა და შეზღუდვის გარეშე აირჩიოს სასწავლო დაწესებულება, სწავლების ფორმა და პროფესიული მომზადების სახე. დემოკრატიულ საწყისებზე ფართოვდება საზოგადოების, მშობლების, მეწარმეთა, ცალკეულ პირთა მონაწილეობა სასწავლო დაწესებულების მუშაობაში, მის განვითარებასა და სრულყოფაში. სახელმწიფო ხელს უწყობს და წაახალისებს ყველა იმ ძალისხმევას, ინიციატივას და საქმიანობას, რომელიც მიმართული იქნება განათლების სისტემის, მისი ყოველი რგოლის სრულყოფა-განვითარებისაკენ, სწავლების პროცესის ეფექტურობის ამაღლებისა და მოზარდი თაობის სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისაკენ.

კ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური და რელიგიური ბაჰართიანებაებისაგან

ამ პრინციპის მიხედვით დტუშეებელია საერო-საგანმანათლებლო სასწავლებლის პოლიტიზაცია, რომელიმე პოლიტიკური პარტიის ზეგავლენა-ზემოქმედება, აგრეთვე რომელიმე რელიგიური მიმართულების ნიშნით მოწყობა და საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაცია. ამავე პრინციპით დაუშეებელია პოლიტიკური ან რელიგიური ნიშნით განათლების უფლების შეზღუდვა.

საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილია მოქალაქეთა უფლებების გარანტიები განათლების სფეროში. ეს არის საერთოდ განათლებისა და კონკრეტულად პროფესიული განათლების მიღების საყოველთაო უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ განათლების სისტემისა და სათანადო სოციალ-ეკონომიკური პირობების შექმნით; საგანმანათლებლო ცენტრების მიღწევა, დამტკიცება და შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით დადასტურება; განათლების მიღების შესაძლებლობა როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აგრეთვე ექსტერნატის ფორმით; სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენტრის მქონე პირთა თანაბარი უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე (ეგაპზე) სწავლის გაგრძელებისათვის; სახელმწიფოს მიერ სკოლამდელი აღზრდის უზრუნველყოფა მისი დაფინანსებისა და მატერიალური ბაზის შექმნაში მონაწილეობითა და შესაბამისი პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის აუცილებელი პირობების შექმნით; დაწყებითი განათლების სავალდებულობა, საბაზო განათლების მიღება სახელმწიფოს ხარჯზე. კანონმდებლობა განსაზღვრავს სხვა უფლებებსაც განათლების სფეროში.

საქართველოს კანონით განათლების შესახებ დადგენილია სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები, რომელიც განათლების სისტემის საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სასწავლო დისციპლინათა სახეებს და რაოდენობას, სასწავლო დისციპლინათა შორის თანაფარდობას, სასწავლო დაგვირგთის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის საეალებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმებს საფეხურების მიხედვით და მოსწავლეთა მიდრეკილების გათვალისწინებით სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო-მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატულ საკითხებს.

ერთი სიგყეით, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი განსაზღვრავს ყველაფერ იმას, რასაც პედაგოგიაში განათლების შინაარსი ეწოდება.



სტანდარტებით გათვალისწინებული განათლების შინაარსი და მისი მოთხოვნები სავალდებულოა საქართველოს განათლების სისტემის ყველა საფეხურის ლიცენზიის მქონე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით საქართველოში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის, ზოგადი და პროფესიული განათლების პროგრამები.

ზოგადი განათლების პროგრამა მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურების სკოლებს, ხოლო პროფესიული განათლების პროგრამა განსაზღვრულია სახელდობრ დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი პროფესიული-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. ყველა ეს პროგრამა შეიცავს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ ძირითად ნაწილს (სავალდებულო მინიმუმს). გარდა ამისა, პროგრამები ითვალისწინებს დამატებით ნაწილსაც, რომლის შესრულება სავალდებულოა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელიც ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას.

საქართველოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება.

საქართველოს კანონით განათლების შესახებ დადგენილია შემდეგი სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი:

*დაწყებითი ზოგადი განათლების,  
საბაზო ზოგადი განათლების,  
საშუალო ზოგადი განათლების,  
სახელობო მომზადების,  
დაწყებითი პროფესიული მომზადების,  
საშუალო პროფესიული განათლების,  
უმაღლესი განათლების.*

ყოველი ამ ცენზის მიღება დასტურდება შესაბამისი სტატუსის მქონე აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატით, რაც წარმოადგენს საფუძველს მომდევნო საფეხურის სახელმწიფო აკრედიტიზაციის მქონე საგანმანათლებლო

დაწესებულებაში სწავლის გავრძელების ან სახელმწიფო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავებისათვის.

საქართველოში განათლების მიღება შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრებული სწავლებისა და ექსტერნატის (საოჯახო განათლების, დისტანციური, დაუსწრებელი სწავლებისა და სხვა) ფორმით. აქედან, სახელმწიფომ შეიძლება დააფინანსოს მხოლოდ დასწრებული ფორმით სწავლება.

წიგნის ამ ნაწილში განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ეს ზოგიერთი საკითხი განვიხილეთ იმიტომ, რომ მათ საკანონმდებლო-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ განათლებისა და სწავლების პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის იმ საკითხებისათვის, რომელთაც ლექციების ციკლში გადმოვცემთ. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ ამ სამართლებრივ-საკანონმდებლო საკითხების ცოდნა სავალდებულოა ყველა მასწავლებლისათვის, რამეთუ განათლებისა და სწავლების პედაგოგიურ პროცესს მეცნიერულ საფუძვლებთან ერთად (ფილოსოფია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია) მისი საკანონმდებლო ბაზაც განაპირობებს.

## თავი 1

### სწავლების პედაგოგიური პროცესი, მისი სტრუქტურა, მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები

- § 1 დიდაქტიკის ცნება და საგანი. პრობლემები, რომელთაც იკვლევს დიდაქტიკა. დიდაქტიკის უზოგადესი კატეგორიები. სწავლების პედაგოგიური თეორიები, როგორც თანამედროვე დიდაქტიკის საფუძვლები.
- § 2 სწავლების პროცესის არსი, მისი ძირითადი ცნებები; ცოდნა, უნარი და ჩვევა.
- § 3 სწავლების პედაგოგიური პროცესის საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციები.
- § 4 სწავლების პროცესის სტრუქტურა, ორმხრივი ხასიათი და ძირითადი კომპონენტები: მიზანი, ამოცანები, შინაარსი, მეთოდები, ორგანიზაციის ფორმები, საშუალებები და შედეგები.
- § 5 მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საფუძვლები. სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაცია. სწავლების პროცესის ემოციურ-ნებელობითი ხასიათი. შეთვისების პროცესის სტრუქტურა: აღქმა, გააზრება, გაგება, გაცნობიერება, განზოგადება, განმტკიცება, გამოყენება. მოსწავლეთა განვითარება და აღზრდა სწავლების პედაგოგიურ პროცესში.

### ლიტერატურა

1. საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფცია. სახალხო განათლება“ 1990 წ. 3 იანვარი.
2. საქართველოს რესპუბლიკის საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამა. ჟერი“, 1991 წ. 5 ივნისი.

3. განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა. თბილისი, 1995 წ., გვ. 11-13.
4. დიდაქტიკის საკითხები. გ. თავზიშვილის რედაქციით. თბილისი, 1953 წ., გვ. 5-28.
5. ლ. ლორთქიფანიძე. დიდაქტიკა. თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1981 წ., გვ. 39-90.
6. ა. გობრონიძე. პედაგოგიკა. ბათუმი, 1996 წ., გვ. 57-74.
7. ვ. გაგუა. პედაგოგიკა. თბილისი, 1996 წ., გვ. 69-81.
8. Педагогика школы. Под ред. Г. И. Щукиной. М. Просвещение, 1977 г. гл. 13, стр. 233-244, гл. 14, стр. 252-290.
9. Дидактика средней школы. Под ред. М. Н.Скаткина. М. Просвещение, 1982 г., гл I, стр. 5-47.
10. Педагогика. Под ред. Ю.К. Бабанского. М. Просвещение, 1983 г., гл.5, стр. 91-101, гл.6, стр.102-123, гл.7, стр. 124-154.
11. Д. О. Лордкипашидзе. Дидактика. Тбилиси, Госуниверситет, 1985 г., гл. II-III, стр 43-111.
12. Педагогика. Под ред. С.П. Баранова и В.А. Слостенина. М. Просвещение, 1986 г. гл.7, с.78-82, гл.8, с.83-89.
13. С.П. Баранов, Л.Р. Болотина, В.А. Слостенин. Педагогика. М. Просвещение, 1987 г., гл.7, с. 71-99.
14. Педагогика. Под ред. Ю.К. Бабанского. М. Просвещение, 1988 г. гл.20, стр. 339-366.
15. Харламов И.Ф. Педагогика. М. Высшая школа, 1990 г., с. 122-126.

§1 ღილაქტიკის ცნება ღა საბანი. პრობლემაბი, რომელთაც იკვლავს ღილაქტიკა. ღილაქტიკის უზოგალესი კაბაზორიები. სწავლების კელაბ-ოზიური თეორიები როზორს თა-ნამაღროვე ღილაქტიკის საუშაკვები.

აღმრდის კელაგოგიური არსი ღა ზოგადი კა-ნონზომიერებანი აღას-გურებენ, რომ აღმრდის უზნიშენელოვანეს ას-კექტს წარზოადგენს ზო-ზარდის ზიერ საზოგ-

აღოებრივი გაზოცდილების იმ ზხარის დაუფლება, რომელიც თაე-ისთაეში ზოიცავს ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა ღა შემოქმედებითი საქზიანობის ხერხებს. ეს ამოცანა ხორციელდება სწავლების პროცესში. ამასთან დაკაემირებით კელაგოგიკის წინ-ამე ისახება კითხვები: როგორი უნდა იყოს ეს პროცესი? როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროცესი ღა როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი პიროვნების განვითარება-ფორზირებისათვის? ამ საკითხთა თეორიულზა დამუშავებაზ განაპირობა კელაგოგიკაში განსაკუთრებული მეცნიერული დისციპლინის აღზოცენება, რომელსაც შემდგომში ეწოდა დ ი დ ა ქ ტ ი კ ა .

გერზინი „ღილაქტიკა“ ბერძნული წარზოზობისაა ღა შედგება სიგყეებისაგან didaktikos - ვინც ასწავლის (მასწავლებელი) ღა didasko - ვინც სწავლობს (ზოსწავლე). ეს გერზინი შემოიღო ჯერზანელზა კელაგოგზა ვ. რაბკემ (1571-1635). ღილაქტიკის ცნების ქვეშ იგი გულისხზობდა მეცნიერულ დისციპლინას, რომლის საგ-ანსაც წარზოადგენს სწავლების თეორიული საფუძვლების კვლევა. < ღილაქტიკის ფუნდამენტური მეცნიერული დამუშავება განახორციელა იან ამოს კომენსკიმ, რომელზაც 1632 წელს დაასრულა. ხოლო 1637 წელს გამოსცა თავისი სახელოვანი ნაშ-როში „ღიდი დილაქტიკა“. დილაქტიკის ცნებაში იგი გულისხზობდა „ყველასათვის ყველაფრის სწავლების საყოველთაო ხელოვნებას“. დილაქტიკის განვითარებაში დიდი წელილი შეიგანეს ი. პესტ-ალოციზ, კ. უზინსკიზ, ი. გოგებაზეილზა ღა სხვა გამოჩენილზა მეცნიერ-კელაგოგებზა.

გრადიციული გავებით დილაქტიკის საგანს წარზოადგენს სწავლების პროცესი, მასთან დაკაემირებული ყველა ელემენტი ღა კელაგოგიური ზოვლენა. დილაქტიკა, როგორც სწავლების ზოგადი კელაგოგიური თეორია, პასუხობს კითხვებზე: რისთვის,

რა მიზნით ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? რა ვასწავლოთ? სხვა სიგყვებით, დიდაქტიკა იკვლევს რა განათლებისა და სწავლების მიზანსა და ამოცანებს, შინაარსს, მეთოდებსა და საშუალებებს, კანონზომიერებებსა და პრინციპებს, განსაზღვრავს სწავლების მეთოდებსა და ორგანიზაციის ფორმებს.

პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების თანამედროვე პირობებში სწავლებისა და განათლების იმ პრობლემებს, რომელთაც განიხილავს დიდაქტიკა, მიეკუთვნება შემდეგი:

- განსაზღვრავს განათლების შინაარსის პედაგოგიკურ საფუძვლებს;

- იკვლევს სწავლების არსს, კანონზომიერებებსა და პრინციპებს, აგრეთვე მოსწავლეებზე სწავლების პროცესის განმავითარებელ-აღმზრდელითი გავლენის ამაღლების გზებს;

- სწავლობს მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი მოქმედიანობის კანონზომიერებებსა და სწავლების პროცესში ამ მოქმედიანობის აქტივიზაციის გზებს;

- ამუშავებს სწავლების ზოგადპედაგოგიურ მეთოდთა სისტემას და მათი ეფექტური გამოყენების პირობებს;

- ბოლოს, დიდაქტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს სასწავლო მუშაობის ორგანიზაციულ ფორმათა დამუშავება და სრულყოფა.

დიდაქტიკის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში დიდი ხნის განმავლობაში იგი იყო ერთადერთი პედაგოგიკური დისციპლინა, რომელიც იკვლევდა არა მარტო სწავლების თეორიას, არამედ სწავლების მეთოდოკასაც. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ყოველი სასწავლო დისციპლინის სპეციფიკის, მისი სწავლების მეთოდოკათა თავისებურებების ახსნა-დამუშავება მას აღარ ძალუძს, რადგან ყოველი სასწავლო დისციპლინის სწავლება, მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოითხოვს ასევე სპეციფიკურ მეთოდებს. ამან გამოიწვია ის, რომ დიდაქტიკისაგან თანდათანობით გამოიყო და განსაკუთრებულ პედაგოგიკურ დისციპლინებად ჩამოყალიბდა სწავლების კერძო მეთოდოკები. ამდენად, დიდაქტიკის ძირითად პრობლემად დარჩა სწავლების პედაგოგიკური პროცესის ზოგადთეორიული საფუძვლების დამუშავება.

აქედან გამომდინარე, დიდაქტიკას, როგორც პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგს, აქვს საკუთარი საგანი და კელევის ობიექტი, წყვეტს მკვეთრად შემოფარგლულ საკითხებს და სარგებლობს გარკვეული ცნებებით. ეს ცნებები დიდაქტიკის კატეგორიებად გვევლინებიან და სწავლების ფუძემდებლური, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ. დიდაქტიკის ასეთი უზოგადესი ცნებები ანუ კატეგორიებია:

1. *სწავლების პროცესი* - ესაა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი მიზანმიმართული თანამშრომლობითი ერთობლივი საქმიანობის პროცესი, რომლის მსელელობისას ხორციელდება მოსწავლეთა განათლება, აღზრდა და განვითარება.

2. *სწავლების პრინციპები* - წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს დიდაქტიკურ მოთხოვნათა სისტემას, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტურ ფუნქციონირებას. სწავლების პრინციპები გამომდინარეობენ სწავლების კანონზომიერებებიდან და ეყრდნობიან მათ.

3. *განათლების შინაარსი* - არის ცოდნათა, უნარებისა და ჩვევების სისტემა, რომელთა დაუფლებაც ქმნის საფუძველს პიროვნების განვითარებისა და ფორმირებისათვის. განათლების შინაარსი როგორც დიდაქტიკის კატეგორია, შეიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა ცოდნა (სასწავლო მასალის შეთვისების შედეგი), უნარი და ჩვევები (მოქმედება, რომელსაც მოსწავლე მიღებული ცოდნის საფუძველზე ასრულებს ანუ შემძლეობა), მოქმედება, (რომელიც ავტომატურად სრულდება მრავალჯერადი ვარჯიშის შედეგად), სწავლა (ცოდნის დაუფლებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავების პროცესი).

4. *სწავლების მეთოდები* - ესაა მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი თანამშრომლობითი საქმიანობის ხერხები, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში მოსწავლეთა ცოდნით შეიარაღების, უნარ-ჩვევების გამომუშავების, აღზრდის, ფორმირებისა და განვითარების მიზნით.

5. *სწავლების ორგანიზაციის ფორმები* - ესაა მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა სწავლებისათვის ორგანიზებულ მეცადინეობათა ნაირსახეობა და მათი თავისებურებანი, რომელთა მეშვეობითაც და

რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება სასწავლო შემეცნებითი საქმიანობა.

თანამედროვე დიდაქტიკა აღმოცენდა და განვითარდა სწავლების მრავალ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ თეორიათა საფუძველზე.

ამ თეორიათა შორისაა პრაგმატიზმი - თეორია, რომელიც ასახავს ზოგადი განათლების გამოყენებით მიმართულებას მშრომელთა ბავშვების ძირითადი ნაწილისათვის. პრაგმატიზმი ეყრდნობა ნიჭიერების თეორიასაც, რომელიც მხარს უჭერს მოსწავლეთა შერჩევას ტესტების მეშვეობით, რაც გულისხმობს ბავშვთა გონებრივი შესაძლებლობების გამოვლინების და ადრეული ასაკიდანვე მისი შემდგომი გზის განსაზღვრას. არსებობს თეორიები მემკვიდრეობითობის შესახებ, რომლებიც ასევე ითვალისწინებენ მემკვიდრეობის როლს ბავშვის მომავალი აღზრდა-განათლებისათვის.

ბოლო ხანებში აღმოცენდა ამ თეორიათა მოდიფიკაციის მრავალი ნაირსახეობა, რომლებიც ითვალისწინებენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს და აუცილებლობის გამო მიდიან გარკვეულ დათმობაზე განათლების სისტემის დემოკრატიზაციის საქმეში.

მცდარია საბჭოთა პედაგოგიურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს კაპიტალიზმის სამყაროში არ ვითარდებოდეს დიდაქტიკური აზროვნება და იგი თითქოს მიმართული არ იყოს სწავლების საშუალებების, მეთოდებისა და ორგანიზაციის ფორმების ეფექტურობის ამაღლებისაკენ. ყველაფერი ეს ხდება და დადებითი აქ ისაა, რომ მასწავლებელთა მთელი პედაგოგიური მოღვაწეობა სასწავლო პროცესის იმგვარად აგებას ემსახურება, რომ მან უზრუნველყოს მოსწავლეთა აზროვნების განვითარება, წარმოების ორგანიზატორთა და ხელმძღვანელთა თვისებების ფორმირება, იმ ამოცანების ოპერატიულად გადაწყვეტის ჩვევების გამომუშავება, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან. აქვე ინტენსიურად გამოიყენება ისეთი მეთოდებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ უახლესი სასწავლო ტექნიკის გამოყენებას.



განათლების სისტემის მრავალი დიდაქტიკური მიმართულება ვითარდება ე.წ. პედაგოგიური ტექნოლოგიის კალაპოტში. აქ მკვეთრად გამოირჩევა ორი ძირითადი შტო:

1. „სწავლების ტექნოლოგია“. იგი იკვლევს სწავლების პროცესის სტრუქტურას, შემეცნებითი საქმიანობის მექანიზმებს, „სწავლების საუკეთესო სტრატეგიის“ პროცედურებს.

2. „ტექნოლოგია სწავლებაში“. მისი მიზანია სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა ჩართვისა და გამოყენების მეცნიერული დასაბუთება და შესაბამისი მეთოდების დამუშავება.

დიდაქტიკური ამროვნების განვითარების ერთ-ერთი მიმართულება, 60-70-იან წლებში გავრცელებული დაპროგრამებული სწავლება, რომელიც ხორციელდება სასწავლო მანქანების ან სპეციალური პროგრამირებული საშუალებების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების დიდ ინდივიდუალიზაციას, ინდივიდუალურ მიდგომას.

ბოლო დროს საზღვარგარეთულ დიდაქტიკაში უარყოფითად გავრცელდა მომავალი სკოლის სხვადასხვა იდეები და მოდელები. ძირითადად ისინი ასახავენ სპეციალურ ცენტრებში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ინდივიდუალიზებული სწავლების პერსპექტივებს. ასეთ ცენტრებში თითოეულს შეუძლია აირჩიოს და შეისწავლოს მისთვის საინტერესო და საჭირო სასწავლო კურსი, იმეცადინოს მისთვის ხელსაყრელ დროს და ამისათვის გამოიყენოს არა მარტო ცენტრის შესაძლებლობანი, არამედ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, ვიდეოტექნიკა და სხვა ტექნიკური საშუალებანი სახლში, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში მისაწვდომია ყველასათვის.

არსებობს ისეთი თეორიებიც, რომელთა მიხედვითაც თითოეულს შეეძლება იმეცადინოს თავისი ინტერესებისა და სურვილის მიხედვით.

ყველა ეს თეორია და კონცეფცია ორგვარ მიზანს ემსახურება: ერთის მხრივ, ისინი მოწოდებულია დაასაბუთონ ისეთი განათლების თეორია, რომელიც ვითარდება ინდუსტრიული სამოგადობის მიმართულებით და რამაც უნდა განამტკიცოს მოსაზრება ეკონომიკურად სრულყოფილი სამოგადობის განვითარების უსა-

ზღვრო შესაძლებლობების შესახებ. მეორეს მხრივ, ეს თეორიები ემსახურება წარმოებაში დასაქმებული მშრომელების შეილების განათლებისათვის მაქსიმალური პირობების შექმნას პროფესიის დაუფლებისათვის. ამასთანავე, მშრომელთა შეილებს ეძლევათ შესაძლებლობა ისწავლონ დამოუკიდებლად და თვითონვე აირჩიონ შესასწავლად ის, რაც პასუხობს მათს მიდრეკილებებსა და ინტერესებს.

არსებობს თეორიათა ისეთი დიდი ნაწილიც, რომელიც, პირველ რიგში, განსაზღვრულია მასობრივი სკოლებისათვის, სადაც სწავლობენ მშრომელთა შეილები და არ ეხება ახალგაზრდობის პრივილეგირებული ნაწილის სწავლების აკადემიურ მხარეს. როგორც წესი, ასეთი ახალგაზრდები სწავლობენ მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კერძო ან სხვა ტიპის, განსაკუთრებულ პირობებში მომუშავე სკოლებში, სადაც ნამდვილად გამოიყენება თანამედროვე პროგრესული დიდაქტიკისა და მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების უმაღლესი მიღწევები პირუელხარისხოვანი სასწავლო ტექნიკის, სწავლების საუკეთესო უნივერსალური საშუალებებისა და მათი გამოყენების ეფექტური მეთოდების სახით.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აშშ-სა და სხვა ქვეყნებში დაინერგა „ღია სწავლების“ დიდაქტიკური იდეა, რომლის თეორეტიკოსებია ფ. გ. კუმბსი და ჩ. სილბერმანი. ისინი „ღია სწავლების“ ძირითად თავისებურებად მიიჩნევენ:

1. ერთიანი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების უარყოფას. ყოველი მოსწავლე ირჩევს კონკრეტულ სკოლას იმ საგნებითა და ისეთი პროგრამებით, როგორც მას სურს და მის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

2. კლასების დაკომპლექტებას არა მუდმივ კოლექტივებად, არამედ მოსწავლეთა ჯგუფებად მათ მიერ არჩეული სასწავლო საგნების მიხედვით.

3. სკოლების შენობათა კონსტრუირებას ისეთ დიდ დარბაზებად, სადაც, იმის გამო, რომ კლასებში არ არის მოსწავლეთა მუდმივი შემადგენლობა, საჭირო აღარაა შენობის კლასებად დაყოფა. ასეთ სკოლაში სასწავლო ჯგუფები ერთმანეთისაგან განცალკევებულია წიგნის თაროებით, რომელთა გადაადგილება

მესაძლებელია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ფართობის გადიდების ან შემცირების მიზნით.

4. მეცადინეობათა გარკვეულ სისტემას, რომელშიც არ არსებობს რეჟიმი, აქ არ ირეკება გაკვეთილების დაწყება-დამთავრების ზარი. განსაზღვრულია მხოლოდ სკოლაში მოსელისა და სკოლიდან წასვლის დრო, ხოლო მეცადინეობის დრო გამოიყენება შეხედულებისამებრ წიგნზე დამოუკიდებელი, ხელსაწყობზე და ქსეროქსზე გამრავლებული დაეალებების შესრულებაზე მუშაობისათვის.

სწავლების ასეთი სისტემის პირობებში მასწავლებელი არ ახდენს სასწავლო მასალის სისტემურ ახსნას, არამედ არიგებს დაეალებებს, პასუხობს შეკითხვებზე და მოგჯერ აგარებს განზოგადებულ საუბარს ამა თუ იმ თემაზე. აქ ცოდნის შეთვისების მიმდინარე კონტროლიც მოხსნილია. გარკვეული დროის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ საკონტროლო დაეალებებს. მასწავლებელს აქ განეკუთვნება მრჩეველის, მოსწავლეთან თანამშრომლობის ფუნქცია და არა ცოდნა-ჩვევათა გადაცემის, სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზატორის როლი და ფუნქცია. არ ხდება მოსწავლის კლასში მეორე წელს დატოვება. ყველა მოსწავლე გადადის მომდევნო კლასში.

აშშ-ს მრავალ სკოლაში სწავლება ეყრდნობა მრავალ ახალ, პრინციპულად განსხვავებულ საფუძველს. ესაა: გარკვეული საგნების კურსის სავალდებულო გავლა; გაძლიერებული სამეცნიერო-ტექნიკური მომზადება; მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების მრავალმხრივი განვითარება; სასწავლო დისციპლინის მკაცრი დაცვა; ნიჭისა და უნარების სპეციალური განვითარება და სხვა ანალოგიური.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არის ნიჭიერ ბავშვთა სკოლების საკმაოდ ფართო ქსელი. სწორედ ასეთ სკოლებში მომზადდა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების დარგში, მეურნეობისა და სახელმწიფოს მართვის სფეროში.

ფილოსოფიური ნეოთომისტური იდეების გავლენით ბურჟუაზიულ დიდაქტიკაში ბოლო წლებში შეინიშნება მისწრაფება სასკოლო განათლების შინაარსში რელიგიურ დისციპლინათა მოცულობის ზრდისაკენ.

საზღვარგარეთულ დიდაქტიკაში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა სწავლების პროცესის ინტენსიფიკაციას, სწავლების ტემპის დაჩქარებას, ინფორმაციის სიმჭიდროვეს, მოსწავლეთა ინდივიდუალური აქტივობის ზრდას სასწავლო მანქანების გამოყენების ხარჯზე. ამ ხერხების გამოყენება, უეჭველია, სასარგებლოა, მაგრამ ამავე დროს აქ საჭიროა დაცულ იქნას სირთულის ოპტიმალური მომა, ტემპი, მანქანისა და მასწავლებლის გავლენის ოპტიმალური შეთანხმება და გონივრული დოზირება.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დიდაქტიკაში არის მრავალი დადებითი პედაგოგიური იდეა. ზოგიერთ მათგანზე ჩვენ გვექონდა ლაპარაკი. მათთან ერთად შესწავლის ღირსია სასწავლო პროცესში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, განსაკუთრებით კომპიუტერიზაციისადმი, ახალი სასწავლო მოწყობილობების შექმნისა და სასწავლო პროცესში დამოუკიდებელი მუშაობისათვის ლიტერატურის გამოყენებისადმი მიძღვნილი შრომები. ასევე სასარგებლოა მოსწავლეთა მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესის ეტაპობრივი კონტროლის გამოცდილებისა და სხვათა შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე დიდაქტიკის გამდიდრებას.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის პირობებში მრავალ სხვა პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია განათლების ეროვნული სისტემის ფორმირებისა და მისი მსოფლიოს ხალხთა საუკეთესო გამოცდილების მიხედვით სრულყოფის პრობლემის გადაწყვეტა.

ქართულ ეროვნულ პედაგოგიკაში იაკობ გოგებაშვილის უნიკალურ პედაგოგიკურ თეორიასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სისტემის ეროვნულმა კონცეფციებმა, რომლებშიც მოცემულია ქართული პედაგოგიკის თანამედროვე დიდაქტიკური თეორიები. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს დიდაქტიკურ დებულებად შეიძლება მიჩნეულ იქნას „საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციაში“ ჩამოყალიბებული სასკოლო განათლების სისტემის ისეთი ხუთი ფაქტორი, როგორცაა:

- ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული საგანმანათლებლო და პედაგოგიური ტრადიციები, ყოველი ნოვაციის მასთან შეხამება;
- სწავლების პროცესის კუმანიზაცია და კუმანიგარიზაცია, უპირატესობის მინიჭება სწავლების ევრისტიკული, დიალოგიური, საქმიანი, როლური თამაშის, კვლევითი, საპროექტო, მოდულირების, საკონსტრუქტორო მუშაობის მეთოდებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას;
- ინტენსიური განათლება ექსტენსიურის ნაცელად, რაც ნიშნავს იმას, რომ სწავლების შინაარსში აღებული უნდა იქნას კურსი აზროვნების კულტურის გამომუშავებისაკენ;
- სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა, რაშიც იგულისხმება მთლიანი პედაგოგიური პროცესის ცალკე ცოდნის შეძენისა და ცალკე აღზრდის პროცესებად გაუყოფადობა, მათი ორგანული მთლიანობა;
- მოვადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, მამულ-ისმცოდნეობის, ფიზიკური აღზრდის, საყოფაცხოვრებო კულტურისა და ეთიკის, ესთეტიკის, პრაქტიკული ეკოლოგიის სასწავლო საგანთა ბლოკების არსებობა.

მთავარი დიდაქტიკური დებულება აქ იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლო პროცესში „ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებთან ზიარებამ, მაღალზნეობრივმა და ესთეტიკურად დახვეწილმა გარემომ სკოლაში ბუნებრივად უნდა ჩამოაყალიბოს მოზარდი გონიერ და გოლერანტულ ადამიანად“ (1).

„საქართველოს რესპუბლიკის საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამა“ ერთ-ერთი პროექტია, რომელშიც მოცემულია განათლების შინაარსის, სწავლების პროცესის ორგანიზაციის, მიდრეკილებების მიხედვით სწავლების, გარემოს შემეცნებისადმი მოსწავლის ინტერესების ჩამოყალიბების, მოვადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმის, ამ ცოდნათა გამოყენების ფორმების, მოსწავლეთა კვირეული სასწავლო დატვირთვის მოცულობის, ცოდნის შეფასების სისტემისა და დიდაქტიკის სხვა საკითხები.

§ 2 სწავლების პროცესის არ-  
სი, მისი ძირითადი სწავლები:  
სწავლება, უნარი და ჩვევა

პედაგოგიკურ ლიტერატურაში  
არსებული გრადიციული გაგე-  
ბით სწავლების პედაგ-  
ოგიური პროცესი - ესაა

მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი, მიზანმიმართული, გვეგამომიერი, ორგანიზებული, თანმიმდევრობით ცვალებადი თანამშრომლობითი საქმიანობა, რომლის პროცესშიც ხდება მოსწავლეთა განათლების, აღზრდის, ფორმირებისა და განვითარების ამოცანათა რეალიზაცია. ესაა შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნიშნებია:

- სწავლების პროცესი, უწინარეს ყოვლისა, ესაა მოსწავლეთა მიერ სამყაროს დიალექტიკურ-მაგერიალისტური შემეცნების პროცესი;

- სწავლება - ესაა სპეციალურად ორგანიზებული შემეცნებითი საქმიანობა, რომელსაც აქვს თავისი მიზანი, ამოცანები, შინაარსი, პრინციპები, მეთოდები და ორგანიზაციის ფორმები;

- სწავლება, როგორც სპეციალურად ორგანიზებული საქმიანობა, აჩქარებს ინდივიდუალური განვითარების ტემპებს, რაც განპირობებულია განვითარების ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა ფაქტორებით;

- სწავლება წარმოადგენს მოსწავლის მიერ სამყაროს კანონზომიერებათა გაცნობიერების რთულ, თავისებურ პროცესს, თავისი დიალექტიკითა და მიზანმიმართებით.

- სწავლების პროცესი ესაა მასწავლებლისა და მოსწავლეთა აქტიური თანამოქმედება.

შეიძლება თუ არა სწავლების პედაგოგიური პროცესის ასეთი განმარტება ჩაითვალოს ამომწურავად?

უახლეს პედაგოგიკურ ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერ-პედაგოგის აზრით „სწავლება არის მეცნიერულ ცოდნათა, უნარებისა და ჩვევების დაუფლების, შემოქმედებითი შესაძლებლობების, მსოფლმხედველობისა და მწეობრივ-ესთეტიკური

შეხვედულებებისა და რწმენათა განვითარების მიზნით მოსწაულ-  
ეთა სასწაულო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაციისა და  
სტიმულირების მიზანმიმართული პედაგოგიური პროცესი“(15,149).

გრადიციულ განმარტებასთან ერთად, ეს ახლებური განმარ-  
ტება საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ განვსაზღვროთ ის  
ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყდეს სწავლების პედაგოგიურ  
პროცესში. ესენია:

- მოსწაულეთა სასწაულო-შემეცნებითი აქტივობის სტიმუ-  
ლირება;

- მეცნიერულ ცოდნათა, უნარებისა და ჩვევების დაუფლე-  
ბისათვის მოსწაულეთა შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაცია;

- აზროვნების, შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ნიჭის  
განვითარება-გაფართოება;

- მეცნიერული მსოფლმხედველობისა და მნეობრივ-  
ესთეტიკური კულტურის გამომუშავება;

- სასწაულო უნარ-ჩვევათა სრულყოფა (15,150).

შესაბამისად, გრადიციულ და უახლეს განმარტებათა ანალიზ-  
ის საფუძველზე შეიძლება დაეადგინოთ, რომ ისინი არა თუ არ  
ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და არ გამორიცხავენ ურთიერთს,  
არამედ ავსებენ და სრულყოფილს ხდიან სწავლების პედაგოგიუ-  
რი პროცესის არსს, ძირითად ნიშნებსა და უმნიშვნელოვანეს  
ამოცანებს. ამიგომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი სინთეზი და  
ამ სახით გადმოცემა.

ამავე დროს აუცილებელია დადგინდეს სწავლების პედაგ-  
ოგიური პროცესის განმარტების ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების  
შინაარსი, როგორიცაა: ცოდნა, უნარი და ჩვევა, რადგან  
მათი სიღრმისეული გააზრება კიდევ უფრო ნათლად წარმოგვ-  
იდგენს სწავლების დიდაქტიკური ცნების შინაარსს.

როდესაც ვლაპარაკობთ ცოდნის არსზე, საჭიროა გაეით-  
ვალისწინოთ ამ გერმინის ორი მნიშვნელობა. ერთ შემთხვევაში  
იგი აღნიშნავს მეცნიერული შემეცნების შედეგს. მე-  
ორენაირად, ესაა „აღამიანის იდეათა ერთობლიობა, რომელშიც  
გამოხატულია მის მიერ საგნის დაუფლების შედეგი“. პ. ვ. კოპინი  
(15,150). მეორე შემთხვევაში კი, ცოდნა ნიშნავს დაუფლებების

საგანს, ანუ იმას, რასაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს ცოდნის სახით. ამ შემთხვევაში, გერმინი „ცოდნა“ აღნიშნავს, აგრეთვე, სასწავლო შემეცნებასაც, რომლის შედეგსაც წარმოადგენს სასწავლო საგნის თეორიული დაუფლება. ორივე შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ დაუფლების ეს პროცესი სპეციფიკურია და გამოიხატება არა ახალი თეორიული იდეების აღმოჩენით, არამედ უკვე არსებული ცოდნის დაუფლებით, მისი მეხსიერებაში შენახვით, საჭირო შემთხვევაში კელაეწარმოებით და პრაქტიკული გამოყენებით, ამდენად, გერმინი „ცოდნა“ პედაგოგიკაში შეიძლება განისაზღვროს როგორც მეცნიერების ძირითადი ფაქტებისა და მათგან გამომდინარე თეორიულ განზოგადებათა (ცნებების, კანონების, დასკვნებისა და სხვათა) გაცება, მეხსიერებაში შენახვა და პრაქტიკული გამოყენებისათვის მათი კელაეწარმოების უნარი. ამ ცნებასთან მჭიდრო კავშირშია უნარებისა და ჩვევათა ცნებები.

უნარი - ესაა შეთვისებულ ცოდნათა პრაქტიკული გამოყენების ხერხების (საშუალებების, მოქმედებათა, ქცევათა) ფლობა. მეორენაირად, უნარი შეიძლება გაეიგოს, როგორც ადამიანის რეალური თუ პოტენციური შესაძლებლობა პრაქტიკულად და მიზანშეწონილად გამოიყენოს უკვე შეძენილი თეორიული ცოდნა.

ჩვევა - არის უნარის ელემენტი, სრულყოფილებამდე მიყვანილი აეგომატური მოქმედება. ჩვევა წარმოადგენს გარკვეული წესით შესრულებული მრავალჯერადი მოქმედების, ვარჯიშის შედეგს, მაგრამ იგი მთლიანად აეგომატური მოქმედება როდია, რადგან ადამიანი მას მიმართავს შეგნებულად, სიგუაყიის შესატყვისად და საჭიროების შემთხვევაში ცელის მის ხასიათის ისე, როგორც ამას მიიჩნევს საჭიროდ და მიზანშეწონილად.

ადრეულ პედაგოგიკურ ლიტერატურაში განიხილება ისეთი ცნებაც; როგორცაა შესაძლებლობა. თანამედროვე მეცნიერულსა თუ სახელმძღვანელო ლიტერატურაში უკვე ეხედებით მისი, როგორც ერთ-ერთი დიდაქტიკური ცნების განმარტებას. „შესაძლებლობების ცნების ქვეშ იგულისხმება სწავლების პროცესში პიროვნების ისეთი ფსიქიკური თვისებების განვითარება, რომლებიც, ერთის მხრივ, გამოდიან როგორც ამ პიროვნების აქტიური სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის შედეგი, ხოლო მეორეს მხრივ კი განაპირობებენ ამ საქმიანობის



წარმატების მაღალ დონეს“ (15,151). მამასადამე, შესაძლებლობა - ეს არის აქტიური სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის შედეგად შექნილი ისეთი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ უკვე დაუფლებული ცოდნის წარმატებით გამოყენებას პრაქტიკაში და ამავე დროს განაპირობებენ ამ ცოდნის გამოყენებით განხორციელებული საქმიანობის მაღალეფექტურობას. შესაძლებლობანი შეიძლება იყოს ზოგადი და სპეციალური. ზოგად შესაძლებლობებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მიაღწიოს წარმატებას სწავლაში, მიეკუთვნება ბავშვთა ისეთი თავისებურებანი, როგორცაა შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, შრომისუნარიანობა, სიბეჯითე. სპეციალური შესაძლებლობანი კი ელინდება საქმიანობის ცალკეულ სახეებში, ამა თუ იმ საგნის შესწავლაში, ინტერესებსა და მიდრეკილებებში. შესაძლებლობებს ხშირად აიგივებენ თანდაყოლილ თვისებებთან; რაც მთლიანად სწორი არაა. თანდაყოლილი თვისებები - ესაა ნერვული სისტემისა და ორგანიზმის თავისებურებანი, რომლებიც ქმნიან შესაძლებლობებს ცოდნის ან ხელოვნების ამა თუ იმ დარგის წარმატებითი დაუფლებისათვის.

როგორც ისტორიულად განპირობებული სოციალური მოვლენა, სწავლება ეყრდნობა მეთოდოლოგიურ საფუძველს და ხასიათდება გარკვეული წინააღმდეგობებით.

სწავლების პედაგოგიური პროცესის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფილოსოფიური თეორია შემეცნების შესახებ, რომელიც შემეცნებას განიხილავს როგორც ობიექტური სამყაროს აქტიურ ასახვას ადამიანის ცნობიერებაში. შემეცნების პროცესი ესაა ჭეშმარიტებამდე ამაღლების პროცესი, ჭეშმარიტებასთან მარადიული და უსასრულო მიახლოების პროცესი, ჭეშმარიტების წედომის პროცესი. სწავლების პროცესს მხოლოდ მაშინ ახასიათებს უცოდინარობიდან ცოდნისაკენ გადასვლა, თუ სწავლა წარმოადგენს ჭეშმარიტების წედომის პროცესს, ცოდნის დაუფლების გზას. სწავლების მთელ პროცესში ცოდნა მუდმივად გადადის არასრული და ნაკლებსიღრმისეული დონიდან უფრო მაღალი დონისაკენ, უფრო სრული და ღრმა ცოდნისაკენ. ჭეშმარიტების წედომის პროცესი დიალექტიკურია. სამყაროს პროცესების გაცნობიერება მათთვის დამახასიათებელი მოძრაობით, განვი-

თარების საიდუმლოებით, ცხოველქმედებითა და ცვალებადობით, სინამდვილეში არის მათი წინააღმდეგობრიობის, დაპირისპირებულობის შემეცნება.

წინააღმდეგობანი სწავლების პროცესში არის ობიექტური, სწავლების დიალექტიკისათვის დამახასიათებელი ობიექტური და გარდაუვალი ფაქტი. მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს წინააღმდეგობა სწავლის მუდმივად მზარდ მოთხოვნებსა და მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის. ეს ძირითადი წინააღმდეგობა კონკრეტდება სწავლების შინაარსობრივ (ცოდნა, უნარები, ჩვევები), მოტივაციურსა (განმზრახულობა) და ოპერაციულ (შემეცნების ფორმები და საშუალებანი) მხარეებში. ეს მხარეები კი შეიძლება განხილულ იქნას როგორც:

1. წინააღმდეგობა წინა, უკვე შეძენილი ცოდნის დონესა და ახალ, შესაძენ ცოდნას შორის;

2. წინააღმდეგობა მიღებულ ცოდნასა და მისი გამოყენების შესაძლებლობებს შორის;

3. წინააღმდეგობა სწავლისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების უკვე მიღწეულსა და სინამდვილეში საჭირო დონეთა შორის;

4. უფრო რთულ შემეცნებითს ამოცანასა და უკვე არსებულ, ამოცანის გადაწყვეტისათვის არასაკმარის ცოდნას შორის.

სწავლების პედაგოგიური პროცესი მოწოდებულია, რომ ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით უზრუნველყოს შემეცნებითი საქმიანობის მაღალი ეფექტურობა და ამით თანდათანობითი მიახლოება ჭეშმარიტებასთან. სწავლების პედაგოგიური პროცესის საბოლოო შედეგი სწორედ ჭეშმარიტების წვდომა უნდა იყოს.

**§ 3 სწავლების პედაგოგიური პროცესის განათლებასა საბანგანატლებლო, აღმზრდელობითი პიროვნების ფორმირება განმავითარებელი უნეჰსიები რების რთული, მიზანმიმართული, სოციალური, ორგანიზებული მთლიანი პედაგოგიური პროცესის ორგანული ნაწილია. ადამიანის ცოდნა-ჩვევების ფორმირება ხორციელდება სწავლების პედაგოგიურ**

პროცესში. ამ პროცესს, რომელიც სკოლაში ძირითადად გაკეთ-  
ილის ფორმით მიმდინარეობს სწავლების პედაგოგიური პროცესი  
ეწოდება. მისი ორი მთავარი ელემენტია მასწავლებელი და  
მოსწავლეები, რომელთა ერთობლივ საქმიანობაში, ურთიერ-  
თობასა და თანამშრომლობაში წარმმართველი როლი ეკუთვნის  
მასწავლებელს. სწორედ ამ ერთიანი მოქმედიანობის, ურთიერ-  
თობისა და თანამშრომლობის გამოხატველი ცნებაა სწავ-  
ლება. სწავლებას ერთმანეთთან დაკავშირებული სამი ფუნქცია  
აკისრია. ესენია: საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და  
განმავითარებელი ფუნქციები.

ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ფუნქციაში იგულისხმება მეც-  
ნიერული ცოდნის საფუძვლების შეთვისება, სპეციალური და ზოგ-  
ადსასწავლო უნარებისა და ჩვევების ფორმირება. მეცნიერული  
ცოდნა მოიცავს ფაქტებს, ცნებებს, კანონებს, კანონზომიერებებს,  
თეორიებსა და სამყაროს განზოგადებულ სურათს. სპეციალურ  
უნარებსა და ჩვევებში იგულისხმება მოცემული კონკრე-  
ტული მეცნიერებისათვის შესაგყვისი სპეციფიკური უნარ-ჩვევები  
ანუ დაუფლება და ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყ-  
ენების შესაძლებლობა. ამასთანავე სწავლების პროცესში  
მოსწავლეები ეუფლებიან ზოგადსასწავლო უნარ-  
ჩვევებს, რომლებიც საერთოა ყველა სასწავლო დისციპლინ-  
ისათვის და ასახავენ სწავლის სხვადასხვა ხერხებს.

ა ლ მ მ რ დ ე ლ ო ბ ი თ ი ფუნქციის შინაარსია სწავლების  
პროცესში მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ფორმირება,  
ზნეობრივი, შრომითი, ესთეტიკური, ეთიკურ-მორალური აღზრდა,  
შეხედულებებისა და რწმენის ჩამოყალიბება, საზოგადოებაში  
ქცევის, მოქმედებისა და ურთიერთობათა ჩვევების, იდეალების  
სისტემათა გამომუშავება-ჩამოყალიბება, მოთხოვნილებების,  
მიდრეკილებათა და ინტერესების განვითარება, ფიზიკური  
სრულყოფა და კულტურული დონის ამაღლება. მეორენაირად,  
სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია გულისხმობს დადებითი  
ტიპის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებების ფორმი-  
რება-ჩამოყალიბებას.

განმავითარებელი ფუნქცია გამომდინარეობს საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციებიდან და გულისხმობს მოსწავლეთა ჩაბმას საქმიანობის ისეთ სახეებში, რომლებიც ხელს უწყობენ მათი სენსორული აღქმის, მოძრაობითი, ინტელექტუალური, ნებელობითი, ემოციური და მოტივაციური სფეროების განვითარებასა და სრულყოფას. ეს კი ნიშნავს, რომ სწავლების პედაგოგიურ პროცესში ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-ფორმირებასთან ერთად საჭიროა ისეთი სპეციალური საქმიანობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ კარმონიულ განვითარებას.

სწავლების პედაგოგიურ პროცესში სამივე ეს ფუნქცია ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს: ერთი წინ უძღვის მეორეს, წარმოადგენს მის მიზეზს, ხოლო მეორე კი ფაქტიურად პირველის შედეგია. ასე მაგალითად, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციების ერთიანობა არის მესამე, განმავითარებელი ფუნქციის საფუძველი. განმავითარებელი ფუნქცია კი იწვევს საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციების ინტენსიფიკაციას.

უახლეს პედაგოგიკურ ლიტერატურაში, ლაპარაკია რა სწავლების ამ ფუნქციათა ერთიანობაზე, განათლება გააზრებულია როგორც სწავლების განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქციების მთლიანობის ასახვა. ამ თვალსაზრისით სწავლების პროცესი არ წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის, ცოდნის გადაცემისა და მისი შეთვისების პროცესთა უბრალო ჯამს. ესაა თვისობრივად ახალი, მთლიანი პედაგოგიური პროცესი, მოვლენა, რომლის მინაარსიც განპირობებულია მრავალფეროვანი დიდაქტიკური გემოქმედებით, ერთობლივი მოქმედებითა და თანამშრომლობით. სწავლების პედაგოგიური პროცესის მთლიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შემეცნების პროცესით, არამედ იგი პიროვნებაზე ახდენს უფრო ფართო საგანმანათლებლო, აღმზრდელობითსა და განმავითარებელ გავლენას. საქმე იმაშია, რომ შეთვისების საგანს აქვს სამი ურთიერთდაკავშირებული მხარე: თეორიული (ფაქტები, თეორიული იდეები და ცნებები), პრაქტიკული (უნარები, ჩვევები, შესაძლებლობანი) და მსოფლმხედველობით-მნიშვნელოვანი (ცოდნასა და უნარ-ჩვევებში

ასახული მსოფლმხედველობითი და მწეობრივი იდეები, ცნებები, წესები). ბუნებრივია, რომ სწავლების პედაგოგიური პროცესის სწორი წარმართვის პირობებში მოსწავლეები ეუფლებიან სასწავლო მასალის სამივე მხარეს, ე. ი. შეითვისებენ თეორიას (ფაქტებს, ცნებებს, წესებს, კანონებს), გამოიმუშავენ მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებსა და შემოქმედებითი საქმიანობის ხერხებს, ამასთანავე სიღრმისეულად გაიაზრებენ მსოფლმხედველობითსა და მწეობრივ-ესთეტიკურ იდეებს. ამრიგად, სწავლების პროცესში ერთდროულად და მთლიანობაში ხდება პიროვნების გამდიდრება მეცნიერული ცოდნით, მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება, მსოფლმხედველობის და მწეობრივ-ესთეტიკური კულტურის ფორმირება.

სწავლების ფუნქციათა ამ ახლებურმა გააზრებამ განაპირობა განათლების ახლებური ცნების ჩამოყალიბება:

1. განათლების ცნების ქვეშ იგულისხმება მოსწავლეთა მიერ მეცნიერულ ცოდნათა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების, მათი გონებრივ-შემეცნებითი და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარების, აგრეთვე მსოფლმხედველობის, მწეობრივი და ესთეტიკური კულტურის ჩამოყალიბების პედაგოგიური პროცესი.

2. ამავე დროს განათლების ცნების ქვეშ იგულისხმება ამ პროცესის შედეგი. რაც განაპირობებს მოზარდის გარკვეულ ინტელექტუალურ-შემოქმედებით, მსოფლმხედველობით, მწეობრივ-ესთეტიკურ პიროვნულ სახესა და ინდივიდუალურ განუმეორებლობას.

სწავლების პროცესის ზოგად პედაგოგიური და საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციით გათვალისწინებული სწავლების პედაგოგიური პროცესის ფუნქციათა რეალიზაცია შესაძლებელია სახალხო განათლების სისტემის ისეთი საერთო ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა:

- ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული საგანმანათლებლო პედაგოგიური ტრადიციები და ყოველი ნოეაციის მათთან შეხამება;

- ინტენსიური განათლება ექსტენსიურის ნაცულად;

- სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა მთლიან პედაგოგიურ პროცესად;

- სამივე საფეხურის სკოლისათვის საგანთა შემდეგი ბლოკების არსებობა: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მამულისმცოდნეობა, ფიზიკური აღზრდა, საყოფაცხოვრებო კულტურა და ეთიკა, ესთეტიკა და პრაქტიკული ეკოლოგია.

ამასთანავე სწავლების ფუნქციათა წარმატებით განხორციელება დაკავშირებულია განათლების მიზნებისა და ამოცანების ერთიანობის სკოლების მრავალფეროვნებასა და ვარიანტულობასთან ორგანული შეხამების გზით გადაწყვეტასთან; სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მოქნილობასთან; მოწინავე პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაყრდნობასთან; სწავლებისა და აღზრდის ნოვატორული მეთოდების გამოყენებასთან.

სწორედ ასეთივე მოთხოვნებია წაყენებული სწავლების პედაგოგიური პროცესისადმი საქართველოს რესპუბლიკის საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამაშიც, რომლის ძირითადი არსი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სწავლების პედაგოგიური პროცესი უნდა აიგოს ეროვნული კულტურის საძირკველზე, მდიდარ საგანმანათლებლო ტრადიციებსა და პედაგოგიურ მემკვიდრეობაზე, კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ფასეულობებზე დაყრდნობით (2).

§ 4 სწავლების პროცესის სტრუქტურა, მისი ძირითადი კომპონენტები და ორგანიზაციული ხასიათი

სწავლების პროცესი რთული სტრუქტურის მქონე პედაგოგიური მოვლენაა. იგი შეიძლება ძირითადი კომპონენტებისაგან შედგება, რომელთა შინაარსი ასეთია:

1. სწავლების ავტორიზირებული პროცესის მიზნობრივი კომპონენტი. ესაა სასწავლო საგნის, მისი ნაწილის ან ცალკეული თემის შესწავლის მიზნებისა და ამოცანების შეგნება მასწავლებელთა

მიერ და მათი მიღება, გათავისება მოსწავლეთა მიერ. სწავლების მიზანი სოციალურად დეგერმინებულია: იგი განისაზღვრება სკოლისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების წინაშე სამოგადოების მიერ დასახული ამოცანებით, რაც შესაბამისად აისახება სადირექტივო და ნორმატულ დოკუმენტებში სახალხო განათლების შესახებ. სასწავლო პროცესის კონკრეტულ ციკლში სწავლების მიზანი და ამოცანები განისაზღვრება პროგრამის მოთხოვნებით, მოცემული კლასის თავისებურებებითა და მომზადების, განათლების, აღზრდილობის, განვითარების დონით, მასწავლებელთა შესაძლებლობებისა და სწავლების პედაგოგიური პროცესის პირობების გათვალისწინებით.

2. სწავლების შინაარსის კომპონენტი. სწავლების შინაარსი განისაზღვრება სასწავლო გეგმით, მოცემული საგნის სასწავლო პროგრამითა და სახელმძღვანელოებით. ესაა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ის მოცულობა, რომელიც მოსწავლეებმა უნდა აითვისონ სწავლის პროცესში. ცალკეული გაკვეთილის შინაარსი კონკრეტდება მასწავლებლის მიერ დასახული ამოცანების, საგნის შინაარსის, მოსწავლეთა მომზადების დონისა და მათი შემუცნებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

3. ორგანიზაციის ანუ ოპერატიული-მოქმედებითი და მეთოდოლოგიური კომპონენტი. ასახავს სწავლების პროცესულურ-მეთოდოლოგიურ შინაარსს. სახელდობრ, პედაგოგთა და მოსწავლეთა საქმიანობაში, მათს ურთიერთობებში, თანამშრომლობაში, რაც ხორციელდება გარკვეულ დროში და განისაზღვრება მოსწავლეთა მიერ კაცობრიობის სოციალური გამოცდილების გაცნობიერებითა და შემუცნებით. ამ კომპონენტის რეალიზაციის საშუალებაა სწავლების გარკვეული მეთოდებისა და ფორმების გამოყენება სწავლების პროცესში.

4. სტიმულირებისა და მოტივაციის კომპონენტი. გულისხმობს, რომ მასწავლებელი სწავლების მოცემული ციკლის სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების რეალიზაციას განახორციელებს მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების სტიმულირების

პედაგოგიური ღონისძიებების მეშვეობით. სწავლების პედაგოგიური პროცესის სწორმა, მიზმიდევლმა და საინტერესო ორგანიზაციამ უნდა განაპირობოს მოსწავლეთა შეგნებაში სწავლის დადებითი შინაგანი მოტივების ჩამოყალიბება. სწავლისადმი ინტერესისა და მისწრაფების ერთიანობა არის სწავლების პედაგოგიური პროცესის სტიმულირებისა და მოტივიზაციის კომპონენტის დედაბრძო.

5. ემოციურ-ნაბეჭდოთი კომპონენტი. გულისხმობს იმ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ დებულებას, რომ პედაგოგიური შრომის თანამედროვე ტექნოლოგია აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლეთა ემოციურ გამოძახილსა და ნებისყოფის დაძაბვას. სწავლების ემოციურობაში იგულისხმება სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ისეთი ხასიათი, რომლის დროსაც მოსწავლეებს უღვივდებათ ინტერესი და შინაგანი მისწრაფება სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობისადმი. სწავლების ემოციურობა და ცოდნათა დაუფლების პროცესში ნებისყოფის დაძაბვა მიიღწევა ისეთი დიდაქტიკური მეთოდებითა და ხერხებით, როგორცაა თვალსაჩინოებათა დემონსტრაცია, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, გადმოცემის მაღალი ოსტატობა და შინაარსიანობა, შესატყვისი მაგალითებისა და ფაქტების მოშველიება, პრობლემურ სიტუაციათა შექმნა, წინააღმდეგობათა დაძლევა და სასწავლო-შემოქმედებითი და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტა.

6. კონტროლისა და რეგულირების კომპონენტი. გულისხმობს სწავლების ამოცანებისა და მიზნების, შინაარსის რეალიზაციის მსუბუქობის კონტროლს მასწავლებლის მხრივ და სასწავლო დაეალებათა შესრულების სისწორისა და მიღებული შედეგების თვითკონტროლს მოსწავლეთა მხრივ. მასწავლებლის მიერ ეს კონტროლი ხორციელდება წერილობითი, გეპირი, ლაბორატორიული, სემინარული, პრაქტიკული გეპირი და წერითი სამუშაოების შესრულების მეშვეობით, გამოკითხვის, ჩათვლებისა და გაჩოცლების მოწყობის გზით. მოსწავლეთა თვითკონტროლი კი მიზნიანარეობს შესწავლილი მასალის ათვისების დონის, სავარჯიშოთა შესრულების სისწორის თვითშემოწმების სახით. კონტ-



როლი და თვითკონგროლი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ ინფორმაციის მიღებას სიძნელეების, სწავლების ამოცანების ეტაპობრივი რეალიზაციის ხარისხისა და ტიპური ნაკლოვანებების შესახებ. ყოველივე ამის გათვალისწინება განაპირობებს სწავლების პროცესის კორექციისა და რეგულირების აუცილებლობას, მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების საჭიროებისამებრ შეცვლას, ახლის გამოყენებასა და მათს ოპტიმიზაციას.


7. შედეგების ანალიზისა და შეფასების კომპონენტი. გულისხმობს სწავლების პროცესის შედეგების შეფასებას მასწავლებლის მიერ და სწავლის შედეგების თვითშეფასებას მოსწავლეთა მიერ. ეს კომპონენტი უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების მიზანსა და ამოცანებთან შესაბამისობის დადგენას, ნაკლოვანებათა გამოვლენასა და ახალი ამოცანების დასახეას მომავალ დადებით შედეგთა გათვალისწინებით.

სწავლების პედაგოგიური პროცესის ამ ძირითადი კომპონენტების მთლიანობა წარმოადგენს გარკვეულ სტრუქტურულ სისტემას, რომელიც მოიცავს სწავლების პედაგოგიური პროცესის მიზნებს, ამოცანებს, შინაარსს, მეთოდებს, ფორმებს, მოტივაციისა და სტიმულირების პირობებს, მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი სასწავლო-შემეცნებითი და აღმზრდელობითი საქმიანობის, თანამშრომლობის, კონგროლის, კორექტირების, რეგულირების, შედეგების ანალიზისა და შეფასების ფორმებსა და სახეებს. სწორედ მათი ერთიანობა არის სწავლების პედაგოგიური პროცესის სტრუქტურული შინაარსი. მაგრამ ამ სტრუქტურის არსი ამით არ შემოიფარგლება.

როდესაც ლაპარაკია სწავლების პედაგოგიური პროცესის სტრუქტურაზე, აქ გარდა შემოთხსენებულისა, პირველ რიგში, გულისხმობენ სწავლების პროცესის ორმხრივობას, რადგან მასში აუცილებლად მონაწილეობს ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე - მასწავლებელი და მოსწავლე. მათი ერთობლივი მიზანმიმართული თანამშრომლობითი საქმიანობა მიმდინარეობს გარკვეულ სასწავლო-მატერიალურ, მორალურ-ფსიქოლოგიურსა და ეთიკურ-ესთეტიკურ პირობებში. სწავლების ანუ მასწავ-

ლებლებისა და მოსწავლეთა ერთობლივი შემეცნებითი, სპეციალურად ორგანიზებული თანამოქმედებისა და თანამშრომლობის პროცესში სწავლების სუბიექტისა (მასწავლებელი) და სწავლების ობიექტის (მოსწავლე) საქმიანობა ორმხრივია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი გადასცემს, ხოლო მოსწავლეები ითვისებენ ცოდნას და აქტიური სასწავლო თანამშრომლობითი კავშირის საფუძველზე თვისობრივად გარდაიქმნებიან და ვითარდებიან.

სწავლების პედაგოგიური პროცესის ორმხრივი ხასიათის გრადიციული გაგება სქემის სახით ასე შეიძლება გამოისახოს



რაც შეეხება სწავლების პროცესის ორმხრივი ხასიათის მეცნიერულ გაგებას, იგი ბევრით სცილდება ზემოთ განმარტებულს და უშუალოდ უკავშირდება ამ პროცესის სტრუქტურას. სწორედ სწავლების პედაგოგიური პროცესის სტრუქტურაში ელინდება ამ პროცესის ორმხრივი ხასიათი: ერთის მხრივ, მასწავლებელი თავისი სასწავლო საქმიანობით. სქემატურად ეს ასე გამოიყურება:

# სწავლების პედაგოგიური პროცესი

მასწავლებლის სასწავლო-  
შემეცნებითი საქმიანობა.  
სწავლება

მოსწავლის სასწავლო-  
შემეცნებითი საქმიანობა.  
სწავლა

მიზნის  
კომპონენტი

მოსწავლეთა სასწავლო-  
შემეცნებითი საქმიანობის  
მიზნებისა და ამოცანების  
განსაზღვრა

მოსწავლეთა მიერ სას-  
წავლო-შემეცნებითი საქ-  
მიანობის მიზნებისა და  
ამოცანების გააზრება

შინაარსის  
კომპონენტი

მოსწავლეთა მიერ  
შესათვისებელი მასალის  
შინაარსის განსაზღვრა

ახალი მასალის თემისა  
და შინაარსის ძირითადი  
საკითხების გააზრება

ორგანიზაციის  
კომპონენტი

მოსწავლეთა სასწავლო-  
შემეცნებითი საქმიანო-  
ბის ორგანიზაცია

სასწავლო მასალის აღქმა,  
გააზრება, დამახსოვრება,  
განმეორება და გამოყენება

მოტივაციის  
კომპონენტი

მეყაღინობის მოთხოვნილე-  
ბისა და სასწავლო-შემეცნე-  
ბითი საქმიანობის მოტივების  
ფორმირება

სასწავლო-შემეცნებითი საქ-  
მიანობის მოთხოვნილება-  
თა და მოტივების განვითარ-  
ება და გაღრმავება

ემოციურ-  
ნებულობითი  
კომპონენტი

მოსწავლეთა სასწავლო  
საქმიანობის დადებითი  
ემოციური ხასიათის  
ფორმირება

სასწავლო-შემეცნებითი საქ-  
მიანობისა და ემოციურ-ნე-  
ბულობითი დამოკიდებულე-  
ბის გააზრება

კონტროლისა და  
რეგულირების  
კომპონენტი

მოსწავლეთა სასწავლო-  
შემეცნებითი საქმიანობის  
რეგულირება და კონტ-  
როლი

სასწავლო-შემეცნებითი  
საქმიანობის თვითკონტ-  
როლი და კორექტირება

ანალიზისა და  
შეფასების  
კომპონენტი

სასწავლო-შემეცნებითი საქ-  
მიანობის შედეგების  
ანალიზი და შეფასება

სასწავლო-შემეცნებითი  
საქმიანობის შედეგების  
თვითანალიზი, თე-  
თშეფასება

როგორც ამ სქემიდან ჩანს, სწავლების პედაგოგიურ პროცესში, ერთის მხრივ გამოდის მასწავლებელი თავისი სპეციფიკური სასწავლო საქმიანობით, რომელსაც სწავლების პროცესის შესაბამისი სტრუქტურული ელემენტები გააჩნია, ხოლო მეორეს მხრივ კი - მოსწავლეები, თავიანთი სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობით, რომლის სტრუქტურაც მასწავლებლის საქმიანობის სტრუქტურული ელემენტების შესაბამისად სწავლის პროცესის ელემენტებისაგან შედგება.

§ 5 მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის უსიძოლოდ მიმდინარეობის უსაფრთხოების საფუძვლები

სწავლა - ესაა მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის სისტემა, რომელიც მიმართულია

სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, მოსწავლეთა თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეიარაღებისაკენ. გამომდინარეობს რა დებულებიდან, ადამიანის განვითარებისათვის შრომის მნიშვნელობის შესახებ, პედაგოგიური ფსიქოლოგია ამტკიცებს, რომ საგნობრივმა მოქმედებამ უნდა შეცვალოს ადამიანის ქცევის ტიპი. ამასთანავე, ადამიანს საგნობრივთან ერთად ახასიათებს შინაგანი ფსიქიკური მოქმედებაც, რომელიც ხორციელდება სიტყვიერი, ციფრობრივი და სხვა ნიშნებით. ამ საქმიანობას ადამიანი მიჰყავს ფსიქიკურ განვითარებამდე.

სხვადასხვა ნიშნებსა და შრომის იარაღებს, შრომის ჩვევებსა და ცხოვრებისათვის აუცილებელ ხერხებს ადამიანი უფრო აქტიურად ეუფლება სპეციალურად ორგანიზებული სწავლების პირობებში. ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებს, რომლებშიც იგი ებმება სწავლების პროცესში და შემდგომ ვლინდება ცხოვრებისა და შრომის პროცესში, ადამიანი მიჰყავს მისი უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების განვითარებამდე.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის დებულებანი მიმართულია არა ცოდნის პასიური რეგისტრაციისა და არსებული დონის მისადაგება-შეგუებისაკენ, არამედ ადამიანის ფსიქიკურ ფუნქციათა აქტიური ფორმირებისაკენ თვით სწავლების პროცესში. აქედან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ღირებულებისაა სწავლების პროცესის ისეთი აგების იდეა, რომელიც ითვალისწინებს პიროვნების განვითარების უახლოეს ზონას ანუ ორიენტაციას არა დღეისათვის არსებული, არამედ უფრო მაღალი დონისაკენ, რომელსაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, დახმარებითა და მასთან თანამშრომლობით.

თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიას მიაჩნია, რომ ყოველი ასაკობრივი პერიოდისათვის დამახასიათებელია შემეცნებითი საქმიანობის შესაბამისი სახეობა: სკოლამდელთათვის - თამაში, უმცროსკლასელთათვის - სწავლა, საშუალო სასკოლო ასაკისათვის - საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თავისი მრავალფეროვნებით: სასწავლო, საზოგადოებრივ-ორგანიზატორული, ესთეტიკურ-მხატვრული, შემოქმედებითი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობითა და ქცევით. უფროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ამ ფორმებს ემატება სახეები, რომლებიც დაკავშირებულია საპროფორიენტაციო მუშაობასთან და ამავე დროს უკავშირდება მათში დამოუკიდებელი მნიშვნელოვანი-სოციალური მსჯელობების, შეხედულებების, შეფასებების, დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას.

შემეცნებისა და შრომის პროცესში ცოდნის აქტიურ შეთვისებასთან ერთად უმრუნველყოფილი უნდა იყოს ურთიერთობათა და თანამშრომლობის ისეთი ფორმები, რომლებიც ქმნიან პირობებს ამ პროცესთა აქტივიზაციისათვის. შემეცნების, შრომის, ურთიერთობათა და თანამშრომლობის პროცესის სწორი ორგანიზაცია არის სასწავლო-შემეცნებითი პროცესის წარმატებითი ფუნქციონირების უძირითადესი პირობა და საფუძველი.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ამ საკითხზე პროფესორ ნოღარ ბარამიძეს. აი, როგორია მისი შეხედულება:

თამაში. როგორც ვიცით, ადამიანის შინაგანი ძალების სპონტანური, თავისუფალი ამოქმედებაა, რის გამოც იგი ყოველგვარი უსიამოვნო შინაგანი დაძაბულობისა და იძულების გარეშე მიმდინარეობს. თამაშის სუბიექტისათვის დამახასიათებელია სასიამოვნო ემოციები და, საერთოდ, თამაშის მთელი პროცესი დადებით ემოციურ ფონზე იმდება. ეს კი სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან ამ აქტივობას საფუძვლად ედება ფუნქციონის მოთხოვნილება (გენდენცია), რომლის, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მოთხოვნილების, დაკმაყოფილებაც ყოველთვის დადებით ემოციურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული (ე. ი. დადებითი, სასიამოვნო ემოციები თამაშის პროცესის კანონზომიერი შედეგია და არა მისი მიზეზი და, ამიტომ, აქ პედონიზმის პრინციპებთან რაიმე კავშირი გამორიცხულია).

შრომა, თამაშისაგან განსხვავებით, გარედანაა განსაზღვრული. მას საგნობრივი მოთხოვნილება ედება საფუძვლად. აქ საგანი თვითონ განსაზღვრავს თუ რა ძალების ამოქმედებაა საჭირო შესაბამისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ქცევის გასაშლელად. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ქცევა გარედან, საგნიდან ღებულობს იმპულსს... სწორედ ამიტომ, რომ შრომის (ექსტროგენული ქცევა) იძულებითი აქტივობის ხასიათს ატარებს (უზნაძე). აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ „იძულებითი“ მოცემულ კონტექსტში აღნიშნავს არა იმას, რომ შრომა მძიმე აქტივობაა, არამედ მხოლოდ იმას, რომ შრომის სუბიექტმა ანგარიში უნდა გაუწიოს საგნის თვისებებს, ობიექტურ გარემოებას, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შრომა ზოგიერთ შემთხვევაში (გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო) იძულებითი აქტივობის ხასიათსაც შეიძლება ატარებდეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ თავისთავად ეს ჩვენთვის არაა მთავარი. მთავარია შრომისა და თამაშის ზემოთ მოგანილ დახასიათებათა ურთიერთმიმართება, მათი ურთიერთშედარება, რაც იმას გვეუბნება, რომ არ არსებობს შინაგანად მიუღებელი, არასასიამოვნო თამაში, მაშინ, როცა შრომითი აქტივობა ერთ შემთხვევაში შინაგანად შეუწყნარებელიც შეიძლება იყოს და მეორე შემთხვევაში დიდ კმაყოფილებასაც

ანიჭებდეს ადამიანს (ნ. ბარამიძე. სწავლის ფსიქოლოგიური საკითხები. ბათუმი, 1986 წ., გვ. 14-15).

რა ადგილი უჭირავს სწავლას ადამიანის ქცევამი და როგორია მისი ფსიქოლოგიური ასპექტები?

კელაე ნ. ბარამიძის მოსაზრებას მოვიშველიებთ.

სწავლა თავისი განხორციელების სირთულითა და თავისებურებით განსაკუთრებულ ქცევას მიეკუთვნება. თუკი სწავლა გარდამავალი ქცევის ფორმაა თამაშა და შრომას შორის, ე. ი. მას თამაშის მოტივიც ამოძრავებს და შრომისაც, მაშინ გაუგებარია ის დამოკიდებულება სასწავლო აქტივობისადმი, რომელსაც აელენენ მოსწავლეები თითქმის ყოველთვის. როდესაც ეს აქტივობა ფერხდება, წყდება ან დროში გადაიდება. ასე მაგალითად, ყოველი გაცდენილი გაკვეთილი სიამოვნებას გვრის მოსწავლეს, ყოველი კვირის მოახლოება ახარებს, ყოველი ორშაბათი დღე კი მძიმე დღეა მათთვის.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ სწავლას, მისი სუბიექტის პოზიციებიდან თუ ვიმსჯელებთ, ცოტა რამ აქვს საერთო თამაშთან, იგი უფრო ახლოა შრომასთან და უფრო მეტად შეიცავს მის ელემენტებს.

სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის თანმხლებია მოსწავლეთა მიერ სასწავლო ინფორმაციის შეთვისება-გაცნობიერების შინაგანი ფსიქიკური პროცესი, რომლის შედეგადაც მოსწავლეებს უყალიბდებათ არა მარტო გარკვეული მოცულობის ცოდნა, არამედ, ამასთანავე, - მოქმედების გარკვეული სახეებიც, რომლებშიც ელინდება ცოდნა. მაგრამ დიდაქტიკისათვის ცოდნის როლის ასეთი განსაზღვრა არასრულია, რადგან მასში ასახული არაა განათლების პროცესის აგების მიზნებისა და შინაარსის ლოგიკა, რომელშიც ცოდნათა ფორმირება გამოიყოფა როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მიზანი. ცოდნა არსებობს არა მარტო პიროვნების გონებაში, არამედ წიგნებშიც, ელექტრონულ მანქანათა „მეხსიერებაში“ ინფორმაციის სახით და იგი ადამიანის კუთვნილებად გადაიქცევა მხოლოდ შემეცნებითი საქმიანობის წყალობით. ამავე დროს ცოდნა არ შეიძლება განვიხილოთ მოქმედებასთან კავშირის გარეშე, რადგან ცოდნა, პირველ რიგში,

საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა იმოქმედოს. მაშასადამე, ადამიანის ცოდნა უნდა იყოს ქმედითი, არა მარტო ინფორმაციული ისე, როგორც ესაა წიგნებში თუ ელექტრონულ მანქანებში, არამედ განაპირობებდეს ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას, მის საქმიანობას.

ნებისმიერ შემთხვევაში მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის თანამგზავრია ცოდნის შეთვისების შინაგანი ფსიქიკური პროცესი, რომელიც გულისხმობს:

**აღქმას** - მოსწავლის ამროვნებაში საგნებისა და მოვლენების მთლიან ან მათი ცალკეული თვისებების ასახვას.

**გაგებას** - აღქმის გაგრძელებას, ანუ სასწავლო მასალის არსის წედომას, გაცნობიერებას.

**გააზრებას** - სასწავლო მასალის ისეთ შეთვისებას, რომლის დროსაც მოსწავლე შედარებების, ანალიზის, კავშირების, მიზეზ-შედეგის უფრო ღრმად გაცნობიერების მეშვეობით სიღრმისეულად წვდება და უფრო საფუძვლიანად შეითვისებს სასწავლო მასალას.

**განზოგადებას** - გააზრება უშუალოდ გადაიმრდება ცოდნათა განზოგადების პროცესში, რომლის დროსაც გამოიყოფა და გაერთიანდება უკვე შესწავლილ და გააზრებულ მასალაში არსებული საერთო არსებითი ნიშნები, ხდება უმთავრესის, არსებითის გამოყოფა, ფაქტებისა და ნიშან-თვისებათა ანალიზი, გარკვეული წესით მათი სინთეზი, მათი ურთიერთშედარება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა. სწორედ ამასი ელინდება განზოგადების შინაარსი, რაც სწავლების ხარისხის ამაღლებისა და შეთვისების პროცესის აქტივიზაციის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

**განმტკიცებას** - ადამიანმა შეიძლება აღიქვას, გაიგოს და გაიაზროს ესა თუ ის მასალა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ დაივიწყოს იგი. მყარი ცოდნის საფუძველია მისი დამახსოვრება, ხოლო მყარი დამახსოვრება შესაძლებელია მხოლოდ განმეორებადი გააზრებით, მრავალჯერადი განმეორებით, შესწავლილის არაერთგმის აღდგენით, მისი დაკავშირებით ახალ ცოდნასთან და მასთან კავშირში განზოგადებით.



გამოყენებას - მასალის შეთვისებისა და გაცნობიერების, გაგებისა და გააზრების ბოლო ფსიქიკურ მომენტს. იგი გულისხმობს მიღებული ცოდნის სასწავლო და შრომითს საქმიანობაში, ცხოვრებაში წარმატებით გამოყენებას.

სწავლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციასა და ამოცანას წარმოადგენს აზროვნების, მეხსიერების, შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ნიჭის განვითარება, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს გონებრივ აღზრდას. გონებრივი აღზრდა ჩვეულებრივად უკავშირდება ცოდნათა მყარი ფონდის დაგროვებას, სასწავლო-შემეცნებითი ოპერაციების ფლობასა და მათს სრულყოფას, მოსაზრებულობისა და აზროვნების მოქნილობას როგორც ახალი მასალის შეთვისებისას, ასევე სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებისას.

გონებრივი აღზრდის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს უნარებისა და შემოქმედებითი მონაცემების, უპირველესად კი ისეთი ზოგადი შესაძლებლობების განვითარება, როგორცაა შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, ყურადღება, საზრიანობა, მეხსიერება, სწავლაში სიძნელეთა დაძლევის უნარი და ა.შ. ყველაფერი ეს კი მოითხოვს მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის სპეციფიკურ ორგანიზაციას. აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის პიროვნებას, მის ერუდიციას, თავისი მეცნიერებით გატაცებას, სასწავლო მასალის ცოცხლად, საინტერესოდ და ემოციურად გადმოცემის უნარს. ამავე თვალსაზრისით ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესში შემოქმედებითი ამოცანების ჩართვას, მოსწავლეებში მყარი ცოდნისადმი ინტერესის გაღვივებას, სუსტი მოსწავრების ბავშვებისადმი ინდივიდუალური დახმარებისა და კარგი მოსწავრების მოსწავლეთა შესაბამისი სასწავლო დატვირთვის დომირებას.

სწავლების პედაგოგიური პროცესის აღმზრდელობითი ფუნქციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მსოფლმხედველობის, მნეობრივ-ესთეტიკური ფორმირება, მეხედულებებისა და რწმენის ჩამოყალიბება. აქ იგულისხმება სასწავ-

ლო მასალის მსოფლმხედველობითი და მნეობრივ-ესთეტიკური მხარეების დაუფლება. რაც შეეხება შეხედულებებსა და რწმენას, მათს ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს სასწავლო მასალის მეცნიერული და იდეური მხარეები. ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა განპირობებულია მათდამი მასწავლებლის განსაკუთრებული ყურადღებით. საქმე იმაშია, რომ თუ ცოდნის გამოყენებითი, ფაქტობრივი მხარე უფრო ნათლად ელინდება, მათი მსოფლმხედველობითი და მნეობრივ-ესთეტიკური მიმართება ყოველთვის გასაგები როდია. ამიტომ, სწავლების პროცესში სასწავლო მასალის გამოყენებით მხარესთან ერთად უფრო ნათლად და მოსწავლეებისათვის გასაგებ ენაზე უნდა წარმოჩნდეს მისი მსოფლმხედველობითი, იდეური, მნეობრივი და ესთეტიკური მიმართებანი.

ეს მიმართებანი არ წარმოადგენენ სწავლების განსაკუთრებულ საფეხურს ან ეტაპს. ისინი გამოდიან როგორც ცოდნათა გააზრების, შეთვისების, პრაქტიკული გამოყენების ორგანიზაციის ნაწილი, ამასთანავე მასწავლებელი უნდა აღწეედეს მათში მოცემული მსოფლმხედველობითი, მნეობრივი, ესთეტიკური იდეების სიღრმისეულ გააზრებასა და მტკიცე დაუფლებას.

სწავლების პედაგოგიური პროცესის დიდაქტიკური  
კანონზომიერებანი და პრინციპები

- § 1 სწავლების პედაგოგიური პროცესის ზოგადი დიდაქტიკური კანონზომიერებანი.
- § 2 სწავლების პედაგოგიური პროცესის კანონზომიერებანი, რომლებიც ახასიათებენ მას, როგორც აღზრდის ორგანულ ნაწილს.
- § 3 სწავლების პედაგოგიური პროცესის სპეციფიკურ კანონზომიერებათა სისტემა.
- § 4 სწავლების პედაგოგიური პროცესის დიდაქტიკური პრინციპები.
- § 5 სწავლების პედაგოგიური პროცესის დიდაქტიკური პრინციპები უახლეს პედაგოგიურ ლიტერატურაში.
- § 6 სწავლების პედაგოგიური პროცესის დიდაქტიკური პრინციპები ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში.

ლიტერატურა

1. ეროვნული ქართული სკოლის კონცეფცია. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1989 წ. 16 ნომბერი
2. საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფცია. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 3 იანვარი
3. საქართველოს რესპუბლიკის საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამა. „ერი“, 1991 წ. 5 ივნისი
4. დიდაქტიკის საკითხები. გ.თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1953 წ., გვ. 28-42
5. დ. ლორთქიფანიძე. დიდაქტიკა. თბილისი, 1981 წ., გვ. 90-111
6. ა. გობრონიძე. პედაგოგია. ბათუმი, 1996 წ., გვ. 75-96
7. ე. გაგუა. - პედაგოგია. თბილისი, 1996 წ., გვ. 93-108
8. Педагогика школы. Под ред. Г.И. Щукшиной. М. Просвещение, 1977 г. гл. 15, стр. 291-305
9. Дидактика средней школы. Под ред. М. Н. Скакыша, М. Просвещение, 1982 г., с. 48-88, 161-167

10. Педагогика. Под ред. Ю.К. Бабанского. М.Н. Скаткина, М. Просвещение, 1983 г., с. 154-160, 161-176.
11. Д.О. Лортыпявидзе. Дидактика. Тбилиси. Госуниверситет, 1985 г. гл. 5, стр. 133-161.
12. М.И. Махмутов. Современный урок. М.Педагогика, 1985 г., стр. 25-29.
13. Педагогика. Под ред. С.П. Баранова и В.А. Сластенина. М. Прос-вещение, 1986 г., гл. 9, с. 90-207.
14. С.П. Баранов, Л.Р. Болотина, В.А. Сластенин. Педагогика. М. Прос-вещение, 1987 г., гл.8, с. 81-89.
15. Педагогика. Под ред. Ю.К. Бабанского. М. Просвещение, 1988 г., гл. 2, § 3, с. 35-42, гл. 3, с. 43-64.
16. Харламов И.Ф. Педагогика. М. Высшая школа, 1991 г., с. 179-192.

§ 1 სნაპელების პედაგოგიური ფილოსოფიაში კანონზო-  
პროცესის გოპალი დილაქტიკური მიერებას უწოდებენ ობი-  
კ ა ნ ო ნ ო მ ი ე რ ე ბ ა ნ ი ექტურად არსებულ, მყარ,  
განმეორებად და არსებით

კავშირებს მოვლენებსა და პროცესებს შორის, რომლითაც ხასია-  
თდება მათი განვითარება. არსებობს შინაგანი და გარეგანი  
კანონზომიერებანი, რომლებიც განაპირობებენ კავშირებს მთლი-  
ანი პედაგოგიური პროცესის მოვლენებსა და ელემენტებს შორის.

1. ბარაბანი კანონზომიერებანი:

- აღზრდისა და სწავლების მთლიანი პედაგოგიური პროცესის მიზანი, ამოცანები, შინაარსი, ფორმები და მეთოდები განპი-  
რობებულია საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნ-  
ილებებით, იდეოლოგიითა და პოლიტიკით.

- პედაგოგიური პროცესის ამოცანები, შინაარსი, მეთოდები და ფორმები დამოკიდებულია არა მარტო საზოგადოების მოთხოვნილებებზე, იდეოლოგიასა და პოლიტიკაზე, არამედ, აგრეთვე ამ საზოგადოების შესაძლებლობებსა და პირობებზე, რომელშიც მიმდინარეობს ეს პროცესი.

2. შინაგანი კანონზომიერებანი:

- აღზრდის, განათლებისა და განვითარების კანონზომიერი ურთიერთკავშირი.

- მთლიან პედაგოგიურ პროცესში აღზრდისა და სწავლების ეფექტურობა კანონზომიერადაა დამოკიდებული იმისაგან, თუ როგორ შესძლეს პედაგოგებმა თავიანთი და მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ერთიანობის უზრუნ-  
ველყოფა (აღზრდისა და თვითაღზრდის, სწავლებისა და სწავლის, სწავლებისა და აღზრდის მთლიანობა).

- აღზრდა, სწავლება და განათლება გადამწყვეტადაა დამოკ-  
იდებული იმ საქმიანობის ხასიათზე, რომელშიც სწავლებისას ჩაებმებიან მოსწავლეები. (აღზრდისა და სწავლების მთლიან პედაგოგიურ პროცესში განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის საქმი-  
ანობასა და ურთიერთობებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. შესაბამისად, ასეთი მოქმედების სახეებია: თამაში, სასწავლო-შემეცნებითი, შრომითი, საზოგადოებრივი და სხვა საქმიანობანი. ამ სახეთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა

ენიჭება მასწავლებელთა და მოსწავლეთა, აგრეთვე მოსწავლეთა ურთიერთობებს თანამშრომლობის სახით.

- პედაგოგიური პროცესის წარმატება კანონზომიერადაა დაკავშირებული და დამოკიდებული პედაგოგთა უნარ-შესაძლებლობებზე - გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი.

- კოლექტივისა და პიროვნების კანონზომიერი ურთიერთკავშირი პედაგოგიურ პროცესში. აღზრდისა და სწავლების თანამედროვე პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი თავისებურება - მისი კოლექტივისტური მიმართულება და კოლექტივის განმსაზღვრელი როლი პიროვნების ფორმირებაში - წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებას აღზრდისა და სწავლების თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკისათვის.

- მთლიან პედაგოგიურ პროცესში ამოცანების, შინაარსის, მეთოდებისა და ფორმების კანონზომიერი ურთიერთგანპირობებულობა და ურთიერთკავშირი. (14, 81-89).

პედაგოგიკაში გვხვდება სწავლების პედაგოგიური პროცესის კანონზომიერებათა სხვაგვარი გაგებაც, რომელიც ამდიდრებს ზემოთ ნათქვამს. დ. ლორთქიფანიძე თავის „დიდაქტიკაში“ გამოჰყოფს სამ ძირითად ზოგადდიდაქტიკურ კანონზომიერებას:

1. აღზრდის სოციალური და მარადიული ხასიათი, როგორც საზოგადოების ისეთი აუცილებელი ფუნქციისა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა თაობების მიერ ერთმანეთისადმი მათ წინაპართა მიერ მოპოვებული და მათს მიერ დაგროვილი გამოცდილების გადაცემას მომდევნო თაობებისადმი.

2. აღზრდის მიზნების, შინაარსის, გზების, მთელი მისი მიმართულებისა და განვითარების განპირობებულობა საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური წყობით, ეკონომიკური ბაზისითა და საზოგადოებრივი განვითარებით.

3. აღზრდის განმსაზღვრელი როლი პიროვნების ფორმირება-ჩამოყალიბებაში.

სწორედ ამ სამი ზოგადპედაგოგიური კანონზომიერებიდან გამოჰყავს დ. ლორთქიფანიძეს სწავლების პედაგოგიური პროცესის გნოსეოლოგიური, ზოგადპედაგოგიკური და ფსიქო-ფიზი-

ოლოგიური საფუძელები, რომლებიც, აეგორის ამრით, ასახავენ სწავლების კანონზომიერებებს.

სწავლების გნოსეოლოგიური საფუძელება:

- სწავლება და სწავლა, ისე როგორც შემეცნება, ორგანულად უკავშირდება ადამიანის ცნობიერებაში რეალური სინამდვილის ასახვას და ამ ამრით წარმოადგენს სინამდვილის მეცნიერული ასახვის სპეციფიკურ ფორმას, პროცესს ადამიანის ცნობიერებაში, ე.ი. შემეცნების სპეციფიკურ ფორმას. შესაბამისად, სწავლების გნოსეოლოგიური საფუძელები განსაზღვრავენ, რომ:

1. შემეცნების პროცესისაგან განსხვავებით, რომელიც მუდმივი ძიების პროცესია, სწავლა შემოიფარგლება ცოდნა-ჩვევათა იმ მოცულობითა და შინაარსის შეთვისებით, რომელიც წინასწარ გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამებით და შეესატყვისება მოსწავლეთა ასაკს.

2. სწავლა, არის უკვე შემეცნებულისა და პრაქტიკით დადასტურებულის გაცება-შეთვისების პროცესი.

3. სწავლება როგორც მოსწავლის მიერ ცოდნა-ჩვევების დაუფლების გეგმამომიერი, ორგანიზებული, ძირითადად მართვადი პროცესი, აუცილებლად მოითხოვს ამ პროცესის ხელმძღვანელს - მასწავლებელს, ხოლო შემეცნების პროცესისათვის ასეთი ხელმძღვანელი აუცილებელი არაა.

სწავლების გოგაღაეაგოგიური საფუძელება:

1. სწავლების აღმზრდელობითი ხასიათი.

2. სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, მისი შეერთება მწარმოებლურ შრომასა და საქმიანობასთან.

3. მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარებისა და სწავლების განმავითარებელი ფუნქციის გათვალისწინება.

სწავლების ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიური საფუძელება:

1. ყურადღება, მეხსიერება, ნებისყოფა, ემოციები წარმოადგენენ რა ფსიქიკის ფუნქციებს და ამავე დროს - სწავლების საფუძეელსაც, აღმზრდისა და სწავლების პროცესში თავადაც ეითარდებიან.

2. ყურადღების, როგორც ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ორგანიზაციის ფორმის გათვალისწინება უმრუნველყოფს შე-

მეცნებითი აქტივობის კონცენტრირებას, რის შედეგადაც ობი-  
ექტური სამყარო, სავნები და მოვლენები ნათლად აისახებიან  
ცნობიერებაში. ფსიქიკის ასეთი შემეცნებითი მოქმედების გათუ-  
ალისწინების გარეშე შეუძლებელია აღზრდა და სწავლება.

3. სწავლების პედაგოგიურ პროცესში მეხსიერებისა და და-  
მახსოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორების გათვალისწინება.

4. სწავლების პედაგოგიურ პროცესში სასწავლო მუშაობის  
მტკიცე რეჟიმისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის  
აუცილებლობა (5,90-III).

§ 2 სწავლების პედაგოგიური პრო-  
ცესის კანონზომიერებანი, როგორც  
ბიო ახასიათებანი მას, როგორც  
აღზრდის ორგანულ ნაწილს

თანამედროვე პედაგ-  
ოგიურ ლიტერატურაში  
სწავლების დიდაქტიურ  
კანონზომიერებათა ორ  
ჯგუფს განიხილავენ. პი-

რველი მათგანია იმ კანონზომიერებათა ჯგუფი, რომელიც სწავ-  
ლების პედაგოგიურ პროცესს ახასიათებს, როგორც აღზრდის  
მთლიანი პედაგოგიური პროცესის ორგანულ ნაწილს. ამ  
კანონზომიერებების განხილვისას უნდა გავეთვალისწინოთ, რომ  
ფართო გაგებით, სწავლება, როგორც პიროვნების განვითარებისა  
და ფორმირების საშუალება, წარმოადგენს აღზრდის შემადგენელ  
ნაწილს. აქედან გამომდინარე, სწავლებასაც ახასიათებს ის  
კანონზომიერებანი, რომელთა მიხედვითაც წარიმართება  
აღზრდის პროცესი. ასეთი კანონზომიერებანია:

- სწავლების მიზანმიმართება პიროვნების კარმონიული გან-  
ვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ;
- სწავლების აქტიურ-ქმედითი ხასიათი;
- მოთხოვნების, მოტივაციური სფეროსა და მოსწავლეთა  
სასწავლო-შემეცნებითი აქტივობის ერთიანობა;
- პატივისცემა და ზომიერი მომთხოვნელობა მოსწავლე-  
სადმი, მათი პიროვნული ღირსებების განვითარება-განმტკიცება;



- მიღწევებითა და ცოდნის დაუფლებით გამოწვეული სიხარულის განცდა;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარებისა და ნიჭის გამოვლინება და სწავლის პროცესში მათს დადებით თვისებებზე დაჯილდოება;
- ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება სწავლების პროცესში;
- სწავლების განხორციელება კოლექტივში და სასწავლო პროცესის აქტივიზაციაზე მისი დადებითი გავლენა;
- სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების პედაგოგიური ძალისხმევის ერთიანობა სწავლების ორგანიზაციის საქმეში (16, 179-181).

§ 3 სწავლების ელაგოგიური მეორე ჯგუფს მიეკუთვნება პროცესის სპეციფიკური სწავლების ისეთი სპეციფიკური ნონფორმალური კანონზომიერებანი, რომლებიც ახასიათებს და განასხვავებს მას სხვა პედაგოგიური მოვლენებისაგან. ასეთი სპეციფიკური კანონზომიერებებია:

- მეცნიერულობა და ეროვნულ-იდეური მიზანმიმართება;
- სწავლების პროცესის პრობლემურობა;
- სწავლების პროცესის თვალსაჩინოება;
- მოსწავლეთა აქტიურობა და შევსებულობა სწავლების პროცესში;
- სწავლების პროცესის მისაწვდომობა;
- სწავლების პროცესის სისტემატურობა და თანამიმდევრულობა;
- სწავლების სიმტკიცე და პროცესის ციკლურობა საფეხურების მიხედვით;
- სწავლების საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციების ერთიანობა (16, 181-190).

ქვემოთ, სწავლების პედაგოგიური პროცესის პრინციპების განხილვისას, ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ ხდება ამ კანონზომიერებათა გრანსფორმირება სწავლების დიდაქტიკურ

პრინციპებად ანუ სწავლების პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციისა და წარმართვის სახელმძღვანელო იდეებად.

§ 4 სწავლების პედაგოგიური პროცესის დიდაქტიკური პრინციპები

პრინციპი (ლათინურიდან – Prinzipium – საფუძველი) არის სა-

ხელმძღვანელო იდეა, ძირითადი წესი, ძირითადი მოთხოვნა საქმიანობისა და მოქმედების მიმართ, რომელიც გამომდინარეობს მეცნიერების მიერ დადგენილი კანონზომიერებისაგან. პედაგოგიური პროცესის პრინციპებად იწოდება საწყის, ძირითად მოთხოვნათა სისტემა სწავლებისა და აღზრდის მიმართ, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს კარმონიულად განვითარებული ადამიანის ფორმირების ამოცანათა წარმატებით რეალიზაციასა და საჭირო ეფექტურობას.

მეორენაირად, სწავლების პრინციპები ესაა დიდაქტიკის საწყის, ძირითად მოთხოვნათა სისტემა, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს სწავლების, პედაგოგიური პროცესის ეფექტურობასა და სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

პედაგოგიურ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში სხვადასხვა ავტორთა მიერ სწავლების პედაგოგიური პრინციპები განიხილება განსხვავებულად.

დ. ლორთქიფანიძის „დიდაქტიკაში“ დასახელებულია 5 ძირითადი პრინციპი:

1. სწავლების პროცესის სისტემაგურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი.

2. შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი სწავლების პროცესში.

3. სწავლების პედაგოგიური პროცესის თვალსაზიარების პრინციპი.

4. ცოდნა-ჩვევების მტკიცედ დაუფლების პრინციპი.

5. მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი (5, 90-III).

წიგნში „თანამედროვე გაკვეთილი“ მ. ი. მახმუტოვი განიხილავს სწავლების პედაგოგიური პროცესის 12 პრინციპს. ესენია:

- მეცნიერულობისა და სისტემატურობის პრინციპი.
- აქტიურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპი.
- სწავლების, განათლებისა და აღზრდა-განვითარების ერთიანობის პრინციპი.
- თეორიის პრაქტიკასთან, პრაქტიკულ ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი.
- სწავლების პროცესის პრობლემურობის პრინციპი.
- სწავლისა და შრომის მოტივიზაციისა და სტიმულირების პრინციპი.
- სწავლების პროცესში დასაშვები სირთულის, მისაწვდომობისა და ასაკობრივ-ინდივიდუალური თავისებურებების აუცილებელი გათვალისწინების პრინციპი.
- ბანალურობის (წყვილობის, პარალელურობის) პრინციპი.
- სიტყვისა და თეალსაჩინოების ერთიანობის პრინციპი.
- დიფერენციაციისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპი.
- სწავლების პროცესში პროფესიული მიზანმიმართებისა და პროფესიული ორიენტაციის პრინციპი.
- სწავლებაში მემკვიდრეობითობისა და პოლიგენიკურობის პრინციპი. (12, 25-29).

ი. კ. ბაბანსკი მისივე რედაქციით 1988 წელს გამოცემულ „პედაგოგიაში“ იძლევა შემდეგი პრინციპების განმარტებას:

1. სწავლების მიზანმიმართების პრინციპი;
2. ცხოვრებასთან, ქვეყნის განვითარებასთან კავშირის პრინციპი;
3. სწავლებისა და განათლების მეცნიერულობის პრინციპი;
4. მისაწვდომობის, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების პრინციპი;
5. სისტემატურობისა და თანამიმდევრულობის პრინციპი;

6. შევნებულობის, აქტიურობის, თვითმოქმედებისა და შემოქმედებითობის პრინციპი;
7. სამოგადობრივად სასარგებლო და მწარმოებლურ შრომასთან სწავლების დაკავშირების პრინციპი;
8. სწავლების პროცესის თვალსაჩინოების პრინციპი;
9. სწავლების პედაგოგიური პროცესის კოლექტიურობის პრინციპი;
10. მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემისა და მომთხოვნელობის ურთიერთ მომიერი შეხამების პრინციპი;
11. სწავლების ოპტიმალური მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების შერჩევა-გამოყენების პრინციპი;
12. სწავლების შედეგების სიმკაცის, შევნებულობისა და ქმედითობის, განათლების, აღზრდისა და განვითარების შედეგიანობის ანალიზისა და შეფასების პრინციპი (15, 43-64).

§ 5 სწავლების პედაგოგიური პროცესის უახლეს პედაგოგიკურ სისწრაფეებს დაკმაყოფილებად და სწავლების პრინციპების ლიბერალიზაციის მიზნით უახლეს პედაგოგიურ ლიტერატურაში პროცესის კანონზომიერებებზე დაყრდნობით და მათგან გამომდინარე ჩამოყალიბებულია და ახლებურადაა გაგებული სწავლების პრინციპები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პედაგოგიკის მეცნიერების თვალსაზრისით სწავლების დიდაქტიკური პრინციპები უნდა წარმოადგენდნენ ფუძემდებლურ მოთხოვნებს, დებულებებსა და წესებს სწავლების პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციისათვის, ამავე დროს ისინი უნდა შეესაბამებოდნენ სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს, მოგიერთი ცუდილებით სწორედ ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ი. თ. ხარლამოვის მიერ შემოთავაზებული პრინციპები 1990 წელს გამოცემულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში. ესენია:

- სწავლება უნდა იყოს მეცნიერული და კქონდეს ეროვნულ-დღეური მიმართულება;
- სწავლება უნდა ხასიათდებოდეს პრობლემურობით;

- სწავლება უნდა იყოს თვალსაჩინო;
- სწავლება უნდა წარიმართოს აქტიურად და იყოს შევნიშვნილი;
- სწავლება უნდა იყოს მისაწვდომი;
- სწავლება უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად და თანმიმდევრულად;
- სწავლებამ უნდა უზრუნველყოს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სიმტკიცე;
- სწავლების პროცესში ერთობლივად უნდა განხორციელდეს განათლება, განვითარება და აღზრდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების თანამედროვე პირობებში, როდესაც ზუსტდება სწავლების შინაარსი, მისი ორგანიზაციის ფორმები და გრადიციულთან ერთად ადგილს იჭერს ახალი მეთოდები, ხდება განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია, აღებულია კურსი დიფერენცირებული სწავლებისაკენ, სწავლების ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად პრინციპებთან ერთად ჩნდება და მოქმედებას იწყებს სრულიად ახალი, ეროვნული სკოლისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრინციპთა სისტემა.

აღ. გობრონიძე თავის დამხმარე სახელმძღვანელოში განიხილავს და ახასიათებს სწავლების პედაგოგიური პროცესის შემდეგ პრინციპებს:

1. სწავლების მეცნიერულობას, როგორც მნიშვნელოვან დიდაქტიკურ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჭეშმარიტი ცოდნის გადაცემას ბუნების, სამოგადოებისა და ადამიანის აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

2. სისტემატურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპი, რომელშიც განხილულია სისტემატურობის, ასათვისებელი მასალის ლოგიკისა და სისტემის გააზრების, სწავლების პროცესის დაწყება-დამთავრების პერიოდულობის, სახელმძღვანელოთა შედგენის და სხვა ასპექტები.

3. სწავლების მისაწვდომობის პრინციპი, რაც გულისხმობს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებას, მათი ზედმეტი გადატვირთვისა და სწავლების ზედმეტად გართულების თავიდან აცილებას.

4. სწავლების ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან კავშირის პრინციპი.  
5. შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი.  
6. თვალსაჩინოების პრინციპი, რომლის ამოცანაა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს საგნებსა და მოვლენებზე ნათელი, კონკრეტული და სახოვანი წარმოდგენების გამომუშავებაში, ცოდნის მტკიცედ და შეგნებულად შეთვისებაში, ობიექტური სინამდვილისადმი შეგნებული და აქტიური დამოკიდებულების გამომუშავებაში; განუვითაროს მოსწავლეებს გრძნობის ორგანოები; ხელი შეუწყოს მოსწავლეთა დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მუშაობის უნარის განვითარებას. ამასთანავე წიგნში განხილულია თვალსაჩინო სწავლების ძირითადი ფორმები:

- *საგანსა და მოვლენაზე უშუალო დაკვირვება, ანუ ნატურალური თვალსაჩინობა;*
- *საგნის ან მოვლენის გამოსახულებანი (კინო, ტელევიზია, ვიდეოსამუალებანი და სხვა სახეითი ფორმები);*
- *სიმბოლური თვალსაჩინობა (რუკა, გლობუსი, დიაგრამა, ცხრილი, ტაბულა);*
- *საგნის მოდელი, მაკეტი ან სურათი.*

7. ცოდნის სიმტკიცის პრინციპი, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის იმგვარ მიწოდებას, რომ მოსწავლე მტკიცედ იმახსოვრებდეს მას და შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში აღადგინოს და პრაქტიკულად გამოიყენოს შექენილი ცოდნა (6, 81-96).

აკეთებს რა სხვადასხვა ავტორის მოსაზრებათა მიმოხილვას, ვგაგუა სწავლების დიდექტიკურ პრინციპებად მიიჩნევს შემდეგს:

1. *სწავლების მეცნიერულობის პრინციპი.*
2. *შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი.*
3. *სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი.*
4. *თვალსაჩინოების პრინციპი.*
5. *ცოდნის მტკიცედ შეთვისების პრინციპი.*
6. *მისაწვდომობისა და დასაძლეობის პრინციპი.*

ამასთანავე, ვ. გაგუა იძლევა სწავლების შემდეგ წესებს:

1. *ნაცნობიდან უცნობისაკენ.*
2. *ახლობელიდან შორეულისაკენ.*
3. *ადილიდან ძნელისაკენ.*

#### 4. მარტივიდან რთულისაკენ.

#### 5. კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

აქვე ავტორი დასძენს, რომ „სწავლების პრინციპები და წესები ხორციელდება როგორც პრაქტიკულად გაკეთილმღე, ისე დიდაქტიკური სისტემის შექმნით, რომელსაც თეორიული დასაბუთება აქვს. სწავლების პროცესში უნდა შეიქმნას დიდაქტიკური სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა და ეს სისტემა უნდა დაეფუძნოს სწავლების კანონებს, კანონზომიერებებს, პრინციპებს და წესებს“ (7, 95-108).

§ 6 სწავლების კვლავობითი პროცესის დიდაქტიკური პრინციპები ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებისა და მისი მიძღვნილ უბლიკასიებში

ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებისადმი ბოლო წლებში მიძღვნილ პუბლიკაციებში აშკარად გამოიკვეთა განათლების თანამედროვე სისტემის სრულიად ახალი პრინციპები. ამ თვალსაზრისით „ეროვნული ქართული სკოლის კონცეფციის“ მიხედვით საყურადღებოა შემდეგი პრინციპები:

- განათლების ინტერნაციონალური ხასიათი, რაც უზრუნველყოფს ამა თუ იმ ქვეყნის სასკოლო განათლების სისტემის ჩართვას საკაცობრიო საგანმანათლებლო სისტემაში.

- სასკოლო განათლების შინაარსში მსოფლიო საგანმანათლებლო კულტურის გამოცდილების ასახვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სპეციფიკის შესაბამისი გრანსფორმაციით.

- განათლების შინაარსში იმ კონკრეტულ-სპეციფიკურ ამოცანათა გათვალისწინება, რომლებიც დგას ქვეყნის წინაშე მისი ეროვნული, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

- სხვადასხვა ტიპის სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სასწავლო პროგრამათა სწავლების კონკრეტული წესით აგება რაც უზრუნველყოფს ამ სკოლათა შორის მემკვიდრეობითობის პრინციპის რეალიზაციას.

- მემკვიდრეობითობის პრინციპის ბაზაზე სახალხო განათლების, როგორც სისტემის მთლიანობის უზრუნველყოფა, რაც

წარმოადგენს საკაცობრიო და ეროვნული ღირებულების ათვისებისა და შენარჩუნების აუცილებელ პირობას (1, 2-6).

„საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციაში“ სწავლების, იგივე განათლების პრინციპები კიდევ უფრო გამოკვეთილ ეროვნულ ხასიათს ატარებს. სახელდობრ:

1. განათლების სისტემა უნდა ემსახურებოდეს ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სასიცოცხლო ინტერესებს.

2. საქართველოს სასკოლო განათლების უპირველესი მიზანია საქართველოს ერთგული და პატივისცემელი, მშრომელი, განსწავლული, თავისუფლად მოაზროვნე, კაცთმოყვარე, მაღალზნეობრივი, მშენიერების აღმქმელი და ჯანმრთელი მამულიშვილების აღზრდა.

3. მოზარდში სრულად უნდა გაზოგინდეს და განვითარდეს მისი პიროვნული ნება და შესაძლებლობანი, იგი უნდა მომზადდეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, კაცობრიობის, ერის, საზოგადოების, ოჯახის, სხვა ადამიანების სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

4. სკოლა უნდა მრუნაედეს ყოველი მოსწავლის პიროვნული განუმეორებლობის შენარჩუნებისათვის. უქმნიდეს მას პირობებს თავისი უნარის და ნიჭის განვითარებისათვის.

5. სასკოლო განათლება არის უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის ორგანული და უმთავრესი ნაწილი, ამ პროცესის შეაღწეული რგოლი.

6. სკოლაში სწავლა ნიშნავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში მოზარდის ჩაბმას, ინტელექტუალური და ზნეობრივი მზობის გამომუშავებას შემდგომი სწავლა-განვითარებისა და ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის.

7. საქართველოს სკოლაში ადამიანთა ურთიერთობების უზენაეს პრინციპად ცხადდება მოყვასის სიყვარული. აქედან გამომდინარე, სკოლაში მთელი პედაგოგიური პროცესი მთლიანად ეფუძნება ეროვნული და მსოფლიო პედაგოგიკის კუმანისტურ გრადიციებს, შემოქმედებითად ავითარებს მათ.

8. სასწავლო პროცესი ხელშეუხებელია. ყმაწვილის ფსიქიკაზე პოლიტიზირებული გემოქმედება სკოლაში დაუშვებელია.

9. ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებთან ზიარებამ, მაღალზნეობრივმა და ესთეტიკურად დახვეწილმა გარემომ სკოლ-



*ამი მოზარდი ბუნებრივად უნდა ჩამოაყალიბოს კონიერ და გოლერანგულ ადამიანად (2, 1.1-1.9).*

საქართველოს რესპუბლიკის საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამის პროექტში საშუალო განათლება და, მათსადაც, სწავლება სამ ძირითად ფუძემდებლურ დებულებას უნდა დაეყრდნოს:

ძარბაზი სკოლის პროცესებში, რაც გამოიხატება არა მარტო მშობლიურ ენაზე აგებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით, არამედ მთელი სასწავლო შინაარსის ეროვნულ ნიშან-თვისებებით, ქართველი ერის კულტურისა და რელიგიის, მშობლიური გარემოსა და ტრადიციების ღრმად შესწავლით, მოვასაკაცობრიო ფასეულობათა გაცნობიერებითა და გათავისუფლებით. ამასთანავე, საშუალო განათლების სისტემამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ეროვნული კულტურის განვითარებას, შეუქმნას მათ სწავლის პირობები და უზრუნველყოს სწავლების ენის თავისუფალი არჩევა.

საშუალო განათლების დემოკრატიზაცია - ეს სკოლის სუვერენიტეტის პოლიტიკაა, რომელიც ხალხის ისტორიულ, სოციალურ, ეკონომიკურ ფესვებზე უნდა იყოს აღმოცენებული და გულისხმობდეს სკოლის მიმართულების დადგენას, შინაარსის განსაზღვრას, მოსწავლეთა ინტერესების ფართოდ გათვალისწინებას.

საშუალო განათლების კუმანიზაცია ქვეყნის დემოკრატიზაციის პერსპექტივას ემყარება, მაგრამ, ამასთანავე, მისი თანამგზავრი უნდა იყოს დისციპლინისა და მომთხოვნელობის ამაღლების შეხამება პიროვნებისადმი პატივისცემასა და საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების აღზრდასთან, კუმანიზმსა და ორგანიზებულობასთან.

განათლების ეს ფუძემდებლური დებულებანი კონკრეტულად აისახებიან ეროვნულ სკოლაში აღზრდისა და სწავლების შემდეგ პრინციპებში:

ახალგაზრდის აღზრდა მამულიშვილური სულისკეთებით, სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების შეგნებით, კულტურული ფასეულობებისა და რელიგიისადმი პატივისცემით, მაღალი მწიფობითა და კეთილი ნებით;

ახალგაზრდის აღჭურვა ცოდნის, განათლების, დამოუკიდებელი შრომის უნარ-ჩვევების იმ დონით, რაც საჭიროა როგორც სწავლის გასაგრძელებლად, ასევე საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში პრაქტიკული მოღვაწეობისათვის;

ახალგაზრდობის სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების პარმონიული განვითარებისათვის, მათი პროფესიული ორიენტაციისათვის, ინდივიდუალური თავისებურებების სრულყოფილად გამოკვეთისა და მაღალი პროფესიონალიზმისაკენ მათი მისწრაფებების რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა;

განათლების უწყვეტობა და მის ყოველ საფეხურზე მემკვიდრეობითობისა და სისტემატურობის პრინციპებისა და მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებაში სინქრონიზმის მკაცრი დაცვა, რამაც უნდა განაპირობოს მოზარდის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების გეგმამომიერი განვითარება;


პედაგოგიური პროცესისა და მისი შინაარსის აგება ეროვნული კულტურის საძირკველზე, მდიდარ საგანმანათლებლო ტრადიციებზე. პედაგოგიურ მემკვიდრეობასა და კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ფასეულობათა გაცნობასა და შესწავლაზე მშობლიური ქვეყნის გადასახედიდან, მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება მოწინავე და პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ბაზაზე;

რესპუბლიკის ყველა მოზარდის უფლება-მოსილებაა ისწავლოს მშობლიურ ენაზე. საქართველოს გერიტორიაზე არსებულ არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ენის პარალელურად რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საფუძვლებზე სწავლების უზრუნველყოფა;


აღსაზრდელისადმი კუმანური, კეთილმოსურნეობითი დამოკიდებულების დამკვიდრება, მასწავლებლისა და მოსწავლეს შორის ურთიერთმხარდაჭერის, გულშემატკივრობისა და პატივისცემის აგმოსფეროს დამკვიდრება (3).

ასეთია სწავლების პედაგოგიური პროცესის დიდაქტიკურ კანონზომიერებათა და პრინციპთა ის მრავალსახეობა, რომელიც პედაგოგიკურ ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებსა და პუბლიკაციებში გვხვდება. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი მოითხოვს კრიტიკულ გადამუშავებასა და სრულყოფას.

სწავლების კანონზომიერებათა და პრინციპების  
 აღბეჭდილი და მნიშვნელოვანი  
 სწავლების პედაგოგიურ პროცესში



**სწავლების პროცესის  
პირითადი კომპონენტებისა და სწავლების  
პრინციპების თანაშარღობა**



განათლების შინაარსი თანამედროვე სკოლაში

- § 1 განათლების შინაარსის ცნება და მისი ზოგადი დახასიათება
- § 2 „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის“ შინაარსობრივი სახელმწიფო პრინციპები
- § 3 განათლების შინაარსის მეცნიერული საფუძვლები და სასწავლო მეცნიერებათა საფუძვლების შერჩევის კრიტერიუმთა სისტემა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული განვითარების, სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი დემოკრატიზაციის პირობებში.
- § 4 განათლების შინაარსის განმსაზღვრელი ნორმატული დოკუმენტები და მასალები: სასწავლო გეგმა, სასწავლო დისციპლინათა პროგრამები, სახელმძღვანელოები, საინსტრუქციო-მეთოდოლოგიური წერილები და რეკომენდაციები.
- განათლების შინაარსი ეროვნული განათლების სისტემის საბაზისო, საშუალო და უმაღლესი განათლების საფეხურებზე, მათი სასწავლო დაწესებულებანი.

ლიტერატურა

1. ეროვნული სკოლის კონცეფცია. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1989 წ. 16 ნომბერი.
2. საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფცია. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 3 იანვარი.
3. საქართველოს რესპუბლიკის საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამის პროექტი, „ერი“, 1991 წ. 5 ივნისი.
4. „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა თბილისი, 1995 წ. გვ. 32-33; 41-46.
5. დლორთქიფანიძე. დიდაქტიკა. თბილისი, 1981 წ. გვ. 111-133.

6. აგობრონიძე. პედაგოგია. ბათუმი, 1996 წ. გვ. 97-106.
7. ვ. გაგუა. პედაგოგია. თბილისი, 1996 წ. გვ. 81-93.
8. 8. Педагогика школы. Под ред. Г. И. Щукиной. М. Просвещение, 1977 г. гл. 13, стр. 237-251.
9. Дидактика средней школы. Под ред. М. Скатиной. М. Просвещение, 1982 г., гл.3, с. 90-127.
10. Педагогика. Под ред. Ю. К. Бабанского. М. Просвещение, 1983 г., гл. 6, стр. 102-123
11. Д. О. Лортукиანიძე. Дидактика. Тбилиси, Госуниверситет, 1985 г. гл. 4, стр. 112-133.
12. Педагогика. Под ред. С. Баранова и В. Сластенина. М. Просвещение, 1986 г., гл. 10, с. 108-119.
13. Педагогика. Под ред. Ю. К. Бабанского. М. Просвещение, 1988 г., гл. 21, стр. 366-377, 382-384.
14. И. Ф. Харламов. Педагогика. М. Высшая школа, 1990 г., с. 127-147.

**§1 განათლების შინაარსის ცნება  
და მისი ზოგადი ღახსანიათება**

დიდაქტიკაში განათლების  
შინაარსის ცნების ქვეშ  
იგულისხმება ცოდნათა და

უნარ-ჩვევათა სისტემა, რომლის დაუფლებაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა გონებრივსა და ფიზიკურ განვითარებას, მათში მეცნიერული მსოფლმხედველობისა და მორალის ფორმირებას, მათი შესატყვისი ქცევის წესის გამომუშავებასა და მოსწავლეთა მომზადებას ცხოვრებისა და შრომისათვის (13, 382-384). მეორენაირად, განათლების შინაარსის ცნება გულისხმობს ცოდნა-ჩვევათა იმ ჯამს, რომელსაც ადამიანი ეუფლება სწავლის პროცესში (15, 111-113). ამასთანავე, პედაგოგიაში არსებობს განათლების შინაარსის უფრო ვრცელი განმარტება და იგი ოთხ ძირითად პუნქტს მოიცავს. ეს განმარტება განათლების შინაარსის ცნების ქვეშ გულისხმობს:

1. ცოდნათა სისტემას ბუნების, სამოვადოების, ამროვნების, ტექნიკის, საქმიანობის ხერხების შესახებ, რომლის დაუფლებაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეგნებაში სწორი დიალექტიკურ-მატერიალისტური წარმოდგენების ფორმირებას სამყაროს შესახებ, აიარაღებს მათ შემეცნებითი და პრაქტიკული საქმიანობისადმი სწორი მიდგომის უნარ-ჩვევებით.

2. ზოგადი ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სისტემას, რომელიც წარმოადგენს მრავალფეროვანი კონკრეტული მოქმედების საფუძველს და უზრუნველყოფს ახალგაზრდობის მიერ სოციალური კულტურის შეთვისებას.

3. შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია კაცობრიობის მიერ სამოვადოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობისას და რომლის შეთვისებაც უზრუნველყოფს კაცობრიობის კულტურის შემდგომ განვითარებას.

4. სამყაროსა და ერთმანეთისადმი ადამიანთა ემოციურ-ნებულობითი დამოკიდებულების გამოცდილებას, რომელიც ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან ერთად წარმოადგენს პიროვნების რწმენისა და იდეალების ფორმირების საფუძველს (9, 90-127).

ყველა ამ განმარტების მეტ-ნაკლები სირთულის მიუხედავად, განათლების შინაარსის თეორიული საფუძველების განხილვისას

აუცილებელია გაშუქდეს ისეთი საკითხები, როგორცაა: რა უნდა ეასწავლოთ მოსწავლეებს? რას უნდა დაეუფლონ ისინი სასწავლო მუშაობის პროცესში? იმის გამო, რომ სწავლება ორგანულადაა დაკავშირებული პიროვნების განათლებასთან, ამდენად ამ შემთხვევაში გამართლებულია ვილაპარაკოთ არა სწავლების, არამედ, სახელდობრ, განათლების შინაარსზე.

მაინც რა იგულისხმება განათლების შინაარსში?

ამ კითხვაზე პასუხისას უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მეცნიერული ცოდნისა და მასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების ის სისტემა, რომელსაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები და რომელიც ხელს უწყობს მათს გონებრივსა და შემოქმედებით შესაძლებლობათა განვითარებას. მაგრამ ყველა სასწავლო დისციპლინის ფაქტიური მასალა ორგანულად შეიცავს მსოფლმხედველობითსა და მწეობრივ-ესთეტიკურ იდეებს და დებულებებს, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ პიროვნების ფორმირებაზე. აქედან გამომდინარე, ეს მსოფლმხედველობითი და მწეობრივ-ესთეტიკური იდეები თუ დებულებები ასევე ორგანულად შედის განათლების შინაარსში. მამასადაძემ, განათლების შინაარსის ცნების ქვეშ იგულისხმება მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკული: უნარ-ჩვევების ის სისტემა, აგრეთვე მსოფლმხედველობითი და მწეობრივ-ესთეტიკური იდეები, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები სწავლების პროცესში (14, 128). თუ ამ განმარტებას შევადარებთ ადრე მოტანილს, აშკარად დაინახავთ მასში მოცემულ სიახლეს მსოფლმხედველობითი და მწეობრივ-ესთეტიკური იდეების სახით.

და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს განმარტება გასაგები და მისაღებია, განათლების შინაარსის განსაზღვრა არც ისე იოლია, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს...

როგორ უდგება თანამედროვე პედაგოგიკის საუკეთესო წარმომადგენელი მეცნიერ-პედაგოგები განათლების შინაარსის ახლებურ გაგებას?

პირველ რიგში, აქ საჭიროა იმ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა გაცნობიერება, რომლებიც გავლენას ახდენენ შინაარსის ფორმირებაზე. მოკლედ განვიხილოთ ეს ფაქტორები.



განათლების შინაარსის ფორმირების ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება წარმოების ტექნიკური საფუძვლების, მეცნიერებისა და საზოგადოების სულიერი განვითარების დონე, რომელმაც თავისთავად განაპირობა საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ცოდნის მოცულობის გაფართოების, კუმანტიგარულ დისციპლინათა საფუძვლიანი შესწავლის, ახალგაზრდობის ზოგადმეცნიერული, ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფის აუცილებლობა სკოლაში. ბუნებრივია, რომ ყველაფერმა ამან შესაბამისი ასახვა უნდა ჰქონოს განათლების შინაარსში.

განათლების შინაარსის ფორმირებაზე, აგრეთვე, გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორებიც. ასეთებია სახელმწიფო მმართველი პარტიებისა და ორგანოების პოლიტიკა, მეცნიერთა და პედაგოგთა მეთოდოლოგიურ-მეცნიერული და პედაგოგიური პოზიცია, პედაგოგიური კადრების მომზადების დონე, საზოგადოების მაგერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური პირობები და ა.შ.

ასეა თუ ისე, რა ფაქტორებიც არ უნდა ახდენდნენ გავლენას განათლების შინაარსის ფორმირებაზე და როგორც არ უნდა იყოს მისი ცნების განმარტება, მასში მაინც ფიგურირებს სამი ძირითადი გერმინი: ცოდნა, უნარი და ჩეევა.

**§ 2. „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის“ შინაარსობრივი სახელმძღვანელო პრინციპები**

განათლების შინაარსის თვალსაზრისით ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია:

1. განათლების დაფუძნება ზოგადსაკაცობრიო ეროვნულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღირებულებებზე და პედაგოგიურ მიღწევებზე.

2. განათლების უწყვეტობა და მემკვიდრეობითობა.

3. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა.

4. განათლების შინაარსის რაციონალიზაცია და სწავლების ინტენსიფიკაცია.

5. განათლების საერთო ხასიათი.

6. კოლექტიური განათლების ფორმებთან ერთად სწავლებისა და აღზრდის ინდივიდუალიზაცია, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სასწავლო დაწესებულებებისათვის საეალდებულოა საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების (მინიმუმი) დაცვა.

სწავლების ყველა საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომავალი თაობის ფიზიკურ და სამხედრო-პაგრიოგულ აღზრდა-განათლებას, როგორც ერის სიჯანსაღისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აუცილებელ პირობას.

განათლების ყველა საფეხურს ეტაპების გათვალისწინებით შეესაბამება სხვადასხვა სტატუსის (რაც განისაზღვრება დებულებით) საგანმანათლებლო დაწესებულება:

1. ბაღი (ბავით);
2. ელემენტარული (დაწყებითი) სკოლა;
3. ძირითადი სკოლა;
4. პროგიმნაზია;
5. გიმნაზია;
6. ლიცეუმი;
7. პროფესიული სასწავლებელი;
8. კოლეჯი;
9. ინსტიტუტი;
10. უნივერსიტეტი.

განათლების სისტემა, მისი ყოველი საფეხური, ორიენტირებული უნდა იყოს პიროვნების მომზადებაზე რეალური ცხოვრებისათვის. ყოველ ეტაპზე სწავლებისა უნდა ხორციელდებოდეს მოსწავლეთა შერჩევის, სელექციის პროცესი. ამის კვალობაზე სისტემა სტრატეგიული წინსწრებით, მეცნიერული პროგნოზირებით უნდა არეგულირებდეს საგანმანათლებლო თუ მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ და მისით გაპირობებულ ყველა აუცილებელ დაკვეთას.

სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაჭრა, კონკურენტუნარიანი და მწეობრივი თაობის შეუფერხებელი აღზრ-

და-განსწავლა, რაც სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია, გულისხმობს თვისობრივად ახალი კადრებისა და სახელმძღვანელოების მომზადებას.

თანამედროვე მოაზროვნე, ერუდირებული, საგნის ღრმად მცოდნე, ახალი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ტექნოლოგიებით აღჭურვილი პედაგოგთა თაობის მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება რეფორმის გატარების აუცილებელი წინაპირობაა.

ამ კონცეფციის მიხედვით იქმნება და რიგი მიმართულებებით მუშავდება სპეციალური კონცეფციები (ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურების შესაბამისი აღზრდისა, სპეციალური, სკოლისგარეშე, არააკადემიური სასწავლებლებისა და ა.შ.).

ქვეყნის განვითარების დინამიკის შესაბამისად, წინამდებარე კონცეფცია გახსნილია და მზად არის ახალ რეალობათა გასათვალისწინებლად.

კონცეფციით გათვალისწინებული რეფორმირება განათლების სისტემისა, მოხდება თანდათანობით, ეტაპობრივად. გარდამავალ პერიოდში (საორიენტაციოდ, 3-5 წელი) განათლების სისტემა თანმიმდევრულად და გეგმამომიერად „გადააწყოთ“ კონცეფციით შემოთავაზებულ განათლების ახალ სტრუქტურულ-ორგანიზაციულ მოდელზე.

შენიშვნა: ამ პარაგრაფის ტექსტი მთლიანად და უკუელვლად აღებულია „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამიდან“ (გვ. 43-45).

**§ 3 განათლების შინაარსის განათლების შინაარსის მეთოდო-მეცნიერული საშუალებები** ლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ასახვისა და შემეცნების მეცნიერული თეორია, პედაგოგიური მოძღვრება პიროვნების პარმონიული განვითარების შესახებ. ზოგადი საშუალო განათლების შინაარსის თანამედროვე თეორიული კონცეფცია „მდგომარეობს იმ მთლიანი დიალექტიკური

პრინციპების რეალიზაციაში, რომელიც უზრუნველყოფს პარმონიულად განვითარებული, განათლებული, დადებითი იდეების სულსკვეთებით აღზრდილი მამულიშვილის ფორმირებისაკენ მიმართულ პედაგოგიურ საქმიანობას“ (9, 90-127). აქედან გამომდინარე, განათლების შინაარსი განიხილება როგორც საზოგადოების სოციალური დაკვეთის განხორციელების მოდელი ანუ საზოგადოების მოთხოვნა, თუ რა უნდა იცოდეს და შეეძლოს, როგორ თვისებებს უნდა ფლობდეს საზოგადოების წევრი.

ამ სოციალური დაკვეთის მიხედვით სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა მიერ მყარი მეცნიერული ცოდნის დაუფლება, მისი თანდათანობითი შეესებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება, მეცნიერული მსოფლმხედველობის, მაღალმზნობრივი და საზოგადოებრივი ქცევის ჩვევების ფორმირება, ფიზიკური და ესთეტიკური სრულყოფა და მათი მომზადება შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

სკოლაში განათლების შინაარსი განისაზღვრება სამი ძირითადი მეცნიერულ-პედაგოგიური პრინციპის საფუძველზე:

1. განათლების შინაარსის ეროვნული და საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისადმი შესაბამისობის პრინციპი. იგი ასახავს იმ აუცილებლობას, რომ ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, განათლების შინაარსში გრადიციული ცოდნის, უნარებისა და ჩვევების ელემენტებთან ერთად ჩართული იყოს სწავლების აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციებიც, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების მიღწევები.

2. განათლების შინაარსობრივი და პროცესუალური მხარეების გათვალისწინების პრინციპი. სასწავლო დისციპლინის ან სასწავლო მასალის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლების მეთოდები, კანონზომიერებანი, პრინციპები და შესაძლებლობანი. პროგრამებსა და სასწავლო სახელმძღვანელოებში საგნის შინაარსთან ერთად უნდა აისახოს მასალის გადაცემისა და შეთვისების საშუალებანი, მოცულობა, დონე და მათთან დაკავშირებული მოქმედების სახეები.

3. განათლების შინაარსის სტრუქტურული მთლიანობის, მისი ფორმირების პრინციპი. ესაა თეორიული დასაბუთებულობის, სასწავლო საგნის, სასწავლო მასალის, პედაგოგიური საქმიანობის, მოსწავლის პიროვნების ერთიანობა სწავლების პროცესისათვის განსაზღვრულ შინაარსში. ამასთანავე იგი გულისხმობს განათლების შინაარსისადმი ყველა სასწავლო დისციპლინის წარმომადგენელთა ერთობლივ მიდგომასა და მოთხოვნას.

ამ პრინციპებიდან გამომდინარეობს თანამედროვე მოთხოვნები განათლების შინაარსისადმი. ესენია:

ა) სასკოლო განათლების შინაარსი მის ყველა ეტაპზე მიმართული უნდა იყოს აღზრდის ძირითადი მიზნის განხორციელებისაკენ - ქარმონიულად განვითარებული, სამოგალობრივად აქტიური მამულიშვილის აღზრდისაკენ. შესაბამისად, განათლების შინაარსმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა გონებრივი განვითარება, ფიზიკური, მნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა, იდეური და მრომითი მომზადება, მამულიშვილად, გოლერანტულ, კულტურულ და განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბება.

ბ) განათლების შინაარსი უნდა აიგოს მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე და ქჟონდეს მკაცრად შემოფარგლული პროგრესული ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული მიმართულება. ეს, პირველ რიგში, შეეხება სკოლაში შესასწავლი მასალის შერჩევას. ამ მოთხოვნის მიხედვით ყოველ სასწავლო საგანში შეტანილი უნდა იყოს მხოლოდ დადგენილი ფაქტები და თეორიული დებულებანი. სასწავლო მასალა უნდა შეესაგყვისებოდეს მეცნიერების თანამედროვე დონეს და ასახავდეს ეროვნული მეცნიერების მიღწევებს. განათლების შინაარსში ზოგასაკაცობრიო მიღწევებთან ერთად უნდა აისახოს ეროვნული კულტურისა და სამამულო მეცნიერების წარმატებანი და ხასიათი.

გ) განათლების შინაარსი ყოველ სასწავლო საგანში უნდა შეესაგყვისებოდეს შესაბამისი მეცნიერების ლოგიკასა და სისტემას. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო მასალა უნდა დალაგდეს იმ თანამიმდევრობითა და სტრუქტურით, როგორც ეს ახასიათებს შესაგყვის მეცნიერებას, მის თავისებურებებსა და სპეციფიკას.

დ) სასკოლო განათლების შინაარსი უნდა აიგოს ცალკეულ მეცნიერებათა ურთიერთკავშირის საფუძველზე. ეს მოთხოვნა

განპირობებულია ორი ფაქტორით. პირველი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთ სასწავლო დისციპლინის შესწავლა შეუძლებელია სხვა საგნებში წინასწარი მომზადების გარეშე. მეორე ფაქტორი კი მდგომარეობს იმაში, რომ მიეცეთ წარმოდგენა მეცნიერებათა ურთიერთკავშირის, თითოეული მეცნიერების მიერ ბუნებისა და საზოგადოების კონკრეტული, ცალკეული მხარის შესწავლის შესახებ, რის გამოც ისინი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ერთი მეცნიერების იდეები გამოიყენება მეორეში და ა.შ. ამდენად, საგანთაშორისი კავშირების დადგენა და ახსნა წარმოადგენს განათლების შინაარსისადაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას.

ე) განათლების შინაარსში ასახვა უნდა ჰქონდეს კავშირმა თეორიასა და პრაქტიკას შორის, სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების აუცილებლობამ.

ვ) განათლების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და ითვალისწინებდეს ეროვნულ თავისებურებებს. ამ მოთხოვნის განხორციელება დაკავშირებულია სასწავლო მასალის მოცულობისა და თეორიული სირთულის, მასში სამამულო მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების, ერის ისტორიისა და ეროვნული გრადიციების ასახვას საკითხთა სწორ გადაწყვეტასთან.

ზ) განათლების შინაარსმა უნდა უზრუნველყოს ზოგადი განათლების, პოლიტექნიკური და შრომითი სწავლების ერთიანობა. შესაბამისად, ზოგადი განათლების მიზანია მოსწავლეთა მიერ ბუნებისა და საზოგადოების შესახებ უმნიშვნელოვანეს მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება, მათი ინტელექტუალური ღონის გაფართოება, მსოფლმხედველობისა და მნიებორივ-ესთეტიკური კულტურის განვითარება. ზოგადტექნიკური მას ჰქვია იმიტომ, რომ იგი გულისხმობს მოსწავლეთა ზოგადთეორიულ მომზადებასა და შეძენილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ყველაზე გავრცელებული უნარ-ჩვევების დაუფლებას. პოლიტექნიკური განათლება, უკავშირდება რა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ღონესა და პერსპექტივებს, გულისხმობს სხვადასხვა სახის ენერჯიათა მიღების საშუალებების, მანქანა-იარაღებისა და

წარმოების მოწყობილობათა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საფუძვლების, წარმოების ორგანიზაციის შესწავლას, ელექტროფიკაციის, მექანიზაციის, ავტომატიზაციის, ქიმიზაციის, ახალი მასალებისა და ტექნოლოგიათა მიღების საშუალებების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზების, წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმათა, სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა თანამედროვე საკითხთა გაცნობიერებას.

პოლიტექნიკური განათლება მჭიდროდ უკავშირდება შრომით სწავლებასა და აღზრდას, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მათი ასაკის შესატყვისი შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. კერძოდ: შრომის მარტივი იარაღების მოწყობილობათა და მანქანების გამოყენება, ყველაზე გავრცელებულ დაზგებსა და მანქანებზე მუშაობა, მარტივი სამონტაჟო სამუშაოების შესრულება ელექტრო და რადიოტექნიკაში, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება და სხვა.

ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური განათლებისაგან ძირეულად განსხვავდება პროფესიული განათლება, რომელიც გულისხმობს საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებას სხვადასხვა პროფესიათა მიხედვით. პროფესიული მომზადება ხორციელდება პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა ბაზას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა და მისი დღევანდელი ნაირსახეობანი.

განათლების შინაარსის განმსაზღვრელ პრინციპთა და მოთხოვნათა მიხედვით, რომლებზედაც უკვე გვექონდა ლაპარაკი, ხდება შესასწავლ მეცნიერებათა საფუძვლების შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება. ეს კრიტერიუმებია: - განათლების შინაარსში პიროვნების პარმონიული ფორმირების ამოცანათა მთლიანი და სრული ასახვა;

- სასწავლო მეცნიერებათა საფუძვლებში შინაარსის მაღალმეცნიერულობის, პრაქტიკული მნიშვნელობისა და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინება;

- მოცემული ასაკის მოსწავლეთა რეალური შესაძლებლობისადმი განათლების შინაარსის მისადაგება;

- განათლების შინაარსის შესატყვისობა მოცემული დისციპლინის შესწავლისათვის განსაზღვრული დროისადმი;
- განათლების შინაარსის განსაზღვრისას მოწინავე სამამულო და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება;
- განათლების შინაარსის შესატყვისობა თანამედროვე სკოლის სასწავლო-მეთოდიკური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისადმი.

ამ კრიტერიუმთა მიხედვით ყალიბდება სასკოლო განათლების შინაარსი, შეირჩევა მეცნიერებათა საფუძვლები სასწავლო დისციპლინების სახით, განისაზღვრება თითოეული მათგანის შინაარსი, მოცულობა და ადგილი სასწავლო დისციპლინათა სისტემაში.

**§ 4 განათლების შინაარსის სასკოლო განათლების შინაარსი**  
**განმსაზღვრელი ნორმატული** **სი თავის ასახვას პოულობს**  
**დოკუმენტები და მასალები** **ისეთ ნორმატულ დოკუმენტებში, როგორცაა სასწავლო გეგმა, სასწავლო პროგრამები, სასწავლო სახელმძღვანელოები.**

სასწავლო გეგმა არის განათლების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ის სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც ყოველი გიპის სკოლისათვის განსაზღვრავს სასწავლო საგანთა სიას, რაოდენობას, მათს განაწილებას სასწავლო წლების მიხედვით, კვირეული საათების რაოდენობას თითოეული საგნისათვის; ადგენს რომელ კლასში რა სასწავლო დისციპლინა ისწავლება და რა მოცულობით, როგორია თითოეული სასწავლო დისციპლინის ხვედრითი წილი სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა დისციპლინათა შორის, რამდენი აკადემიური საათი ეთმობა კონკრეტულ საგანს სასწავლო წელში, კვირაში და მთლიანად კლასში. ამდენად, სასწავლო გეგმა სკოლის მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც ასახავს განათლების შინაარსს, მის სტრუქტურასა და მიმართულებას. ამჟამად საქართველოში



მოქმედებს სასწავლო გეგმათა გარკვეული სახეები სკოლათა ტიპის მიხედვით: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის I და II საფეხურებისათვის, ქართულ ენაზე სწავლების, რუსულ ენაზე სწავლების, სომხურ ენაზე სწავლების, ამერბაიჯანულ ენაზე სწავლების სკოლებისათვის, პროფილური თუ ლიფერენცირებული სკოლებისათვის და ა.შ.

სასწავლო პროგრამები დგება სასწავლო გეგმის მიხედვით და ასევე მტკიცდება განათლების უმაღლესი ორგანოების მიერ. სასწავლო პროგრამაში მოცემულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინის საერთო დახასიათება, ჩამოყალიბებულია ამ დისციპლინის სწავლებისადმი წაყენებული ორგანიზაციულ-მეთოდური მოთხოვნები. პროგრამაში განსაზღვრულია სასწავლო დისციპლინის შინაარსი, სასწავლო მასალის მოცულობა, სასწავლო საათების რაოდენობა საერთოდ და ყოველი თემისათვის ცალკე, იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახეობა და მოცულობა, რომელსაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები სემესტრებისა და კლასების მიხედვით. სასწავლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: აგებული უნდა იყოს მეცნიერულ საფუძველზე და ასახავდეს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, სამოგადოების, სახალხო. მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონეს; მასში შესაბამის მეცნიერებათა დარგებიდან უნდა შედიოდეს მეცნიერულად და პედაგოგიურად სწორად შერჩეული ისეთი მასალა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ამ მეცნიერების საფუძვლების სრულყოფილ დაუფლებას; პროგრამით გათვალისწინებული მასალა მისაწვდომი უნდა იყოს მოსწავლეთათვის და მისი მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მომზადების დონეს, მათს ფსიქო-ფიზიკურ, შემეცნებით შესაძლებლობას მეცნიერების საფუძვლების მთლიანი შემეცნება-გააზრებისათვის; პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს სისტემური ცოდნის შეთვისებას თითოეულ საგანში, საგანთა კავშირ-კოორდინაციასა და სამყაროზე მთლიანი მეცნიერული წარმოდგენის ჩამოყალიბება-ფორმირებას. თანამედროვე პროგრამები დგება გარკვეული სიახლეებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით: მათში მოცე-

მულია ძირითად ცოდნათა, უნარ-ჩვევათა მოცულობა, რომელსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე მოცემულ კლასში; მოცემულია მეცნიერებათა ძირითადი დებულებები და ცნებები, რომელთაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე პროგრამული მასალის გავლისას; პროგრამებში შეტანილია ცალკე განყოფილება „საგანთაშორისი კავშირები“, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა გაიცნობიერონ სხვა მეცნიერებებიდან მოცემულ საგანში კონკრეტული მასალის გავლისას. პროგრამაში აგრეთვე გათვალისწინებული განყოფილება „მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შეფასების სანიმუშო ნორმები“, რაც ეხმარება მასწავლებელს ობიექტურ შეფასებასა და მასში არსებული ფორმალიზმის დაძლევაში. პროგრამებს დართული აქვს საგანში მეცადინეობათა ჩატარებისათვის საჭირო სასწავლო თვალსაჩინოებათა და საშუალებათა სანიმუშო სია.

სასწავლო სახელმძღვანელოებში ხდება განათლების შინაარსის შემდგომი კონკრეტიზაცია. სახელმძღვანელოები დგება სასწავლო პროგრამების საფუძველზე. განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედი სახელმძღვანელოების გადაკეთება-სრულყოფას და ახალი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნას ყველა სასწავლო კურსისათვის იმ ვარაუდით, რომ თითოეულ სახელმძღვანელოს ახასიათებდეს: შინაარსის მაღალი მეცნიერულობა, კონკრეტულობა, სიმუსტე, სიყბაღე და სიცხოველე, მეთოდიკური აპარატის სრულყოფა. დასახულია ამოცანა ქართულ ენაზე ისეთი სახელმძღვანელოების გამოცემისა, რომლებიც შესაბამისი იქნებიან მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებისა. უახლოეს დროში მთლიანად უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება სასწავლო, დამხმარე, საცნობარო და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაზე. სასწავლო სახელმძღვანელოებს წარედგინებათ ისეთივე მოთხოვნები, როგორც განათლების შინაარსს: მეცნიერულ-მეთოდიკური თვალსაზრისით იგი მტკიცედ უნდა ეყრდნობოდეს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, ეროვნულ ინტერესებსა და ემსახურებოდეს რესპუბლიკის წინსვლის საქმეს; გამართული უნდა იყოს

მეცნიერულად, კქონდეს აღმზრდელიობითი მიმართულება, ასახავდეს უახლეს მიღწევებს მსოფლიო და სამამულო მეცნიერებასა და კულტურაში, შედაგოგიურად და მეთოდოკურად იდგეს მაღალ დონეზე და პასუხობდეს სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებს; ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკსა და მის თვისებურებებს, დაწერილი იყოს გასაგებად და მაღალ პროფესიულ დონეზე.

**§ 5. განათლების შინაარსი პროექტული განათლების რეფორმის ღონისძიებათა ციკლის ერთ-ერთი მთავარი საკითხია განათლების შინაარსის**

განსაზღვრა და საგანმანათლებლო სტანდარტების დადგენა. სკოლის სტრუქტურულ აგებულებას ძირითადად სასწავლო შინაარსის მინიმუმის დადგენა, მისი დროში განაწილება და განათლების დარგისადმი სახელმწიფო პოლიტიკის დამოკიდებულება განაპირობებს. განათლების თანამედროვე სისტემის საშუალო განათლების ეტაპი თორმეტწლიან დროს ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, განათლების შინაარსიც და მისი დროში (კლასების მიხედვით) განაწილებაც თორმეტწლიან სწავლებას მიესადაგება.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების ფორმირება ხდება სამი ფაქტორის გათვალისწინებით:

1. ქართული საგანმანათლებლო და ისტორიულ-კულტურული ტრადიციები;
2. თანამედროვე მსოფლიოში მიღებული პარამეტრების გათვალისწინებით განათლების ექვივალენტობის დაცვა;
3. სამეცნიერო-მეთოდური, საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების რეალური მდგომარეობა.

საგანმანათლებლო სტანდარტები ორი ასპექტით დამუშავდება. ვერტიკალურ ჭრილში განისაზღვრება ცალკეულ სასწავლო

დისციპლინათა შინაარსის პარამეტრები, ხოლო კორიზონტალურ კრილში - სტანდარტული მოთხოვნები სწავლების სტრუქტურულ-ეტაპობრივი საფეხურებისადმი.

სტანდარტით დადგინდება სახელმწიფო დაკვეთის შინაარსობრივი მინიმუმის ძირითადი ნორმატივები. მოსწავლეთა სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება როგორც სწავლების. შინაარსით, ასევე კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ძირითადი მოთხოვნებით.

უმაღლესი განათლების სტანდარტით დადგინდება უმაღლესი განათლების სტრუქტურა, მოგადი მოთხოვნები ძირითადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ და მათი რეალიზაციის პირობები უმაღლესი სასწავლებლების თავისუფლება აკადემიური და პროფესიული განათლების შინაარსის განსაზღვრისას; მოგადი მოთხოვნები უმაღლესი განათლების სპეციალობათა განსაზღვრისას; სტუდენტის სასწავლო დატვირთვის ნორმატივები.

სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამის სახელმწიფო დაკვეთას უთუოდ უნდა ერწყმოდეს პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენა-განვითარების ამოცანებიც. ამდენად, სახელმწიფო დაკვეთის პარალელურად დაისმის პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების დიაგნოსტიკისა და მისი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირების საკითხი. ეს ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებათა ფსიქო-პედაგოგიური გამოკვლევის მეთოდების დამუშავებას მოითხოვს. ამ მიზნით გათვალისწინებულია ბავშვის შესაძლებლობათა ფსიქომეტრული მეთოდების კომპლექსური კვლევა, რაც პიროვნების პოტენციურ შესაძლებლობათა ოპტიმალური გამოვლენა-განვითარების გარანტიას მოგვცემს.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი საშუალო განათლების სავალდებულო ორიენტორია ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებისათვის. მასში აისახება როგორც სახელმწიფო დაკვეთის შინაარსობრივი მინიმუმი, ასევე სასწავლო მასალისა თუ მისი სწავლების ტექნოლოგიების სტანდარტის ზევით აწევის შესაძლებლობაც.

განათლების დარგის რეორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი სფეროა განათლების შინაარსობრივი ასპექტები. მოგადი

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე დამუშავდება სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების გიგორივი პროგრამები, სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებანი, კომპიუტერული პროგრამები, ტექნიკურ სამუალებათა მასალები და სხვა.

სწავლების შინაარსის ცალკეულ დისციპლინათა კომპონენტები დაემყარება თვით ამ საგნის შინაარსის აგების კონცეპტუალურ დებულებებს, საგანთაშორისო სინქრონიზმის, მემკვიდრეობითობისა და სისტემატურობის მოთხოვნებს, აგრეთვე იმ საერთო ტენდენციებს, რასაც თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აქვს ადგილი:

1. კუმანიტარული განათლების შინაარსის განახლება შემდეგ მოთხოვნათა გათვალისწინებით:

- სასწავლო კურსების დეპოლიტიზაცია;
- ისტორიული და ეთნოკულტურული ტრადიციების გათვალისწინება;
- კუმანიტარულ სისტემურ აზროვნებაზე ორიენტირება;
- მოვადსაკაცობრიო და ქართულ კუმანიტარულ იდეალებზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის ფორმირება, ორიენტირება სულიერი ვაკუუმის შევსებაზე.

2. საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის, ფუნდამენტურ საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ დარგებში მეცნიერული მიღწევების ისტორიული ტრადიციებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ენერგეტიკული და ბუნებრივი რესურსების სიმცირე და მათი რაციონალური გამოყენების აუცილებლობა მოითხოვს მეცნიერებატეკადი დარგების განვითარებას, დღის წესრიგში დგება საბუნებისმეტყველო და მათემატიკური დისციპლინების ხვედრითი წილის გაფართოება სასწავლო შინაარსში და მათი მეთოდური უზრუნველყოფა.

3. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანმდევი პრობლემების ფონზე ეკოლოგიური ცოდნის დონის ამაღლება.

სწავლების შინაარსის განახლების ამოცანის სარეალიზაციოდ განათლების სისტემის სამეცნიერო ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის სამეცნიერო ძალების მოშეფლიებით დამუშავდება ცალკეულ დისციპლინათა შინაარსის კონსტრუირების თეორიული და კონსეფტუალური პრობლემები, გაიშლება მუშაობა სახელმძღვანელოებისა და სხვა გიჰის სასწავლო მასალების შესაქმნელად, მათი აპრობაცია-ექსპერტიზისა და პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით (4, 32-33).

განათლების შინაარსით განსაზღვრული და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი ნორმების რეალიზაცია ხდება განათლების სისტემის სტრუქტურით გათვალისწინებული საფეხურების, ეტაპების, სახეებისა და მათში შემავალი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მიერ:

1. სკოლამდელი აღზრდის საფეხური - საბავშვო ბაღი (ბავით).

სკოლამდელი აღზრდის მიზანია მშობლებთან მჭიდრო კავშირში საფუძველი ჩაეყაროს ბავშვის ამროვნების, ემოციური სამყაროს, ნებისყოფის ფორმირებას და სწორად წარმართოს იგი, აგრეთვე - ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარის გამოვლენას, ყურადღების მობილიზაციის ჩვევის გამომუშავებასა და განვითარებას, სწორ ფიზიკურ, გონებრივ, მნეობრივსა და ესთეტიკურ აღზრდას. ამ საფეხურზე ბავშვებს უნდა ჩამოუყალიბდეს სხვა ბავშვებთან და უფროსებთან ურთიერთობის, პირადი პიჯიენისა და წესრიგის დაცვის ჩვევები, მიეცეს ყველაზე ელემენტარული მხაგერული და ყოფითი ხასიათის ინფორმაცია, აღძრას შრომის სიყვარული, შექმნას ჯანსაღი ფსიქიკის ფორმირებისათვის აუცილებელი პირობები, მომზადდეს ელემენტარულ (დაწყებით) სკოლაში შესასელებლად. სკოლამდელი აღზრდის შინაარსს განსაზღვრავს სამინისტროს მიერ შემუშავებული მრავალეარიანტული პროგრამები, რომლებიც ეფუძნება პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევებს.

2. საბაზისო განათლების საფეხური.

ა) ელემენტარული განათლების ეტაპი. - ელემენტარული სკოლა.

ელემენტარული სკოლა მოიცავს პირველ-მეექვსე კლასებს (მომავლისათვის) და ამზადებს ბავშვებს იმ დისციპლინების შესასწავლად, რომელთაც მოსწავლეები შემდგომი ეტაპიდან უფრო

ღრმად დაეუფლებიან. ამ სკოლაში ინტეგრირებულად, საკვანძო მომენტებზე აქცენტირებით ისწავლება მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, რელიგია და კულტურა, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა, უცხო ენა, ხელოვნება, მუსიკა. არაქართულ სკოლებში მეორე კლასიდან იწყება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლება. გარდამავალ პერიოდში ელემენტარული სკოლა შეიძლება შეიცაფეს დაწყებით (პირველ-მეოთხე) კლასებს და საორიენტაციო მეხუთე-მეექვსე კლასებს. ამ შემთხვევაში პირველ-მეოთხე კლასებში რეალიზდება თანამედროვე დაწყებითი განათლების შესაბამისი (სათანადოდ კორექტირებული) პროგრამა, ხოლო მეხუთე-მეექვსე კლასებში - საგანთა სისტემური კურსის შესწავლისათვის შემზადებული, ძირითადად ინტეგრირებული სასწავლო პროგრამა.

ბ) ძირითადი განათლების ეტაპი - ძირითადი სკოლა და პროგიმნაზია. ძირითადი სკოლა საბაზისო განათლების დამატებითი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც მოიცავს მეშვიდე-მეცხრე კლასებს. იგი მოსწავლეს აძლევს ზოგად განათლებას სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ საგნებში: მშობლიური ენა და ლიტერატურა, ქართული ენა არაქართული სკოლებისათვის, უცხო ენა, მათემატიკა, ინფორმატიკა, ფიზიკა, ქიმიკა, ბიოლოგია (ეკოლოგია), გეოგრაფია, ისტორია, ფიზიკური აღზრდა, რელიგია და კულტურა, მუსიკა, ესთეტიკური აღზრდა, მეოჯახეობა და გექნიკური შრომა. ძირითადი სკოლის საგანთა ერთ ნაწილში ინტეგრირებული სწავლების პრინციპი იცვლება სისტემური სწავლებით. ძირითადი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია განაგრძოს სწავლა შემდგომი საფეხურის სასწავლებლებში.

პროგიმნაზია. ელემენტარული სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ პროგიმნაზიაში, რომელიც გიმნაზიის პირველი საფეხურია. პროგიმნაზიაში ჩასარიცხავად მოსწავლეები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ელემენტარული სკოლა ან რომლებიც სწავლობენ ძირითად სკოლაში გაივლიან ტესტირებას.

### 3. სამუალო განათლების საფეხური.

ამ საფეხურის განათლების მიზანია მოამზადოს ახალგაზრდები ან უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად და გარკვეული პროფესიის დასაუფლებლად. ამ საფეხურის გაელით დასრულება სამუალო განათლების ციკლი და ამის შემდეგ ახალგაზრდა თავისი განათლებით, მორალური და ფიზიკური მომზადების ღონით მზად უნდა იყოს დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად. მოსწავლეების ერთმა ნაწილმა თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად შეიძლება აირჩიოს სწავლის ან უნივერსალური ზოგადი განათლების გაღრმავებაზე ორიენტირებული ან პროფილური - ცალკეული დისციპლინების გაძლიერებულ სწავლაზე ორიენტირებული ფორმები, რაც მათ საშუალებას მისცემს გაიარონ უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი ე. წ. სააბიტურიენტო მომზადება. გარდა ამისა, ძირითადი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობის ნაწილს შეუძლია აირჩიოს სწავლის ის ფორმა, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება მისთვის დაწყებითი პროფესიული განათლების მიცემა, აგრეთვე - მიიღოს სამუალო სპეციალური განათლება და მომზადდეს სამუალო კვალიფიკაციის სპეციალისტად.

სამუალო განათლების საფეხურზე სწავლების პროცესი ხორციელდება შემდეგი ტიპის სასწავლებლებში:

*ვიტნამია.* ეს არის ზოგადსაგანმანათლებლო ორსაფეხურიანი სასწავლებელი, რომლის თითოეული საფეხური სამ-სამ წლიანია. მეორე საფეხურის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას ნება ეძლევა განაგრძოს სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში და, თუკი დაშვებული კონკინგენტი ამის შესაძლებლობას იძლევა, კურსდამთავრებული კონკურსის გარეშე ჩაირიცხება არჩეულ სპეციალობაზე (ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში მოხდება აბიტურიენტის შემოქმედებით მონაცემთა შემოწმება არჩეულ დარგში დადგენილი წესით). ვიტნამიაში პირდაპირ ჩაირიცხებიან ისინი, ვინც წარმატებით დაამთავრა პროგიმნაზია, ხოლო დანარჩენი პროგიმნაზიადამთავრებულები, აგრეთვე მეორე საფეხურის რომელიმე



სასწავლებლის (ძირითადი, სააეგორო, სპეციალიზებული) კურს-  
დამთავრებულები, რომლებიც გიმნაზიაში დააპირებენ სწავლის  
გაგრძელებას, აგრეთვე მესამე საფეხურის რომელიმე სას-  
წავლებლიდან გიმნაზიაში გადმოსვლის მსურველები, ჩააბარებენ  
გამოცდებს. გიმნაზია მოსწავლეს აძლევს ფართო განათლებას  
ძირითად სასკოლო დისციპლინებში, განსაკუთრებით - ჰუმანი-  
ტარულ სფეროში. გიმნაზიის საბაზო საგნებია: მშობლიური ენა და  
ლიტერატურა (ქართული ენა და ლიტერატურა - არაქართული  
სკოლებისათვის), რელიგია და კულტურა, გეოგრაფია, ისტორია,  
სამოგა-დობათმცოდნეობა, თანამედროვე უცხო ენები, კლასიკუ-  
რი (ლათინური და ბერძნული) ენები, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია,  
ბიოლოგია (ეკოლოგია), ინფორმატიკა, ფიზიკური აღზრდა, მუსიკა,  
სახვითი ხელოვნება, ეთიკა. ამ საგნების სწავლების გარდა  
მოსწავლეთა მიდრეკილებების და სურვილის მიხედვით გიმნაზი-  
აში შეიძლება გაძლიერდეს მომზადება ენობრივ-საბუნებისმე-  
ცხველო მიმართულებით. გიმნაზიაში შეიძლება არსებობდეს  
როგორც დღის, ასევე საღამოს (მომუშავე ახალგაზრდებისათვის)  
სწავლების ფორმები.

*ლიცეუმი.* არის პროფილური სასწავლებელი, რომელშიც 3  
წლის განმავლობაში (მე-10-მე-12 კლასები), მეორე საფეხურის  
დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია მიიღოს პროფილუ-  
რი განათლება. ლიცეუმის მიერ გაცემული ატესტატი მას უფლებას  
აძლევს განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში. აქ  
ყურადღება ექცევა განსაზღვრული პროფილით გაღრმავებულ  
სწავლებას. ამასთანავე ისწავლება მოგადასაგანმანათლებლო სხვა  
საგნები: მშობლიური ენა და ლიტერატურა, სამოგადო-  
ებათმცოდნეობა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველების ციკლის საგნები,  
უცხო ენა, ფიზიკური აღზრდა. ლიცეუმის გამოსაშვები გამოცდები  
ერთდროულად უთანაბრდება უმაღლეს სასწავლებელში შესა-  
ბამისი პროფილის სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებს, რის  
შემდეგაც ლიცეუმდამთავრებულებს შეუძლიათ ჩაირიცხონ არჩ-  
ეულ უმაღლეს სასწავლებელში (დაშვებული კონკრეტული ფარგლებში). ლიცეუმში მიღებისას, კონკურსის პირობებში,  
ტარდება მისაღები გამოცდები ან გასაუბრება. ლიცეუმში

შეიძლება არსებობდეს როგორც დღის, ასევე საღამოს (შომუშავე ახალგაზრდებისათვის) სწავლების ფორმები. ცალკეულ ლიცეუმებს შეუძლიათ, თავიანთი პროფილის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათანადო პირობების შემთხვევაში მოამზადონ მოსწავლეები შესაბამისი პროფესიით. სწავლების ხანგრძლივობა ამ დაწესებულებებში განისაზღვრება დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტებითა და არჩეული პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

*პროფესიული სასწავლებლები.* ეს არის სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც სასკოლო განათლების მეორე ეტაპის ანუ ძირითადი სკოლის ან სრული საშუალო განათლების დასრულების შემდეგ 1,2 ან 3 წლის განმავლობაში ახალგაზრდებს შეასწავლის გარკვეულ პროფესიას, რაც მათ ქალაქად თუ სოფლად სხვადასხვა ხასიათის საწარმოებში, ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, სერვისისა თუ სხვა სფეროებში სამუშაოდ გზას გაუხსნის. ამგვარი სკოლები შეიძლება არსებობდნენ თავად საკუთარი კადრების მომზადებით დაინტერესებულ წარმოება-დაწესებულებებთან, მუნიციპალიტეტებთან ან ფუნქციონირებდნენ სახელმწიფო დაკეთის შესაბამისად. ამასთან ერთად, პროფესიული სასწავლებელი ახორციელებს კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას, ალტერნატიულ (არასამხედრო) შრომითი სამსახურისათვის აუცილებელ პროფესიულ მომზადებას. პროფესიული სასწავლებლები ახალგაზრდებს ამზადებენ ზოგადასაგანმანათლებლო დისციპლინებშიც. სასწავლო დატვირთვაში მათი მოცულობა განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტებით და შეესაბამება სწავლების ხანგრძლივობას. აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია პროფესიული მომზადება სრულყოფილ კოლეჯში და მიიღოს საშუალო სპეციალური განათლება. პროფესიულ სასწავლებელთა ერთ ნაწილს, რომელსაც აქვს სათანადო სასწავლო მაგერიალური ბაზა და ჰყავს საჭირო პედაგოგიური კადრები, სპეციალური აკრედიტაციის შემდეგ მიენიჭება უფლება, მოსწავლეებს პროფესიულ მომზადებასთან ერთად მისცეს სალიცეუმო (ზოგადასაგანმანათლებლო საშუალო) განათლებაც, რაც მათ

აძლევს შესაძლებლობას სწავლა გააგრძელონ არჩეული პროფესიის შესაბამის დარგობრივ უმაღლეს სასწავლებელში. სწავლების ხანგრძლივობა პროფესიულ სასწავლებლებში განისაზღვრება დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით.

*სამუშალო-სპეციალური სასწავლებელი (კოლეჯი).* მათი მიზანია სხვადასხვა სპეციალობებში პირველადი პროფესიული კვალიფიკაციის მიცემის შემდეგ გაულრმაონ ახალგაზრდას სპეციალური მომზადება და, ამასთანავე, მისცენ ზოგადი განათლება. კოლეჯში განათლების სრული ციკლი მოიცავს 5 წელს, მასში შესვლა შეუძლიათ ახალგაზრდებს ძირითადი სკოლის, პროგიმნაზიის ან მათთან გათანაბრებული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გიმნაზიისა და ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, პროფესიული განათლების გარკვეული მოცულობით მიღების შემთხვევაში, სათანადო შემოწმების შემდგომ ახალგაზრდები შეიძლება ჩაირიცხონ შესაბამისი კოლეჯის მე-4 კურსზე. კოლეჯები ამზადებენ სამუშაო რგოლის სპეციალისტებს, რომლებიც იღებენ სახელმწიფოს მიერ ატესტირებული სპეციალისტის ანუ უმცროსი სპეციალისტის კვალიფიკაციას და რომელთაც ექნებათ უნარი წარმართონ თავიანთი დარგის შესაბამისი საწარმოების მუშაობა, როგორც კვალიფიცირებულმა ტექნიკოსებმა, წარმოების ორგანიზატორებმა და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯის მე-4 - მე-5 კურსების პროგრამა არსებითად შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის გარკვეული სპეციალობის პირველი და მეორე კურსების სასწავლო პროგრამებს, შესაძლებელია კოლეჯის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა აუცილებელი გამოცდების ჩაბარების შემდგომ ეაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში კონკურსის წესით ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში მე-3 კურსზე. სხვა შემთხვევაში კოლეჯის კურსდამთავრებულს უფლება ეძლევა სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად.

#### 4. უმაღლესი განათლების საფეხური.

ამ საფეხურის განათლების მიზანია მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, პედაგოგიური კადრები

სხვადასხვა საფეხურის სასწავლებლისათვის, სამეცნიერო მუშაობაზე ორიენტირებული ახალგაზრდა კადრები. უმაღლესი განათლება ძირითადად ორ ეტაპად ხორციელდება: ბაკალავრთა მომზადების (მოიცავს ჩვეულებრივ, 4 წელიწადს) და მაგისტრთა მომზადების (მოიცავს ჩვეულებრივ, 2 წელიწადს) ეტაპები. ორივე ეტაპზე სპეციალისტთა მომზადება ხდება უნივერსიტეტებსა და მათთან გათანაბრებულ უმაღლეს სასწავლებლებში. დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლები, როგორც წესი, მხოლოდ ბაკალავრებს ამზადებს. ამ სასწავლებლების სტატუსისა თუ უფლებების გაფართოება, აგრეთვე მათი ინტეგრაცია უნივერსიტეტების სისტემაში, შეიძლება მოხდეს მხოლოდ შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე. უმაღლესი განათლების საფეხურზე სპეციალისტები მზადდება შემდეგი ტიპის სასწავლებლებში:

*უნივერსიტეტი.* არის მსხვილი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს მეცნიერების ძირითად დარგებში. უნივერსიტეტი სტუდენტებს ორ ეტაპზე ამზადებს. პირველი ოთხი წლის განმავლობაში ამზადებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებს, რაც მათ აძლევს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სტატუსს და უფლებას, იმუშაონ განათლების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შესაბამის სფეროებში. ბაკალავრიატის ეტაპზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს მომზადება ერთდროულად ორი სპეციალობით (ძირითადით და პარალელურით). მეორე ეტაპი მოიცავს ორ წელს და ამზადებს წარჩინებულ ბაკალავრთაგან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებს. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებს. უფლება ეძლევა დაიკავოს ლიცეუმისა და გიმნაზიის მასწავლებლის თანამდებობა, სახელმწიფო ნომენკლატურით მაგისტრისათვის განმრავლ მოხელეთა თანამდებობები, განაგრძოს მომზადება ასპირანტურაში ან მაძიებლად პირველი დისერტაციის დასაცავად და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (ორი ან სამი წლის განმავლობაში). მეცნიერებათა კანდიდატს აქვს უფლება შემდგომ მოამზადოს მეორე დისერტაცია უმაღლესი

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მანამდე კი დაიკავოს სამეცნიერო ან პედაგოგიური თანამდებობა (ასისტენტი, მასწავლებელი, დოცენტი) უმაღლეს სასწავლებელში. უნივერსიტეტის ფუნქციონირება ეფუძნება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ:

ა) ბაკალავრის საბაზო მომზადების დროის მოცულობის ძირითად პარამეტრებს;

ბ) სასწავლო პროცესის ფორმებსა და მათი ჩატარების უფლების მქონე სპეციალისტთა კატეგორიებს;

გ) სრული სასწავლო პროცესის გასაეღებად აუცილებელი საღებავი, სასემინარო თუ პრაქტიკული საათების დაახლოებით რაოდენობას და მათ თანაფარდობას;

დ) რეკომენდაციებს აუცილებელ საუნივერსიტეტო კურსებთან დაკავშირებით; მაგისტრის მიღებისა და მომზადების პირობებს.

ამ გიპის უმაღლესი სასწავლებლები ორ ჯგუფად იყოფა. პირველნი ამზადებენ სპეციალისტებს ტრადიციულ საუნივერსიტეტო განათლებისათვის დამახასიათებელ მეცნიერების ძირითად დარგებში (ან მათ უმეტესობაში) და იწოდებიან უნივერსიტეტებად. მეორენი უპირატესად რომელიმე მნიშვნელოვანი დარგის (ტექნიკის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის და ა.შ.) ძირითად სპეციალობებში და იწოდებიან დარგობრივ უნივერსიტეტებად (მაგ. სამედიცინო უნივერსიტეტი, პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი და ა. შ.).

უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტი ჩაირიცხება მხოლოდ მესამე (სამუალო განათლების) საფეხურის საგანმანათლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ამა თუ იმ პროფილის ლიცეუმის ან მასთან გათანაბრებული სასწავლებლის კურსდამთავრებული უმაღლეს სასწავლებელში მიიღება მხოლოდ პროფილის შესაბამის სპეციალობაზე.

უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი (ინსტიტუტი) არის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ამზადებს პედაგოგებს ყველა დონის სკოლაშდელი და სასკოლო დაწესებულებებისათვის, გარდა ლიცეუმებისა და გიმნაზიებისა,

რომელთა პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ. ასეთ ინსტიტუტებს აქვს მხოლოდ ბაკალავრის მომზადების უფლება სწავლების 4 წლის ვადით. უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლის გავრძელების უფლება აქვთ გიმნაზიის, შესაბამისი ლიცეუმის და მათთან გათანაბრებული სხვა სასწავლებლების კურსდამთავრებულებს.

უკვე ხსენებული უმაღლესი სასწავლებლების გარდა საქართველოს განათლების სისტემა აგრეთვე მოიცავს ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებს, დარგობრივ უმაღლეს სასწავლებლებს, არატიპურ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ფორმებს, საბავშვო სახლებს, ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალურ სასწავლებლებს, სპეციალიზებულ სკოლებს, სააეგორო სკოლებს, არააკადემიური სტატუსის სკოლისშემდგომ სასწავლო დაწესებულებებს, სკოლისგარეშე აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს, აგრეთვე ექსტერნის წესით განათლების მიღების ფორმებს, რომელთა სტატუსისა და შინაარსის საკითხები მოცემულია „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამაში“, (გვ.23-27).

სწავლების მეთოდები და საშუალებანი

- § 1 „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა“ განათლების სისტემის მეცნიერული და მეთოდური უზრუნველყოფის შესახებ.
- § 2 სწავლების მეთოდის ზოგადი ცნება მოთხოვნები მეთოდისადმი. მეთოდის დანიშნულება და ფუნქციები, მათი ორმხრივი ხასიათი. მეთოდი და ხერხი.
- § 3 მეთოდის მრავალფეროვნება და მათი კლასიფიკაციის პრობლემები.
- § 4 სწავლების მეთოდთა ტრადიციული კლასიფიკაცია
- § 5 მეთოდთა კლასიფიკაცია უახლეს პედაგოგიკურ ლიტერატურაში.
- § 6 სწავლების ძირითადი საშუალებანი.

ლიტერატურა

1. ა. გობრონიძე, პედაგოგია, ბათუმი, 1996 წ.გვ. 107-151.
2. ვ. გაგუა, პედაგოგია, თბილისი, 1996 წ.გვ. 127-144.
3. Педагогика школы. Под ред. Г.И.Щукиной. М.Просвещение, 1977 г., гл. 16, стр. 305-327.
4. Дидактика средней школы. Под ред. М.Скатики. М.Просвещение, 1982 г., гл.5, § 1,2,3, стр. 181-193.
5. Педагогика. Под ред. Ю. К. Бабанского. М.Просвещение, 1983 г., гл.9, стр. 177-210.
6. Д. О. Лордкипანიдзе. Дидактика. Тбилиси, госуниверситет, 1985 г. гл.7, стр.177-210.
7. Педагогика. Под ред. С. Баранова и В. Стастеница. М.Просвещение, 1987 г., гл.12, стр. 136-154.
8. С. П. Баранов. Л. Р. Болотина, В. А. Слостениц. Педагогика. М. Просвещение, 1987 г., гл. 10, § 32, 33, с. 108-111. § 34, 35, 36, с. 111-128.
9. Педагогика. Под ред. Ю. К. Бабанского. М. Просвещение, 1988 г., гл. 22, §1. с. 385-389; § 2, с. 389-401; § 3, с. 401-407; § 4, с. 407-408; § 5, с. 408-414.
10. Харламов И. Ф. Педагогика. М. Высшая школа, 1990 г., гл. 10, с. 193-236.
11. Педагогическая энциклопедия. Москва, 1965 г., т. 2, с. 813-820.

§1 „ბანათლების რეფორმის სა-  
ხელმწიფო პროგრამა“ ბანათლების  
სისტემის მდინარული და მე-  
თოდური უზრუნველყოფის შესახებ.

განათლების სისტემის  
გარდაქმნა, მისი ორი-  
ენტირება თანამედროვე  
მსოფლიოში დამკვიდ-  
რებული ზოგადსაკაცობ-

რიო კულტურულ-საგანმანათლებლო ღირებულებებსა და ქართული  
ისტორიულ-კულტურული ტრადიციებისაღმე მოითხოვს შედაგოვიუ-  
რი მეცნიერებისა და პრაქტიკის ახალი მეთოდოლოგიური  
საფუძვლების დამუშავებას, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი  
მიდგომების ფორმირება-დამკვიდრებას, ამ მიმართულებით  
ფუნდამენტური კვლევების წარმართვას. განათლების შინაარსის  
განახლების მოთხოვნა საჭიროებს სისტემურობის, სინქრონიზმის,  
მემკვიდრეობითობის და სხვა ზოგადიდაქტიკურ პრინციპებზე  
დაყრდნობით, ცალკეულ დისციპლინათა შინაარსის კონსტრუი-  
რების კონცეფტუალურ შეხედულებათა დამუშავებას, სამეცნიერო  
კვლევების წარმართვას პროგრამების, სახელმძღვანელოების,  
მეთოდიკური სისტემებისა და სასწავლო-მეთოდიკური კომპლექ-  
სის სხვა კომპონენტების დასამუშავებლად.

დამუშავდება აღზრდის ერთიანი კონცეფცია, რომელიც მთლი-  
ანობაში განიხილავს მწიფობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და  
შრომითი აღზრდის პრობლემებს, აღზრდის გზებისა და  
მეთოდების დამუშავება ორგანულ ერთიანობაში ზოგა სწავლების  
პროცესის მეთოდიკურ აპარატთან. შეიქმნება ერთიანი შედაგ-  
ოგიური პროცესის პრინციპებზე დამყარებული სწავლებისა და  
აღზრდის კომპლექსური ტექნოლოგიური სისტემა.

განათლების დარგი არ განიხილება მომავალი თაობის სწავ-  
ლებისა და აღზრდის იზოლირებულ სისტემადა. აქ მნიშვნელოვანი  
როლი აკისრია საზოგადოებას, სოციალურ გარემოს, ოჯახს. ამ  
თვალსაზრისით გაგრძელდება კვლევები ოჯახის პოზიტიური  
სააღმზრდელო მემოქმედების ფორმებისა და მეთოდების  
დახვეწის მიმართულებით, მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის,  
მათში სოციალური ქცევების პროფილაქტიკის მიზნით.

ერის ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნებისა და გან-  
ვითარებისათვის უაღრესად აქტუალურია ნიჭიერ ბავშვთა განვი-



თარებისათვის საჭირო პედაგოგიური პირობების შექმნა. მუშავდება მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებში, მხატვრულ-შემოქმედებით, სპორტულსა და საქმიანობის სხვა სფეროში განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის მქონე ბავშვთა გამოვლენის ფსიქოლოგიური მეთოდები, მომზადდება მიზნობრივი პროგრამები მათი განვითარების, ოპტიმალური შინაარსობრივ-მეთოდიკური სისტემის ასამოქმედებლად. განმტკიცდება და გაფართოვდება ამისათვის მოწოდებული საეციალური სკოლების, სკოლა-ინტერნატების, კლასგარეშე დაწესებულებების ქსელი.

პედაგოგიური პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მოთხოვნათა გათვალისწინებით მომზადდება სწავლების ტექნიკურ საშუალებათა პროექტები, დაიწყება მუშაობა რესპუბლიკაში მათი წარმოებისათვის საჭირო საპროექტო-საკონსტრუქტორო და ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად, დამუშავდება სკოლებში კომპიუტერული ტექნიკის დანერგვის მიზნობრივი პროგრამა, მომზადდება საკომპიუტერო სასწავლო პროგრამები, შეიქმნება სათანადო პირობები მასობრივი კომპიუტერული წიგნიერების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დონის მისაღწევად.

ახალი სასწავლო გეგმების, საგანმანათლებლო სტანდარტების, სასწავლო დისციპლინათა პროგრამების საფუძველზე დამუშავდება სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსების ერთიანი სისტემა, მომზადდება ნიადაგი ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების სარეალიზაციოდ.

დამუშავდება სასწავლო და მეთოდიკური მასალა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არაქართულენოვანი სკოლებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამ სკოლებში ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლების საკითხებს, ყველა პირობა შეიქმნება, რათა ამგვარი სკოლების კურსდამთავრებულები აღიზარდონ საქართველოს რესპუბლიკის ღირსეულ მოქალაქეებად. ისტორიული სამშობლოსადმი პატივისცემის გრძნობის გაღვივებასთან ერთად, შეიქმნება პირობები საქართველოს პატრიოტებად მათი აღზრდისათვის.

განათლების დარგის რეფორმის წარმატებით რეალიზაცია უპირატესად საკადრო პოლიტიკის გატარებაზეა დამოკიდებული.

უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ცენტრების ძალებით დამუშავდება პედაგოგიური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების თეორიული და მეთოდური საკითხები. განისაზღვრება საკვალიფიკაციო პროფესიული და მეთოდური საკითხები, პროფესიულ მახასიათებელთა სტანდარტული პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს ერთიანი მოთხოვნების გატარებას სახელმწიფო და - არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები-საღმბი, დამუშავდება პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ატესტაციის შინაარსობრივი და ორგანიზაციული ასპექტები.

მიუხედავად იურიდიული და საფინანსო-ეკონომიკური აეგონომიისა, არასახელმწიფო საერო სასწავლებლები განათლების სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ რგოლად განიხილება. ეს განაპირობებს სახელმწიფოს მხრივ პასუხისმგებლობას არამარტო ლიცენზირების პროცედურაზე, არამედ ამ ტიპის დაწესებულებების საქმიანობის სახელმწიფო საგანმანათლებლო ინტერესებთან შესაბამისობის მუდმივ კონტროლზე, პერიოდული ატესტაციის შედეგად მოკვლეული მასალების საფუძველზე მათი ფუნქციონირების რეგულირებას. ამ აუცილებელ მოთხოვნათა განსახორციელებლად დამუშავდება საერო სასწავლებლების სააეგორო პროექტების ექსპერტიზის, ლიცენზირებისა და მათი შემდგომი საქმიანობის რეგულირების ნორმატული აქტები. სათანადო მოთხოვნების შემთხვევაში სახელშეკრულებო წესით ამ სასწავლებლებისათვის მომზადდება სასწავლო მეთოდური მასალა, თვალსაჩინო დიდაქტიკური საშუალებები.

განათლების სისტემის სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა ითვალისწინებს არამარტო განათლების სამინისტროს სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური რგოლების მობილიზებას, არამედ რესპუბლიკის მოწინავე სამეცნიერო ძალების მიზიდვას და რეფორმის სამსახურში ჩაყენებას, რაც აქედანვე იგეგმება პასუხისმგებელ პირთა გამოყოფითა და შესრულების ვადების განსაზღვრით.

ასეთია „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული განათლების სისტემის მეცნიერული და მეთოდური უზრუნველყოფის ღონისძიებანი, ხოლო იმავე პროგრამის რეალიზაციის გეგმით გათვალისწინებული იყო:

- პოლიტიზირებული სასწავლო კურსების შეცვლა ისტორიაში, საზოგადოებათმცოდნეობაში, ლიგერატურაში, ეკონომიკურ გეოგრაფიაში, უცხო ენებში 1995-1996 წლებში.

- საშუალო სკოლისათვის ახალი პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და თეალსაჩინოების შემუშავება საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში, სამოქალაქო-სამართლებრივ და საზოგადოებათმცოდნეობის კურსებში. მათ შორის: „ადამიანთა უფლებათა დეკლარაციის“, „მოქალაქეთმცოდნეობის“. „დემოკრატიის საფუძვლების“, თანამედროვე ცივილიზაციის საფუძვლების კურსებში, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებში, მათ შორის „ელემენტარულ ეკონომიკაში“ უმცროს მოსწავლეთათვის, „უმცროს მოსწავლეთა ეკოლოგიური განათლება“, „ეკოლოგიის საფუძვლები“, „სოციალური ეკოლოგია“. ქართულ ენასა და ლიგერატურაში, უცხოური ენების კურსებში - 1995-1997 წლებში.

- უმაღლესი სასწავლებლებისათვის ახალი პროგრამებისა და თეალსაჩინოების შემუშავების ორგანიზაცია - 1995-1997 წლებში.

და სხვა მრავალი...

რაც შეეხება სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის დარგს, აქ გათვალისწინებული იყო:

- კომპლექსური სამეცნიერო-პედაგოგიური პროგრამის „განათლების რეფორმა საქართველოში“ ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფის ორგანიზაცია - 1995-1996 წწ.

- განათლების დარგში ორგანიზებულად, ეკონომიკურად და იურიდიულად რეგულირებადი სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი სამეცნიერო პოლიტიკის შემუშავება - 1995-1996 წწ.

- პედაგოგიკური მეცნიერების აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლების სექტორთა ინტეგრაციის უზრუნველყოფა - 1995-1996 წწ.

- განათლების დარგში სამეცნიერო გამოკვლევების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და დაფინანსების პროგრამული მეთოდის რეალიზაცია - 1995-1996 წწ.

- განათლების სფეროს ქართულ მეცნიერ-მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო თანასაზოგადოებაში - სისტემატურად.

- სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი განათლების სტანდარტების შემუშავების ორგანიზაცია - 1995-1997 წწ.

- მასობრივ პრაქტიკაში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და განათლების ახალი შინაარსის გრანსლაციის მექანიზმის შემუშავება - 1995-1996 წწ.

„განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის“ მიღება-გამოქვეყნებიდან ოთხ წელზე მეტი გაეიდა. განათლების სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა და პრაქტიკოს მასწავლებელთა უმრავლესობა ალბათ დაგვემოწმება, რომ „პროგრამის“ რეალიზაციის გეგმიდან აქ მოგანილ საკითხთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შესრულებული არაა. ვიმედოვნებთ, რომ სტუდენტები, რომლებიც წინამდებარე ლექციების კურსით ისარგებლებენ, მუშაობის დაწყებამდე მათ რეალიზაციას მოესწრებიან.

§ 2 სწავლების მეთოდის გობალი პედაგოგიაში ზოგადად ცნება. მეთოდოვნები მეთოდები მიჩნეულია, რომ სწავლების მეთოდი - ესაა მას-ბისაღმი. მეთოდების დანიშნულება და უზენაესი, მათი ორმხრივი წაყვლების საქმიანობის ხასიათი. მეთოდი და ხერხი ხერხი დიდაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

მაგრამ მეცნიერების ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ზოგადად მიჩნეული ყოველთვის როდი წარმოადგენდა ჰემზარიტებას. თუ სწავლების მეთოდი მოქმედების მხოლოდ კონკრეტული ხერხია, მაშინ მეთოდის ოპტიმალური ვარიანტი (რეალიზაციის ფორმა) შეიძლება გვეპოვა ამ ხერხთა უბრალო შერჩევით. მაგრამ ეს ასე არაა, რამეთუ უკვე არაერთი სწავლული პედაგოგი ეძიებენ სწავლების რაც შეიძლება უფრო ეფექტურ მეთოდებს.

მეთოდის შინაარსის განსაზღვრისათვის საჭიროა გაეანალიზოთ პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკა.

საუკეთესო მასწავლებლები ეყრდნობიან პედაგოგიკის, სწავლების თეორიის საკუთარ ცოდნას, სწავლების მათთვის ცნობილი

ხერხების ოპტიმალურ შეხამებას სასწავლო საგანთან და თვითონვე ეძიებენ და პოულობენ ახალსა და ახალ ხერხებს.

ცნობილია, რომ ნებისმიერი სპეციალობის წარმომადგენელი მოქმედებს გარკვეული წესის მიხედვით. ეს წესები არის ყველა პროფესიაში. წესების გარდა სპეციალისტები არჩევენ აგრეთვე მოქმედების მეთოდებსაც.

რა არის სწავლების მეთოდი? სწორია თუ არა, რომ მეთოდი ესაა სასწავლებლის მოქმედების ხერხი?

სასწავლო პროცესი არის მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისა და გარკვეული უნარ-ჩვევების დაუფლების ორგანიზებული და მართვადი პროცესი. დიდაქტიკა შეიცავს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული და როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი. ამ ცოდნით ხელმძღვანელობს მასწავლებელი. მამასადაძამე, იგი იცავს გარკვეულ წესებს.

სასწავლო საგნის, სასწავლო მასალის ხასიათის (ახალი, რთული, მარტივი და ა.შ.), დიდაქტიკური მიზნებისა (ახალის შეთვისება, განმეორება, განმტკიცება, უნარ-ჩვევათა ფორმირება და ა.შ.) და მოსწავლეთა მომზადების დონის (მხოლოდ იციან, იციან კარგად და შეუძლიათ ამ ცოდნის გამოყენება და ა.შ.) მიხედვით გამოიყენება სწავლების ორგანიზაციის სხვადასხვა წესი ანუ მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი კონკრეტული სასწავლო საქმიანობის ამა თუ იმ ხერხის შერჩევის წესი. ეს წესი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. ზოგიერთი პირობითობის გათვალისწინებით, იმ წესთა ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებენ სასწავლო საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებას, შეიძლება ეწოდოს მეთოდი.

პედაგოგიკურ ლიტერატურაში, იმის მიხედვით, თუ რა შინაარსით განისაზღვრება და რა მიზანს ისახავს ესა თუ ის პედაგოგიური საქმიანობა, რა საშუალებებია გამოყენებული ამ მოქმედებებისას და რას ემსახურება იგი, სხვადასხვა ავტორი მეთოდის ცნებას განსაზღვრავს სხვადასხვაგვარად. აი, ზოგიერთი მათგანი.

*სწავლების მეთოდები* - ესაა მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი მოქმედების წესები, რომლებიც მიმართულია სწავლების ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

ხერხებად წოდებული ელემენტები შეადგენენ მეთოდს, ხოლო მეთოდი კი ემსახურება დიდაქტიკური ამოცანების გადაწყვეტას, სწავლების მეთოდი ყოველთვის შეიცავს წამყვანისა და მიმყოლის მოქმედებას. (ა. კ. გროშევა. 3,305).

*მეთოდი* - ესაა მასწავლებლის მიერ ორგანიზებული მოსწავლის შემეცნებითი საქმიანობის ხერხი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები იძენენ არა მარტო ახალ ცოდნასა და ჩვევებს, არამედ აღწევენ თავიანთი შემეცნებითი ძალების განვითარების მაღალ დონეს, მეთოდები არის მოგადდიდაქტიკური და კერძოსაგნობრივი.

ყოველი მეთოდი, მოგადპედაგოგიური თუ კერძოსაგნობრივი, წარმოადგენს ადამიანის გააზრებულ, თანამიმდევრულ მოქმედებათა სისტემას, რომელსაც იგი მიჰყავს დასახული მიზნის მიღწევის შედეგამდე (ი. ი. ლერნერი. 4,183-186).

*მეთოდი*, თავისი ზოგადი მნიშვნელობით, არის გზა, ადამიანის მიერ გარკვეული მიზნის მისაღწევად გამოყენებული ხერხებისა და საშუალებების სისტემა (დ. ო. ლორთქიფანიძე. 6,303).

სწავლების მეთოდებს ხშირად განსაზღვრავენ როგორც მოსწავლეთა მიერ ცოდნის სიღრმისეული, გააზრებული და მტკიცე შეთვისებისაკენ მიმართულ მასწავლებლის მოქმედების ხერხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის მართვას (ს. პ. ბარანოვი. 8,109). სხვა სახელმძღვანელოში იგივე ავტორი იძლევა ასეთ განმარტებას: სწავლების მეთოდი ესაა მოსწავლის პიროვნების განათლების, აღზრდისა და განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე სასწავლო მასალის თეორიული და პრაქტიკული შეთვისების ფორმა. მეორენაირად, სწავლების მეთოდი - ესაა განათლების ამოცანების რეალიზაციისაკენ მიმართული მასწავლებლისა და მოსწავლეთა შემეცნებითი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის გზა. მასწავლებელი აქ გამოდის როგორც შუამავალი კაცობრიობის გამოცდილებაში დაფიქსირებულ ცოდნათა და ბავშვის ცნობიერებას შორის, რომელსაც ეს ცოდნა არ აქვს (7,137).

მეთოდი (ბერძნულიდან *metodos* - სიტყვა-სიტყვით - გზა რაიმესაკენ) აღნიშნავს მოქმედების ხერხს, მიმართულს გარკვეული მიზნის მიღწევისაკენ.

*სწავლების მეთოდს უწოდებენ განათლების ამოცანების გადაწყვეტისაკენ მიმართულ მასწავლებლისა და მოსწავლეთა მოწესრიგებული ურთიერთდაკავშირებული მოქმედების წესს (ი. კ. ბაბანსკი. 938).*

მეთოდების ცნების ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა დიდაქტიკური ამოცანების გადაწყვეტისა და შესასწავლი მასალის დაუფლებისაკენ მიმართული მასწავლებლის სასწავლო მუშაობისა და მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაციის ხერხები (ი. თ. ხარლაშოვი. 10, 194-195).

ასეთია სწავლების მეთოდის გავრცელებული ტრადიციული და უახლესი განმარტებანი.

სწავლების დიდაქტიკური თეორია და სწავლების პრაქტიკული პედაგოგიური პროცესი სწავლების მეთოდებს უყენებს გარკვეულ მოთხოვნებს. ყოველმა მეთოდმა, ეყრდნობა რა დიდაქტიკის გნოსეოლოგიურ, მოგადქედაგოგიურ, ფსიქოლოგიურსა და ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, კანონზომიერებებსა და პრინციპებს, უნდა უზრუნველყოს:

- 1. შესათვისებელი ცოდნისა და ჩვევების სრული გაცება მოსწავლეთა მიერ;*
- 2. მოსწავლეთა მიერ ცოდნათა და ჩვევათა სისტემის თანამიმდევრული, მტკიცე და შეგნებული შეთვისება პროგრამით გათვალისწინებული მოცულობით.*
- 3. მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდა;*
- 4. სწავლების კავშირი შრომასთან პოლიტექნიზაციის პრინციპის საფუძველზე;*
- 5. მოსწავლეებში კოლექტივიზმის გრძნობისა და კოლექტიური საქმიანობის ჩვევათა გამომუშავება;*
- 6. მოსწავლეებში ცოდნათა ხარისხისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის, შეგნებულობისა და დისციპლინიზებულობის აღზრდა;*
- 7. მოსწავლეებში ესთეტიკურ გრძნობათა განვითარება, მათში აკურაგულობისა და პუნქტუალურობის აღზრდა;*
- 8. ბავშვთა ფიზიკური განვითარება და სასწავლო შრომის სანიტარულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დაცვა;*

9. მოსწავლეთა ფსიქიკური მხარეების: ყურადღების, ნებისყოფის, ემოციათა, მეხსიერების, აზროვნებისა და სხვათა განვითარება;

#### 10. სასწავლო დროის რაციონალური გამოყენება.

ამასთანავე მეთოდები უნდა პასუხობდნენ სასწავლო საგნების დიდაქტიკურ მოთხოვნებს, განათლების შინაარსსა და უზრუნველყოფდეს ყოველი სასწავლო დისციპლინის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას.

დიდაქტიკური პრინციპების ფუნქციონალური ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ გარკვეულ სიტუაციაში ამა თუ იმ პრინციპის ერთი ფუნქცია ღომინირებს მეორეზე. ამ შემთხვევაში პირობების შესაბამისად გარდამქმნელი ფუნქციის მეგავლენით პრინციპი კონკრეტდება მოთხოვნად, წესად და პროცედურად. გარდაიქმნება რა მეთოდად, პრინციპი ამავე დროს ინარჩუნებს თავის სხვა ფუნქციებსაც, თუმცა ისინი გარკვეულწილად სუსტდებიან. ამდენად, პრინციპი კვლავ რჩება პრინციპად და იგი კვლავაც ასრულებს თავის მარეგულირებელ ფუნქციას.

ამ პრინციპთაგან პირველნი უშუალოდ ასახავენ მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის და მათი პირობების ფორმირების ობიექტურ კანონზომიერებებს, ხოლო მეორენი კი - მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მიზნით მასწავლებლის ცოდნას ამ კანონზომიერებათა და მათი შესაბამისი მოქმედების წესების შესახებ. პირველნი ასრულებენ მეთოდოლოგიურ, ხოლო მეორენი კი მარეგულირებელ ფუნქციებს. სწორედ ეს მეორენი განსაზღვრავენ მასწავლებლის ქცევას, მისი მოქმედების მიმართულებას და სწორედ ისინი გადაიქცევიან მეთოდებად. სხვა სიტყვებით - სწავლების კონკრეტული მეთოდი - ესაა სწავლების პრინციპებით განპირობებული პედაგოგიური თანამოქმედების წესთა სისტემა, რომლითაც ხელმძღვანელობენ მასწავლებელი და მოსწავლეები, ირჩევენ კონკრეტული მოქმედების სერხებსა და საშუალებებს დასახული მიზნის მისაღწევად.

ამრიგად, სწავლების ცალკეული მეთოდი არის ქცევის მოდელი, რეგულატივი, რომელიც შეიცავს სწავლების პროცესში



მიზანმიმართული მოქმედების ხერხებსა და საშუალებებს, მათს განმსაზღვრელ მითითებებს, წესებსა და მიმართულებებს, აგრეთვე ამ კონკრეტული მოქმედებით რეალიზებული მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობას.

გასაგებია, რომ მეთოდის შინაარსი და ხასიათი განისაზღვრება განათლებისა და სწავლების მიზნებითა და შინაარსით, მასწავლებლის პიროვნებისა და მისი მოქმედების სტრუქტურით. სწორედ ეს კატეგორიები აისახებიან პრინციპთა სისტემაში, რომელთა გარკვეული ფუნქციების რეალიზაცია ხდება სწავლების მეთოდების სახით.

სწავლების მეთოდების ფუნქციები და დანიშნულება შეიძლება განისაზღვროს იმ მოთხოვნებითაც, რომლებსაც მათ უყენებს თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერება. ესენია:

1. *სწავლების მეთოდის მიმართება მოსწავლეთა საერთო განვითარების, შემეცნებითი და სწავლის მოტივის ფორმირების, გრძნობათა, რწმენისა და შეხედულებათა აღზრდის, სწავლების განმავითარებელი ფუნქციის ამოცანათა რეალიზაციისაკენ.*

2. *მეთოდის მეცნიერულობა, რაც უზრუნველყოფს გარესამყაროს კანონზომიერებათა სწორ გაგებასა და სამყაროს ყველა მხარის შესახებ სწორი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.*

3. *მეთოდის მისაწვდომობა გულისხმობს მის შესაგყვისობას მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ შესაძლებლობებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების დონესთან.*

4. *მეთოდის შედეგიანობა ნიშნავს მის მიმართებას მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის იეორიული ცოდნისა და მათი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების მტკიცე დაუფლებისაკენ.*

5. *მეთოდის გამდიდრების შესაძლებლობა და აუცილებლობა მოწინავე გამოცდილების შესწავლის, სწავლების თეორიისა და პრაქტიკის ახალი მიღწევების საფუძველზე.*

გემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი ზოგადპედაგოგიური თუ კერძოსაგნობრივი მეთოდი, სწავლების შინაარსთან ერთად, ასრულებს ორგანიზაციულ, საგანმანათლებლო, წამახალისებელ, შემეცნებითსა და აღმზრდელობით ფუნქციებს.

ერთმა და იმავე მეთოდმა სხვადასხვა სასწავლო სიტუაციაში შეიძლება გაააქტიუროს რომელიმე ეს თავისი ფუნქცია სხვათა შესუსტების ხარჯზე. ეს ფუნქციონალური აქტივობა გამოიხატება კომუნიკაციური, წამახალისებელი და სხვა ფუნქციითა რომელიმე ბინარული მეთოდით. თუ მიღწეულია საბოლოო მიზანი, ე.ი. შეთვისებულია ახალი ცოდნა, ჩამოყალიბებულია გათვალისწინებული უნარ-ჩვევები, მიღწეულია განვითარების გარკვეული დონე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მეთოდმა შეასრულა თავისი ფუნქციები.

საერთოდ, მეთოდი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მეცადინეობათა ორგანიზაციის რაიმე ფორმის, მაგალითად, გაკვეთილის გარეშე, რაც ნიშნავს, რომ მეცადინეობის შინაარსი და ფორმა უნდა იყოს ერთიანი და ურთიერთშეთანხმებული და ურთიერთშეხამებული.

მეთოდები, ხასიათდებიან რა ორმხრივი ხასიათით და ურთიერთშვიდრო კავშირით, განაპირობებენ სწავლებისა და სწავლის კონკრეტული ხერხებისა და საშუალებების სახეებს (მასწავლებელი: ცოდნის გადაცემა, დავლების განსაზღვრა, მითითება, ახსნა, საუბარი და ა.შ. მოსწავლეები: მოსმენა, სავარჯიშოთა შესრულება, ამოცანათა გადაწყვეტა, ტექსტის კითხვა და ა.შ.)

მეთოდის სტრუქტურაში შედის სწავლების ხერხი, მაგრამ მეთოდი არ შეიძლება გავიგოთ როგორც მხოლოდ ხერხების ერთობლიობა.

ხერხები - ესაა მასწავლებლისა და მოსწავლეთა გონებრივი თუ პრაქტიკული მოქმედების ცალკეული ოპერაციები, რომლებიც ავსებენ მასალის გადაცემისა და შეთვისების მოცემული მეთოდით შემოთავაზებულ ფორმას. ხერხი გამოდის როგორც მეთოდის კერძო გამოხატულება და აძლიერებს მის მოქმედებას. მეთოდის გარეშე ხერხი კარგავს თავის მნიშვნელობას ცოდნათა შეთვისებისა და უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის. სწავლების ხერხები შეიძლება დავეყთ:

- ამროვნების ცალკეული ოპერაციების, ყურადღების, მებსიერების, აღქმის, წარმოსახვისა და სხვათა ფორმირების ხერხებად;

- პრობლემური და ძიებითი სიტუაციების შექმნის, მოსწავლეთა ამროვნების განვითარების ხელისშემწყობ ხერხებად;

- მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეთვისებასთან დაკავშირებული შეგრძნებების, განცდების გამააქტიურებელ ხერხებად;

- კონტროლის, თვითკონტროლისა და თვითგანათლების, დამოუკიდებელი შესწავლის ხერხებად;

- სასწავლო პროცესისა და ამ პროცესში მასწავლებლისა და მოსწავლეთა კოლექტიური და ინდივიდუალური ურთიერთობების მართვის ხერხებად.

ერთი და იგივე ხერხი შეიძლება ჩართული იქნეს სწავლების სხვადასხვა მეთოდში. პრაქტიკული მუშაობისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის პროცესში მასწავლებელი აგროვებს და ეუფლება მრავალსა და მრავალფეროვან ხერხებს, სისტემატურად იყენებს მათ თავისი მუშაობის გაუმჯობესებისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის.

### § 3 სწავლების მეთოდთა მრავალფეროვნება და მათი კლასიფიკაციის პრობლემები

სწავლების მეთოდთა სიმრავლე და მრავალფეროვნება განაპირობებენ მათი კლასიფიკაციის სირთულეს. სწავლების პედაგ-

ოგიკურმა თეორიამ იცის სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომის უამრავი მაგალითი. ძირითად პრობლემას აქ წარმოადგენს იმ პრინციპთა განსხვავებულობა, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა ავტორი აჯგუფებს მეთოდებს. ერთნი მეთოდთა კლასიფიკაციას ახდენენ გნოსეოლოგიური პრინციპის მიხედვით და ლაპარაკობენ ინდუქციურ, დედუქციურ, სინთეტიკურ, აგრეთვე მათგან გამომდინარე კერძო მეთოდებსა და ხერხებზე. მეორენი, გამომდინარეობენ რა სწავლების მრავალსახეობიდან, გამოპყოფენ გამოკითხვის, გადაცემის, ახსნის, განმეორების, ვარჯიშისა და ა.შ. მეთოდებს. მოგიერთნი კი მიუთითებენ პასიური და აქტიური მეთოდების არსებობაზე, რომლის მიხედვითაც პასიურს მიაკუთვნებენ სწავლების მეპირ-ვერბალურ, ხოლო აქტიურს -

ლაბორატორიულ-პრაქტიკულსა და ვარჯიშის მეთოდებს. ბოლოს, არის შემთხვევები, როდესაც უარყოფენ რა ყოველგვარი კლასიფიკაციის შესაძლებლობას, შემოიფარგლებიან ცალკეული მეთოდების უბრალო ჩამოთვლა-განხილვით.

სწავლების მეთოდთა თანამედროვე კლასიფიკაციას აქვს თავისი ისტორია.

20-იან წლებში სქოლასტიკური სწავლებისა და მექანიკური დაზეპირების მეთოდებს დაუპირისპირდა ე.წ. კვლევითი და მზა ცოდნის მეთოდთა ჯგუფები. ერთიც და მეორეც საბჭოთა სკოლის წიაღში დაიბადა. მზა ცოდნის მეთოდები უარყოფილ იქნა და უპირატესობა კვლევით მეთოდებს მიენიჭა, რომელთა არსი მდგომარეობდა იმაში, რომ თითქოს მოსწავლეებმა ყველაფერი უნდა გაიცნობიერონ შესასწავლ მოვლენებზე დაკვირვებისა და ანალიზის მეშვეობით, დამოუკიდებლად მიეიდნენ შესაბამის დასკვნებამდე. ბუნებრივია, რომ სასწავლო მუშაობის მრავალფეროვნების რაღაც უნივერსალურ მეთოდამდე ასეთ დაყვანას არაეითარდი მეცნიერულ-მეთოდიკური საფუძველი არ გააჩნდა და მან ფეხი ვერ მოიკიდა. იმავე წლებში იყო ცდა დაენერგათ ე.წ. „პროექტების მეთოდი“ მაგრამ მას შემდეგ, როდესაც აღმოჩნდა, რომ ეს მეთოდი უარყოფდა ცალკეული საგნების სწავლებას და სწავლების მთელი პროცესი დაჰყავდა „პროექტირებასა“ და „დაყოფამდე“, რაც მკვეთრად სცემდა მოსწავლეთა ზოგადი განათლების დონეს, იგიც უარყოფილი იქნა. შემდგომში, იმის კვალობაზე, თუ რომელი კლასიფიკაცია ჩაითვლებოდა მისაღებად, ცენტრალურ ადგილს იჭერდა მასში შემავალი მეთოდები.

დიდაქტიკური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ სწავლების მეთოდთა სახეები (ნომენკლატურა) და მათი კლასიფიკაცია ყოველთვის ხასიათდებოდა დიდი მრავალფეროვნებით იმის მიხედვით, თუ რა მიდგომაა ამისათვის გამოყენებული. ამდენად, როგორც სამართლიანად მიუთითებს ა.კ.კრომცევა, თანამედროვე დიდაქტიკას ჯერ კიდევ არ გააჩნია მეთოდთა საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაცია (3,306).

ზოგიერთი დიდაქტიკოსი (ნ. ა. სოროკინი, ე.ი.პეროესკი, ვ. ი. გოლანგი, დ. თ. ლორთქიფანიძე) თვლის, რომ მეთოდთა კლასიფიკაცია შესაძლებელია იმ წყაროების მიხედვით, საიდანაც მოსწავლეები

იღებენ ცოდნას. ამ თვალსაზრისით სწავლების მეთოდები იყოფა სიტყვიერ, თვალსაჩინო და პრაქტიკული მეთოდების ჯგუფებად. ი. ი. ლერნერი და მ.ნ. სკატიკინი სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციის საფუძველად მიიჩნევენ მათს შინაგან არსს, ს. პ. ბარანოვი კი მეთოდთა კლასიფიკაციას ახდენს მრავალი ნიშნის მიხედვით: ცოდნის მიღების წყარო, აზროვნების მოქმედების ხასიათი, შემეცნებითი აქტივობა, მასწავლებლისა და მოსწავლეთა საქმიანობის ფორმები და სხვა. ი. კ. ბაბანსკის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ეყრდნობა ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის, ძირითად დიდაქტიკურ წყაროებს, ძირითად დიდაქტიკურ ამოცანებს, შემეცნებითი მოქმედიანობის ხასიათს და ბოლოს, სწავლებისა და სწავლის მეთოდების ურთიერთშეხამებას. ი. თ. ხარლამოვი მხარს უჭერს მ. ა. დანილოვისა და ფ. პ. ესიპოვის მოსაზრებას სწავლების მეთოდთა იმ კლასიფიკაციის შესახებ, რომელიც ეყრდნობა სწავლების დიდაქტიკურ მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლების ამ მრავალფეროვან კლასიფიკაციებში. ვარკეევის გაიოლების მიზნით ყველა ისინი ჩვენ გაეყავით ორ დიდ ჯგუფად:

1. მეთოდთა გრადიციული კლასიფიკაცია, რომელიც მოცემულია 1977-1987 წლებში გამოცემულ პედაგოგიკურ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში.

2. მეთოდთა კლასიფიკაცია 1988 წლის შემდეგ გამოცემულ სახელმძღვანელოებში. ასეთივე თანამიმდევრობით განვიხილავთ მათ მომდევნო პარაგრაფებში.

#### §4 მეთოდთა ტრადიციული კლასიფიკაცია

ა. კ. გრომცევა მიუთითებს, რომ სწავლების მეთოდების კლასიფიკაციისას საჭიროა გაეთვალისწინოთ შემდეგი:

ა) მეთოდმა უნდა გადაწყვიტოს დიდაქტიკური ამოცანა (შესასწავლი მასალის შინაარსი);

ბ) კლასიფიკაციაში უნდა გამოვლინდეს მეთოდის შინაგანი არსი;

ვ) კლასიფიკაციაში უნდა განსაზღვროს მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთდაკავშირებული საქმიანობის ფორმები, როგორც მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მართვის საშუალებები.

გამომდინარეობს რა ამ მოთხოვნიდან, ა. კ. გრომცევა სწავლების მეთოდების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

I ჯგუფი. საინფორმაციო-ბანამათაჰისუფლებელი მეთოდები: მასალის ზეპირი გადაცემა, წიგნზე მუშაობა, საუბარი. ძიებითი ანუ ევრისტიკული მეთოდები: ევრისტიკული საუბარი, დისკუსია, ძიებით-ლაბორატორიული და კვლევითი მუშაობა.

II ჯგუფი. შიკანილი სოღნის, უნარებისა და ჩიეეების ბანმბ-კისებისა და სრულყოფის მეთოდები: რეპროდუქციული: მოყოლა, ვარჯიში, ვარჯიში ნიმუშის მიხედვით, ლაბორატორიული მუშაობა ინსტრუქციის, წესების ან მითითებათა მიხედვით. აღდგენით-შემოქმედებითი: ვარიანტული ვარჯიშობანი, სხვადასხვა სახისა და ხასიათის პრაქტიკული და შემოქმედებითი სამუშაოები (3, 306-307).

ი. ი. ლერნერისეულ კლასიფიკაციაში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ახსნით-ილუსტრირების (საინფორმაციო-რეცეპტალური) მეთოდი. ინფორმაციის ისეთი წყაროებისა და საშუალებების გამოყენება, როგორცაა სიგყვა (ზეპირი და ბეჭდვითი), ნატურალური ობიექტები, სხვადასხვა თეალსაჩინობანი. ამ ჯგუფის ტრადიციული მეთოდებია: ზეპირი გადმოცემა, წიგნზე მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, დაკვირვება, ცდის დემონსტრირება, თეალსაჩინობათა გამოყენება.

2. რეპროდუქციული მეთოდი. ამ ჯგუფის შინაარსს წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეთვისების საფუძველზე უნარებისა და ჩეეების შექენა. აქ მოქმედების ძირითადი სახეებია ცოდნის კელაეწარმოება და განმეორება, ვარჯიში და მიჩეევა, ინსტრუქტაჰი და დემონსტრირება, ანალიზი, სინთეზი და აბსტრაგირება, ალგორიტმიზაცია და პროგრამირება.

3. პრობლემური გადმოცემის მეთოდი. ამ ჯგუფში იგულისხმება პრობლემის დაყენება და გადაწყეევა შესაბამისი

საშუალებებისა და გზების ჩვენებით. ამ ჯგუფის სასწავლო-შემეცნებითი მოქმედების სახეებია სიტყვა, ლოგიკური მსჯელობანი, გეჟსტის კითხვა, ცხრილების, სქემებისა და გეჟნიკურ საშუალებათა გამოყენება, ცდისა და თვალსაჩინოებათა დემონსტრაცია, სასწავლო მასალის ინდეჟიკური და დედუჟიკური გადმოცემა.

#### 4. ნაწილობრივ-ძიებითი (ეერისტიკული) მეთოდი.

მეთოდების ეს ჯგუფი ემსახურება მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მონაწილეობის ორგანიზაციას ძიების ყველა ნაბიჯის, ეტაჟის შესრულებაში. ამ შემთხვევაში მასწავლებლისა და მოსწავლეთა საქმიანობას აქეს განსხვავებული ხასიათი. მაგალითად:

##### *მასწავლებლის საქმიანობა:*

*დავალების კონსტრუირება, მისი დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად, ძიების ნაბიჯებისა და ეტაჟების განსაზღვრა.*

##### *მოსწავლეთა საქმიანობა:*

*დავალების აღჟმა-გაცნობიერება, გადაწყვეტის ჟირობების განსაზღვრა, არსებული ცოდნის აჟტუალიზაცია, დავალების ეტაჟობრივი გადაწყვეტა, ძიების ნაბიჯების თანამიმდევრობითი შესრულება, საკუთარი მოქმედების კონტროლი და მოტივაცია.*

5. კელევითი მეთოდი. ამ მეთოდის ჟუნქციებს წარმოადგენს ცოდნათა შემოქმედებითი გამოყენება, მეცნიერული შემეცნების მეთოდების დაუფლება, კელევით-შემოქმედებითი საქმიანობისადმი ინტერესებისა და მოთხოვნილებათა ჟორმირება. შესაბამისად, კელევითი საქმიანობა იყოფა შემდეგ ეტაჟებად:

1. ჟაქტებსა და მოელენებზე დაკვირება და მათი შესწავლა.
2. იმ გაუგებარ მოელენათა გამოყოფა, რომლებიც გამოსაკელევია (პრობლემის დაყენება).
3. ჟიპოთეზის წამოყენება.
4. კელევის გეგმის შემუშავება.
5. კელევის გეგმის განხორციელება,
6. კელევის შედეგების დადგენა და დასკვნების ჟორმირება,
7. კელევის შედეგებისა და დასკვნების სისწორის შემოწმება,
8. პრაქტიკული გადაწყვეტილებანი მიღებული ცოდნის შესაძლებელი და აუცილებელი გამოყენების შესახებ. (4, 193-207).

70-ან წლებში დიდაქტიკაში გაერცელდა მეხედულება სწავლების მეთოდების ცოდნის წყაროთა მიხედვით კლასიფიკაციის შესახებ, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს დიდაქტიკურ პრინციპთა სისტემა. ამ კონცეფციის საწყის დებულებას წარმოადგენს ამა თუ იმ მეთოდის შესატყვისობა სწავლების მიზნებსა და შინაარსთან ანუ ცოდნისა და ჩვევების შექმნა-ჩამოყალიბების წყაროებთან. მოსწავლეთათვის ასეთი წყაროებია: მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა, წიგნი საერთოდ და სახელმძღვანელო, კერძოდ, სინამდვილის მოვლენებზე უშუალო დაკვირვება და შრომითი საქმიანობა. ამ წყაროთა შესაბამისად არსებობს სწავლების სახეები: სიტყვიერ-ვერბალური, სახელმძღვანელოზე მუშაობა, დაკვირვება, ცდა, შრომითი საქმიანობა და სწავლება.

ცოდნის ამ წყაროებისა და სწავლების საშუალებების გათვალისწინებით ახდენს მეთოდთა კლასიფიკაციას დ. ო. ლორთქიფანიძე:

I ჯგუფი. ბეჰიორსიტყვიერი, ვერბალური მეთოდები

- აკრომატიკა: თხრობა, სასკოლო ლექცია, ლექცია.

- ერეოთემატიკური: საუბარი.

II ჯგუფი. წიგნზე მუშაობის მეთოდები:

ახსნითი და დამოუკიდებელი კითხვის.

III ჯგუფი. უშუალო დაკვირვების მეთოდები:

ლაბორატორიული, დემონსტრაციული და ილუსტრირებული.

IV ჯგუფი. შრომითი სწავლების მეთოდები:

სასწავლო შრომა, სამოგადოებრივ-მწარმოებლური შრომა, მუშაობა სახელოსნოში, მუშაობა წარმოებაში, მუშაობა სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე.

V ჯგუფი. პრაქტიკული ვარჯიშის მეთოდები:

ინდივიდუალური და დამოუკიდებელი ვარჯიში, ფრონტალური ან საერთო-საკლასო ვარჯიშობანი.

VI ჯგუფი. წერითი მუშაობის მეთოდები:

- მიმდინარე: გადაწერა, ამონაწერთა, ჩანაწერებისა და კონსპექტების შესრულება, თემისების შედგენა, პრაქტიკული წერითი საეარჯიშოები, შინაარსის გადმოცემა, თხზულებანი. საქმიანი ქაღალდებისა და გეგმათა შედგენა-შემუშავება.

საკონტროლო და სამინაო: საკლასო, ფრონტალური და სპეციალურ-ინდივიდუალური. (6, 206-258)



**§ 5 მეთოდთა კლასიფიკაცია  
უახლეს პედაგოგიურ  
ლიტერატურაში**

განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებმა, განათლების შინაარსის სრულყოფისათვის ჩაგარებულმა მუშაობამ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გარდაქმნის აუცილებლობამ განაპირობეს სწავლების მეთოდების კლასიფიკაციისადმი ახლებური მიდგომა. 1988 წლის შემდეგ გამოცემულ ლიტერატურაში და სახელმძღვანელოებში მოცემულ კლასიფიკაციათა სისტემებში გრადიციული კლასიფიკაციის ელემენტებთან ერთად გამოყენებულია მათი ახლებური გაგება და კლასიფიკაციისადმი ახლებური მიდგომა.

ერთ-ერთ ასეთ სისტემას მიეკუთვნება 1988 წელს გამოცემულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში მოცემული ი.კ. ბაბანსკისეული კლასიფიკაცია. სრულყოფს რა მის მიერეე 1983 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში მოცემულ კლასიფიკაციას, ამჯერად იგი გვთავაზობს სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციას, რომელიც სწავლების პედაგოგიური პროცესის ძირითადი ნიშნების მიხედვითაა შესრულებული და სამი ძირითადი ჯგუფისაგან შედგება.

**I ჯგუფი. სასწავლო-შემასწავლებელი საქმიანობის  
ორბანისაგან მეთოდები.**

**I ქვეჯგუფი. სასწავლო ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის  
მეთოდები**

- სიტყვიერი:* - თხრობა,  
- საუბარი,  
- ლექცია.

- თვალსაჩინოების:* - ილუსტრაცია,  
- დემონსტრაცია.

- პრაქტიკული მუშაობის:* - ცდა,  
- ვარჯიში,  
- სასწავლო მწარმოებლური შრომა.

II ქვეჯგუფი. სასწავლო ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის  
ლოგიკური მეთოდები

*ინდუქციური და დედუქციური.*

III ქვეჯგუფი. ცოდნის დამოუკიდებელი დაუფლების მეთოდები.

*რეპროდუქციული და პრობლემურ-ძიებითი.*

IV ქვეჯგუფი. სასწავლო მუშაობის მართვის მეთოდები

- მასწავლებლის ხელმძღვანელობით,
- მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის.

წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, ლაბორატორიული მუშა-  
ობა, შრომითი დაეალების შესრულება.

II ჯგუფი. სტიმულირების მეთოდები

I ქვეჯგუფი. სწავლისადმი ინტერესის გაღვივების მეთოდები

- შემეცნებითი თამაშობანი,
- სასწავლო დისკუსია,  
ემოციურ-ზნეობრივი სიტუაცია.

II ქვეჯგუფი. მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გამომუშა-  
ვების მეთოდები

- სწავლების მნიშვნელობის ახსნა,
- ერთიანი მოთხოვნა,
- ვარჯიში მოთხოვნათა შესრულებაზე,
- წახალისება,
- დასჯა.

III ჯგუფი. კონტროლისა და თვითკონტროლის მეთოდები

I ქვეჯგუფი. გეპირი კონტროლისა და თვითკონტროლის მე-  
თოდები

- ინდივიდუალური გამოკითხვა,
- ფრონტალური გამოკითხვა,

- ზეპირი ჩათვლები,
- ზეპირი გამოცდები,
- პროგრამირებული გამოცდები,
- ზეპირი თვითკონტროლი.

**II ქვეჯგუფი. წერიტი კონტროლისა და თვითკონტროლის მეთოდები**

- საკონტროლო წერიტი სამუშაო,
- წერიტი ჩათვლა,
- წერიტი გამოცდა,
- პროგრამირებული წერიტი სამუშაო,
- წერიტი თვითკონტროლი.

**III ქვეჯგუფი. ლაბორატორიულ-პრაქტიკული კონტროლისა და თვითკონტროლის მეთოდები**

- საკონტროლო ლაბორატორიული სამუშაო,
- მანქანური კონტროლი,
- ლაბორატორიულ-პრაქტიკული კონტროლი,
- ლაბორატორიული თვითკონტროლი,
- მანქანური თვითკონტროლი,
- ლაბორატორიულ-პრაქტიკული თვითკონტროლი. (9, 386-408).

სწავლების მეთოდების უახლესი კლასიფიკაცია მოცემულია ი.თ. ხარლამოვის სახელმძღვანელოში, რომელიც 1990 წელს გამოიცა. ამ კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს სასწავლო მოქმედებების სახე და მიზანი, რომელსაც ესა თუ ის მეთოდი ემსახურება. ეს კლასიფიკაცია იმითაცაა კარგი, რომ იგი სწავლების პედაგოგიური პროცესის ძირითადი ელემენტების თანამიმდევრობის პრინციპსაც ემყარება. აქ მეთოდები დაყოფილია 5 ძირითად ჯგუფად.

*1. მასწავლებლის მიერ ცოდნის ზეპირსიტყვიერი გადაცემის მეთოდები: თხრობა, ახსნა, განმარტება, სასკოლო ლექცია, საუბარი; დემონსტრაცია და ილუსტრაცია მასალის ზეპირი გადაცემის დროს.*

2. შესასწავლი მასალის განმტკიცების მეთოდები: საუბარი და სახელმძღვანელოზე მუშაობა.

3. მოსწავლეთა მიერ ახალი მასალის დამოუკიდებლად გაცნობიერებისა და შეთვისების მეთოდები სახელმძღვანელოზე მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა.

4. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებისა და ჩვევების გამომუშავების მეთოდები: ვარჯიში და ლაბორატორიული მეცადინეობანი.

5. მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შემოწმების და შეფასების მეთოდები: ყოველდღიური დაკვირვება მოსწავლეთა მუშაობაზე, ზეპირი გამოკითხვა - ინდივიდუალური, ფრონტალური, შემჭიდროებული, საგაკვეთილო ქულის გამოყენება, საკონგროლო სამუშაო, საშინაო დაეალების შემოწმება, პროგრამირებული კონტროლი.

ა. გობრონიძის 1996 წელს გამოცემულ „პედაგოგიკაში“ განხილულია სწავლების მეთოდების 5 ჯგუფი. ესენია:

1. მასწავლებლის მიერ ცოდნის ზეპირსიტყვიერი გადაცემის მეთოდები: თხრობა, ახსნა, განმარტება, სასკოლო ლექცია, საუბარი, დემონსტრაცია და ილუსტრაცია მასალის ზეპირსიტყვიერი გადაცემის დროს.

2. შესასწავლი მასალის განმტკიცების მეთოდები: საუბარი და სახელმძღვანელოზე მუშაობა.

3. მოსწავლეთა მიერ ახალი მასალის დამოუკიდებლად გაცნობიერებისა და შეთვისების მეთოდები: სახელმძღვანელოზე მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა.

4. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებისა და ჩვევების გამომუშავების მეთოდები: ვარჯიში და ლაბორატორიული მეცადინეობანი.

5. მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შემოწმებისა და შეფასების მეთოდები: ყოველდღიური დაკვირვება მოსწავლეთა მუშაობაზე, ზეპირი გამოკითხვა - ინდივიდუალური, ფრონტალური, შემჭიდროებული, საგაკვეთილო

*ქულის გამოყვანა, საკონტროლო სამუშაო, საშინაო დაეალების შემოწმება, პროგრამირებული კონტროლი.*

აქვე დახასიათებულია ჩამოთვლილი მეთოდების უმრავლესობა (1,111-135).

იმავე, 1996 წელს გამოცემულ ვ. გაგუას „*პედაგოგიკაში*“ სწავლების მეთოდებს ეძღვნება მე-12 თავი. აქ მეთოდები დაჯგუფებულია ახსნით-საილუსტრაციო, რეპროდუქციულ, პრობლემური გადმოცემის, ნაწილობრივ-საძიებო ან ეერისტიკულ და კვლევით მეთოდებად. დახასიათებულია თხრობის, სასკოლო ლექციის, საუბრის, წიგნზე მუშაობის, საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების, ლაბორატორიული, დემონსტრირების, შრომითი სწავლების, ვარჯიშის, წერითი მუშაობის, ცოდნის შემოწმებისა და შეფასების მეფოდები (2, 128-144).

როგორც ენახეთ, სწავლების მეთოდების უნივერსალური კლასიფიკაცია არ არსებობს, ყველა ავგორს თავისებურად აქვს გააზრებული მათი დაჯგუფების პრინციპები. ჩენი აზრით, მეთოდთა კლასიფიკაციის ამ მრავალფეროვნებაში ორიენტირების საუკეთესო საშუალება იქნება მათი სინთეზი და სწავლების პედაგოგიური პრაქტიკის შესწავლა. ის, რაც მოცემულია სწავლების პედაგოგიურ თეორიაში და ის, რაც არსებობს რეალურ პედაგოგიურ პრაქტიკაში, წარმოადგენს ჩენს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის საფუძველს, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

**I** **ჩავუი.** **სასწავლო-მეცხნაბითი საქმიანობის ორგანიზაციის მეთოდები**

ა) **სიგყვიერი:** *თხრობა, საუბარი, ახსნა, განმარტება, სასკოლო ლექცია.*

ბ) **თვალსაჩინო:** *ილუსტრაცია, დემონსტრაცია.*

გ) **პრაქტიკული:** *ცდა, ვარჯიში, მიჩვევა, წიგნზე მუშაობა.*

**II** **ჩავუი.** **სასწავლო-მეცხნაბითი საქმიანობის სტიმულირების მეთოდები**

ა) **სწავლისადმი ინტერესის გაღვივების:** *შემეცნებითი თამაშობანი, სასწავლო სიგუაცია, მოტივირება, სწავლის მნიშვნელობის ახსნა.*

ბ) მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გამოშვებების: ერთიანი მოთხოვნა, დარწმუნება, ჩავონება, წახალისება, გაკიცხვა, დასჯა.

III **ჩხუში**. სასწავლო-მეცნიერებითი საქმიანობის კონტროლისა და მუშასაბის მეთოდები

ა) ზეპირი კონტროლისა და შეფასების: *ფრონტალური გამოკითხვა, ინდივიდუალური გამოკითხვა, შემჭიდროებული გამოკითხვა, ყოველდღიური დაკვირვება.*

ბ) წერიტი კონტროლისა და შეფასების: *საკლასო წერა, საკონტროლო წერა, სამინაო წერიტი დავალება.*

სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციის ამ სისტემას ჩვენ მხარს ეუჭერთ იმის გამო, რომ იგი გასაგებად მარტივია და ასახავს სასწავლო-მეცნიერებითი საქმიანობის ყველა ფორმასა და შინაარსს. ამასთანავე, პედაგოგიკურ ლიტერატურაში არსებულთან ერთად, ეს არის სასწავლო-მეცნიერებითი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებათა ის მეთოდები, რომლებიც ყველაზე მეტადაა გაერცელებული სწავლების პედაგოგიურ პრაქტიკაში და მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებელთა სასწავლო-მეცნიერებით საქმიანობაში.

რაც შეეხება თითოეული მეთოდის დახასიათებას, ჩვენ ამისაგან თავს ვიკავებთ ორი მიზეზის გამო:

თითოეული მეთოდის დახასიათება საკმაოდ სრულყოფილადაა მოცემული ბოლო წლების პედაგოგიკურ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში. ამ თვალსაზრისით ჩვენ განსაკუთრებით გამოვეყოფთ ა. გობრონიძის (1), ვ. გაგუას (2), ი. ხარლამოვის (8) და ი. ბაბანსკის რედაქციით გამოცემულ (3,7) სახელმძღვანელოებს.

მეორეც, ჩვენ ვიძლევიტ სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციას იმ ვარაუდით, რომ მშა რეცეპტი ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისათვის პრაქტიკაში არ არსებობს. ყოველი მეთოდის გამოყენება დაკავშირებულია მასწავლებლის გამოცდილებასთან, პედაგოგიურ დახელოვნებასა და ოსტატობასთან, რის გამოც ყოველი მეთოდი, ყოველ მასწავლებელთან იძენს თავის გარკვეულ შეფერილობას. ასეთ პირობებში შეიძლება თუ არა პრაქტიკოს

მასწავლებელს ეუკარნახოთ, რომ ესა თუ ის მეთოდი სახელდობრ ასე გამოიყენოს? რასაკვირველია, არა. ყოველ მასწავლებელს სრული უფლება აქვს შემოქმედებითაც მიუღვეს მეთოდის გამოყენებას და გამოიყენოს იგი ისე, როგორც მას მიაჩნია და იმის გათვალისწინებით, თუ რომელი მეთოდი უფრო ეფექტური და მისაღებია სასწავლო-შემეცნებითი პროცესის ამა თუ იმ სიტუაციაში, შეესაბამება ამა თუ იმ სასწავლო მასალას და იმ მიზანს, რომელსაც ითვალისწინებს ყოველი კონკრეტული გაკვეთილი თუ სასწავლო მეცადინეობის სხვა კონკრეტული ფორმა. მეთოდის გამოყენებას ასევე განაპირობებს სასწავლო დისციპლინის სპეციფიკა და ისიც გასაგებია, რომ ყოველი სასწავლო დისციპლინისათვის მეთოდთა ეს არსენალი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება.

**§ 6 სწავლების ძირითადი სწავლების საშუალებებში ჩვენ**  
**ს ა შ . უ ა ლ ე ბ ა ნ ი** ვგულისხმობთ ყველა იმ სულიერსა თუ მატერიალურ ფასეულობას, რომელიც ქმნის სწავლების პედაგოგიური პროცესის ნორმალურ პირობებს და გამოიყენება მასწავლებლის მიერ სასწავლო დისციპლინის ამოცანების წარმატებითი რეალიზაციისათვის.

ამ თვალსაზრისით სკოლის შენობა, მისი საკლასო ოთახები, დგამ-ავეჯი და მთლიანად, მისი მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზა საშუალებებია, რაც გარკვეულ პირობებს ქმნის სწავლების პროცესისათვის.

ამასთანავე, სწავლების საშუალებებში მოიაზრება ის ნივთები, საგნები, მოწყობილობანი, მანქანები, იარაღები და ხელსაწყოები, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისათვის და ეხმარება მოსწავლეებს სასწავლო მასალის შეთვისებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

ასეთი საშუალებანი შეიძლება იყოს მატერიალური (ნატურალური) და მატერიალიზებული (მათი გამოსახულებანი)

სახეებისა. მაგალითად, პირველი მათგანი ითვალისწინებს ნამდვილ ვაშლს, ხოლო მეორე - მის გამოსახულებას. პირველ შემთხვევაში გრაქტორს, მეორე შემთხვევაში კი - მის მოდელს ან მაკეტს. სწავლების საშუალებებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებანი, სწავლების ტექნიკური საშუალებანი, ლაბორატორიულ სამუშაოთა მოწყობილობა, დიდაქტიკური მასალები, სულიერი და მატერიალური წარმოების ყველა ის ფასეულობანი, რომელიც გამოიყენება სწავლების პედაგოგიურ პროცესში როგორც თვალსაჩინო, ტექნიკური, სადემონსტრაციო, საილუსტრაციო და დამხმარე სასწავლო საშუალება.

*თვალსაჩინოების ძირითადი სახეებია:* პლაკატები, რუკები, სქემები, დიაგრამები, ცხრილები, მულიაეები, სადემონსტრაციო დაფები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ფიტულები, პერბარიუმები და სხვა თვალსაჩინოებანი.

*სწავლების ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება* დიაპოზიტივები, დიაფილმები, კინოფილმები, მაგნიტოჩანაწერები, გრამფირფიტები და მათი შესატყვისი აპარატურა: დიაპროექტორი, ფილმოსკოპი, კოდოსკოპი, საპროექციო ფარანი, კინოპროექტორი, ფირსაკრაფი, მაგნიტოფონი, ვიდეო-აპარატურა, სასწავლო კინო, სასწავლო ტელევიზია, სასწავლო რადიო და სხვა.

*სწავლების ტექნიკური საშუალებების ახალი სახეებია:* ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა, კომპიუტერები, სასწავლო და ცოდნის კონტროლის მანქანები, სასწავლო, საეარჯიშო და სათამაშო ვიდეოტექნიკა.

*სწავლების საშუალებათა ნაირსახეობას წარმოადგენს* ფიზიკის, მათემატიკის, ხაზვის, ასტრონომიის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიისა და სხვა სასწავლო დისციპლინათა, აგრეთვე ტექნიკური შემოქმედებისა და საცდელ-საკვლევე მუშაობის კაბინეტ-ლაბორატორიების, შრომითი სწავლების სახელოსნოს, ლინგოფონისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების ხელსაწყოები, აპარატურა და მოწყობილობა.

სწავლების მეთოდთა სრულყოფამ განაპირობა სწავლების პროცესში ისეთი უახლესი დიდაქტიკური მასალის შემოღება და გამოყენება, როგორცაა სხვადასხვა სასწავლო დისციპლინათა ე.წ. ჩამოსარიგებელი მასალა: მთელი სასწავლო დისციპლინის ან



მისი ცალკეული თემატიკის მიხედვით შემუშავებული ბარათები, საეარჯიშოთა ინდივიდუალური სისტემური ბარათები, ინდივიდუალურ თვალსაჩინოებათა სახეები, ინდივიდუალურ საკონსულტაციო ან საინსტრუქციო, სასწავლო მასალის შეთვისების ინდივიდუალურ გეგმათა სისტემები, დიდაქტიკურ თამაშობათა, პროგრამირებული სწავლებისა და ინდივიდუალურ საეარჯიშოთა ნაირსახეობანი და ტესტები.

სწავლების საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლიტერატურულ-ბეჭდვით მასალას. ესენია: სახელმძღვანელოები, სასწავლო, დამხმარე და საცნობარო ლიტერატურა, სხვადასხვა ლექსიკონები, სახელმძღვანელოები და ლიტერატურა ფაკულტატივებისათვის, ამოცანათა, საეარჯიშოთა, საკონტროლო სამუშაოთა კრებულები, სასწავლო ალბომები და ატლასები, კლასგარეშე საკითხავი და ქრესტომათიული ლიტერატურა.

სწავლების ორგანიზაციის ფორმები

- § 1 სწავლების ორგანიზაციის ფორმის ცნება სასკოლო-საგაკვეთილო სისტემა და მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა
- § 2 გაკვეთილი სწავლების პედაგოგიური პროცესის ძირითადი ფორმა
- § 3 გაკვეთილის თანამედროვე ტიპოლოგია
- § 4 გაკვეთილის სტრუქტურა, მისი მრავალსახეობა და ვარიანტულობა მიზნის, თემის, შინაარსისა და სწავლების პროცესში ამ გაკვეთილის ადგილის მიხედვით.
- § 5 მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის. თემატიკური და საგაკვეთილო დაგეგმვა
- § 6 სწავლების ორგანიზაციის არასაკვეთილო ფორმები.

ლიტერატურა

- 1. ა. გობრონიძე. პედაგოგია, ბათუმი, 1996 წ., გვ. 152-181.
- 2. ე. გაბუა. პედაგოგია, თბილისი, 1996 წ., გვ. 108-119.
- 3. დ. ლორთქიფანიძე. დიდაქტიკა, თბილისი, 1981 წ. გვ. 133-197.
- 4. Педагогика школы. Под ред. Г. И. Щухиной. М. Просвещение, 1977 г.
- 5. Дидактика средней школы. Под ред. М. Н. Скаткина. М. Просвещение, 1982 г.
- 6. Педагогика. Под ред. Ю. Л. Бабанского. М. Просвещение, 1993 г. с. 211-214, 226-236.
- 7. Педагогика. Под ред. С. Баранова, В. Сластенина, М. Просвещение 1986 г., с. 119-136.
- 8. М. И. Махмутов. Современный урок. М. Педагогика, 1985 г., с. 29-43.
- 9. Педагогика. Под ред. Ю. К. Бабанского. М. Просвещение, 1988 г., с. 419-439
- 10. Харламов И. Ф. Педагогика. М. Высшая школа, 1990 г., с. 337-380.

§1 სწავლების ორგანიზაციის ფორმის  
ცნება. საკლასო-საგაკვეთილო  
სისტემა და მისი განვითარების  
ისტორიული მიმოხილვა.

სწავლების ორგანიზა-  
ციული ფორმები წარ-  
მოადგენენ მასწავ-  
ლებლისა და მოსწავ-  
ლეთა შეთანხმებული

საქმიანობის გამოხატულებას, რომელიც ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით და განსაზღვრული რეჟიმით. ისინი განპირობებული არიან სოციალურად, ახდენენ მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი მოქმედების რეგლამენტირებას, განსაზღვრავენ ინდივიდუალური და კოლექტიური სწავლების თანაფარდობას, შემეცნებით საქმიანობაში მოსწავლეთა აქტივობის დონესა და მისი ხელმძღვანელობის სისტემას მასწავლებლის მხრივ. შესაბამისად, სწავლების განხორციელება მოითხოვს ამ პროცესის ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმებისა და მათი მოხერხებული გამოყენების ცოდნას, მათ მუდმივ განვითარებასა და მოდერნიზაციას. თანამედროვე დიდაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც, სწავლების ორგანიზაციის ფორმის ცნების დაუდგენლობის გამო მას ურევენ სწავლების მეთოდში და სასწავლო მუშაობის მეთოდის გერმინს აიგივებენ სასწავლო მუშაობის ფორმის გერმინთან.

როგორც უკვე აღნიშნული იყო წინა თავში, სწავლების მეთოდი გამოდის როგორც მასწავლებლის სასწავლო მუშაობისა და მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის ორგანიზაციის ხერხი ისეთი დიდაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად, როგორცაა სასწავლო მასალის თეორიული, მსოფლმხედველობითი და მნეობრივ-ესთეტიკური მხარეების დაუფლება, შექნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება ცოდნის შემოწმება-შეფასება და სხვა. ამრიგად, სწავლების მეთოდის ცნება ასახავს სწავლების პროცესის შინაარსობრივ, პროცესუალურ, შინაგან მხარეს.

სწავლების ორგანიზაციის ფორმას კი აქვს სრულიად სხვა შინაარსი. ლათინური სიტყვა Forma ნიშნავს გარეგნულ იერსახეს, გარეგნულ მოხაზულობას, შესახედაობას. შესაბამისად, სწავლების ფორმა როგორც დიდაქტიკური კატეგორია, აღნიშნავს სასწავლო

პროცესის გარეგნულ ფორმას, რომელიც დაკავშირებულია მოსწავლეთა რაოდენობასთან, სწავლების დროსთან, ადგილისა და მისი განხორციელების წესთან. წარმოადგენს რა სასწავლო პროცესის გარეგნულ მხარეს, სწავლების ორგანიზაციის ფორმა ამავე დროს ორგანულად უკავშირდება თავის შინაგან, შინაარსობრივ-პროცესუალურ მხარეს. ამ თვალსაზრისით ერთსა და იმავე ფორმას, სასწავლო მუშაობის ამოცანებისა და მეთოდების მიხედვით შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გარეგნული მოდიფიკაცია და სტრუქტურა.

სწავლა-აღზრდისა და პედაგოგიური ამროვნების ისტორიაში ცნობილია სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის მრავალი ფორმა. საზოგადოების განვითარების ადრეულ სტადიაზე სწავლა ორგანულად იყო დაკავშირებული ადამიანის შრომით საქმიანობასთან. ბავშვები სწავლობდნენ უფროსთა მიბაძვით, შრომითი ოპერაციების განმეორებითა და მათთვის შესაძლებელ მწარმოებლურ შრომაში მონაწილეობით. თუ ბავშვი აითვისებდა ყველაფერ იმას, რაც იცოდნენ და რასაც აკეთებდნენ მის გვერდით მყოფი უფროსები, მაშინ იგი მზად იყო ცხოვრებისათვის ანუ სწავლების ამოცანა ამით უკვე გადაწყვეტილად ითვლებოდა.

შრომითი საქმიანობის ხასიათისა და ცოდნის შინაარსის გართულებამ მოითხოვა წინა თაობათა გამოცდილების ათვისებისათვის სწავლების სპეციალური ფორმების შემოღება. ძველი ჩინეთის, ეგვიპტისა და საბერძნეთის, აგრეთვე შუასაუკუნეების სკოლაში არსებობდა სწავლების ჯგუფური ფორმა. ეს ჯგუფები არამუდმივი იყო, თითოეულ ჯგუფში მეცადინეობდნენ სხვადასხვა ასაკისა და ცოდნის ბავშვები. თითოეული ბავშვი დამოუკიდებლად ამზადებდა იმას, რასაც მასწავლებელი მოითხოვდა, ხოლო მასწავლებელი მოითხოვდა იმას, რასაც თვითონ მიიჩნევდა საჭიროდ.

ჯგუფური სწავლების უმაღლესი ფორმა - საკლასო-საგაკვეთილო სისტემა აღმოცენდა მე-17 საუკუნის დასაწყისში, იმ დროისათვის მოწინავე უკრაინის ზოგიერთ სკოლაში. ასეა ნათქვამი პედაგოგიკის ისტორიაში და რუსულენოვან პედაგოგიურ ლიტერატურასა თუ სახელმძღვანელოებში.

თავს უფლებას ვაძლევთ ეჭვი შევიტანოთ ამ საკითხში.

როგორც ცნობილია, მე-12 საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა კულტურისა და უმაღლესი განათლების ისეთი ცენტრები, როგორცაა გელათისა და იყალთოს აკადემიები.

ქართული რენესანსის ისტორიის შესწავლისას მალეა ნუცუბიძე მივიდა იმ დასკვნამდე რომ უმაღლესი განათლების კერებში (გელათსა და იყალთოს აკადემიები) სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი იყო განათლების გარკვეული დონის მქონე ახალგაზრდობა, რომლებიც საშუალო განათლებას ისევ საქართველოში ღებულობდნენ. თუ ეს ასეა, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმდროინდელ საქართველოში უკვე არსებობდა საშუალო განათლების კერები, სადაც ახალგაზრდებს ამზადებდნენ აკადემიებისათვის, ამას ემატება ის ისტორიული ფაქტიც, რომ მეთერთმეტე საუკუნეში, განსაკუთრებით მის დასასრულს, საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრები ქონდა სამღვარვარეთაც. ერთ-ერთი ასეთი საგანმანათლებლო ცენტრი იყო ბულგარეთში, როდოპის მთაზე, მას პეტრიწონი ერქვა და მას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე - იოანე პეტრიწი, რომელიც შემდგომ დიდმა დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიის რექტორად მოიწვია. ეს ისტორიული ფაქტია და იგი დიდ მტკიცებას არ მოითხოვს.

ჩვენ ეს ფაქტი სხვა კუთხით გვაინტერესებს. თუკი საქართველოსა და მის გარეთ უკვე არსებობდა საგანმანათლებლო კერები, რომლებიც ალბათ საშუალო განათლების კერებს (სკოლებს) წარმოადგენდნენ, მათში სწავლების ორგანიზაციის რაღაც ფორმებიც ხომ არსებობდნენ? ასეთ ფორმას გაკვეთილი, შეიძლება დღევანდელი გაგებით არა, მაგრამ მაინც გაკვეთილი წარმოადგენდა. ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საქმე იმაშია, რომ რენესანსის პერიოდის საქართველოს განათლების ისტორია ნაკლებმესწავლილია. ყველაფერი ეს გვაუფრებინებს, რომ მე-12 საუკუნის საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრებში უკვე არსებობდა სწავლების გარკვეული ფორმები, მათ შორის გაკვეთილიც. ახლა ძნელია დავადგინოთ, რა სახის, რა შინაარსის, რა

სტრუქტურისა იყო ეს გაკვეთილები, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეცადინეობათა ეს ფორმა იყო გაკვეთილი და მხოლოდ გაკვეთილი, როგორც ძირითადი ფორმა, თუმცა არც იმას გამოვიჩნებავთ, რომ არსებობდა სხვა ფორმებიც.

ყოველივე ამის გამოკვლევა და დადგენა მომავლის საქმეა, მანამდე კი ვიხელმძღვანელოთ იმ მოსაზრებით, რომელიც დღევანდელ პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაშია გაერცელებული.

კერძოდ, შეისწავლა რა უკრაინისა და ბელორუსიის მოწინავე სკოლების გამოცდილება, დიდმა ჩეხმა პედაგოგმა, შემდგომში პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებლად წოდებულმა, რომელიც იმხანად პოლონეთში ცხოვრობდა, 1932 წელს თავის „დიდ დიდაქტიკაში“ თეორიულად დაასაბუთა მეცადინეობათა ჯგუფური ფორმების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა. ასეთ ფორმებს უნდა დაექმაცოფილებიათ შემდეგი მოთხოვნები: მეცადინეობათა ერთდროული დაწყება; მეცადინეობათა დადგენილი ხანგრძლივობა; შესვენებანი მეცადინეობათა შორის; ჯგუფში ერთნაირი ასაკისა და რაოდენობის ბავშვთა გაერთიანება; მასალის შესწავლის ერთნაირი ტემპი და მეცადინეობათა ჩატარება გარკვეული ორგანიზაციული ფორმით; მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება, მასწავლებლის მიერ მასალის ახსნა, მოსწავლეთათვის შეკითხვებით მიმართვა მეცადინეობის მსვლელობისას; მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისების კონტროლი.

სწავლების ის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც აღმოცენდნენ მოგვიანებით, წარმოადგენდნენ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის მოდიფიკაციას. ასეთი იყო ბელლანკესტრის სისტემა ინგლისში მე-18 საუკუნის დასასრულს. ამ სისტემის მიხედვით ერთ მასწავლებელს შეეძლო ესწავლებინა რამდენიმე ასეული მოსწავლისათვის იმ ანგარიშით, რომ თითოეულ ჯგუფში გამოყოფილი იქნებოდა უნარიანი ბავშვები, რომლებიც გადასცემდნენ ჯგუფის სხვა ბავშვებს მასწავლებლის მიერ მოთხრობილი მასალის შინაარსს.

მე-19 საუკუნის დასასრულს აღმოცენდა ე.წ. შერჩევითი სწავლების სისტემა: ამერიკის შეერთებულ შტატებში ბატავის, ხოლო ევროპაში მანჯეიმის სისტემათა სახელწოდებით.

ბატაყის სისტემის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მასწავლებლის სასწავლო მუშაობის დრო იყოფოდა ორ ნაწილად: პირველი ეთმობოდა კლასთან საგაკეთილო (კოლექტიურ) მუშაობას, ხოლო მეორე - ინდივიდუალურ მუშაობასა და იმ ბავშვებისადმი დახმარებას, რომლებიც ამას საჭიროებდნენ. დიდ კლასებში მასწავლებელი მუშაობდა თანამემწესთან ერთად, რომელიც ეხმარებოდა ნაკლებუნარიან და ჩამორჩენილ ბავშვებს.

მანვეიმის სისტემა ითვალისწინებდა მოსწავლეთა შესაძლებლობისა და მოსწრების მიხედვით განაწილებას სუსტ, საშუალო და ძლიერ კლასებად. ასეთი შერჩევა ხორციელდებოდა დაკვირვებისა და გამოცდების მეშვეობით, ამასთანავე შემდგომში შესაძლებელი იყო მოსწავლეთა გადაყვანა კლასიდან კლასში იმის მიხედვით, თუ რა წარმატებას გამოიჩენდნენ ისინი. ამ სისტემის ელემენტები დღემდე შემორჩენილი აესგრალიაში, სადაც სკოლებში ყალიბდება კლასები მოსწავლეთა მეტი და ნაკლები უნარების მიხედვით, ხოლო აშშ-ის სკოლებში არსებობს კლასები ნაკლებუნარიანი და ნელი ათვისების ბავშვებისათვის. ინგლისში ეს სისტემა დაედო საფუძვლად ისეთი ტიპის სკოლების შექმნას, სადაც იგზავნიებიან ბავშვები დაწყებითი კლასების დამთავრების შემდეგ ჩატარებული გესტების მიხედვით.

1905 წელს აღმოცენდა ინდივიდუალიზებული სწავლების სისტემა, რომელიც პირველად გამოიყენეს ამერიკის მასაჩუსეტის შტატის ქ. დალტონში და აქედან მიიღო დალტონქლანის სახელწოდება. მას ხშირად ლაბორატორიულ ან სახელოსნოთა სისტემასაც უწოდებენ, რადგან გრადიციული კლასების ნაცვლად სკოლაში იქმნება საგნობრივი სახელოსნოები, რომლებშიც ყოველი მოსწავლე მეცადინეობს ინდივიდუალურად აქვე მყოფი მასწავლებლის დავალებათა მიხედვით და მისივე დახმარებით. მეცადინეობათა ცხრილი აქ არ არსებობს, კოლექტიურ მეცადინეობას ეთმობა მხოლოდ ერთი საათი, ხოლო დანარჩენ დროს მოსწავლეები ინდივიდუალურად სწავლობენ მასალას და ყოველი თემის შესრულების ანგარიშს აბარებენ შესაბამისი საგნის მასწავლებელს.

მე-20 საუკუნეში პრაგმატიზმის საფუძველზე აშშ-ში აღმოცენდა სწავლების ახალი სისტემა, რომელსაც „პროექტთა

სისტემა“ ეწოდა. მისი ავტორების ჩანაფიქრით ამ სისტემის საფუძველს წარმოადგენს მოსწავლეთა საქმიანობის პრაქტიკული ორგანიზაცია, რომელიც საბოლოოდ დაყვანილია შრომის უმარტივესი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და ფაქტიურად უარყოფილია მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატიური, სიღრმისეული დაუფლების სისტემა.

ეს მოკლე ისტორიული მიმოხილვა ადასტურებს, რომ სკოლაში სწავლების, სასწავლო-შემეცნებითი პროცესის ორგანიზაციის შედარებით მდგრადსა და ფართოდ გაერცელებულ ფორმას მაინც საკლასო-საგაკვეთილო სისტემა წარმოადგენს. მაგრამ სკოლაში სწავლების ეს ფორმა ერთადერთი როდია. სწავლების პროცესში წყდება უამრავი და მრავალფეროვანი დიდაქტიკური ამოცანა. სწორედ ამიტომ სკოლაში გამოიყენება სასწავლო-შემეცნებითი პროცესის ორგანიზაციის მრავალი სხვა ფორმაც. ესენია: ექსკურსიები, მეცადინეობანი სასწავლო სახელოსნოებში, შრომითი და საწარმოო სწავლების ფორმები, ფაკულტატივები, წრეები, სტუდიები, ოლიმპიადები, კონკურსები, სამეცნიერო სამოგადოებანი, დამატებითი მეცადინეობანი და ა.შ.

**§2 ბაკვეთილი - სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა**

ბაკვეთილი, როგორც სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, მოწოდებულია უმრუნველყოს გარკვეული ასაკის მოსწავლეთა

ჯგუფის აქტიური და გეგმამომიერი სასწავლო-შემეცნებითი მოქმედიანობა. იგი მიმართული უნდა იყოს სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ. პედაგოგიურ ლიტერატურაში გაკვეთილის განმარტება ასეთია: *გაკვეთილი არის გარკვეული შემადგენლობის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი საქმიანობის პროცესის ორგანიზაციის დინამიკური და ვარიანტული ფორმა, რომელიც თავისთავში მოიცავს სწავლების შინაარსს, ფორმებს, მეთოდებსა და*



საშუალებებს და რომელიც სისტემატიურად გამოიყენება სწავლების პროცესში განათლების, აღზრდისა და განვითარების ამოცანების გადაწყვეტისათვის. (8,44)

ამ განმარტებასთან ერთად პედაგოგიურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია თანამედროვე გაკვეთილისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომლებიც ეყრდნობა გაკვეთილის არსისადმი პედაგოგ-მეცნიერთა მიდგომის ხასიათს. ასე მაგალითად,

ი. ბაბანსკის რედაქციით გამოცემულ „პედაგოგიის“ სახელმძღვანელოში. ნ. ა. სოროკინი გამოყოფს გაკვეთილისადმი წაყენებულ მოთხოვნათა სამ ძირითად ჯგუფს:

I. ლილაქტიუსრი ანუ საბანმანათლებლო მოთხოვნები:

- გაკვეთილისა და მისი ელემენტების, სასწავლო ამოცანების, ამ გაკვეთილის ადგილის მუსტი განსაზღვრა გაკვეთილთა საერთო სისტემაში.

- გაკვეთილის ოპტიმალური შინაარსის განსაზღვრა სასწავლო პროგრამის მოთხოვნათა, გაკვეთილის მიზნის, მოსწავლეთა მომზადების დონის, მოსწავლეთა მიერ მეცნიერული ცოდნის ათვისების მოსალოდნელი დონის, ჩამოყალიბებულ უნარ-ჩვევათა მიხედვით და შესატყვისად.

- გაკვეთილის ყველა ეტაპზე მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ვაბლიერების მიზნით სწავლების სტიმულირებისა და კონტროლის, რაციონალური მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შერჩევა, მათი ეფექტური შემოქმედების უზრუნველყოფა.

- წარმატებითი სწავლების პრინციპებისა და პირობების, საგანთაშორისი კავშირების განხორციელება გაკვეთილზე.

II. სააღმზრდელო მოთხოვნები:

- გაკვეთილის აღმზრდელობითი ამოცანების დასახევა, სასწავლო მასალის იდეურობის, ეთიკურობისა და ესთეტიკურობის უზრუნველყოფა.

- შეძენილი მეცნიერული ცოდნის საფუძველზე მოსწავლეთა მსოფლმხედველობის, მაღალი მორალური თვისებებისა და ესთეტიკური გემოვნების ფორმირება, სწავლების ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა, მამულიშვილური და ინტერნაციონალური აღზრდა.

- მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების, სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის დადებითი მოტივების, ცოდნის დამოუკიდებლად დაუფლების უნარებისა და ჩვევების, შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის ფორმირება და განვითარება.

- მოსწავლეთა განვითარების ღონისა და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა (აზროვნების, მეხსიერების, ყურადღების, ემოციების, წარმოსახვის) ყოველმხრივი შესწავლა და გათვალისწინება სწავლების პროცესში.

- მასწავლებლის მიერ პედაგოგიური ტაქტის დაცვა და სრულყოფა.

### III. ორბანიზაციული მოთხოვნები:

- თემატურ-კალენდარული დაგეგმვის მიხედვით გაკვეთილის გეგმის აუცილებელი შემუშავება.

- გაკვეთილის მკაფიო ორგანიზებულობა (დაწყების დროულობა, მისი ყოველი წუთის რაციონალური გამოყენება, სწავლების ოპტიმალური გემპის დაცვა, ლოგიკური წყობისა და დასრულებულობის უზრუნველყოფა, მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის დაცვა მთელს გაკვეთილზე და მის ყველა მომენტში.

- სწავლების სხვადასხვა საშუალებათა, მათ შორის ტექნიკურ საშუალებათა წინასწარი მომზადება და ეფექტური გამოყენება. (6,211-214, 226-236).

ბოლო წლების პედაგოგიკურ ლიგურატურაში გამოთქმულია აზრი, რომ გაკვეთილისადმი წაყენებული მოთხოვნები შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი ორგანიზაციის აუცილებელი პირობები. ეს პირობები ორ ჯგუფად იყოფა:

#### 1. სოციალურ-პედაგოგიური პირობები:

- კვალიფიციური, კარგი დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური მომზადების მქონე, შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებელი;

- მოსწავლეთა მჭიდრო, მეგობრული, სწორი შემფასებლური ორიენტაციის მქონე, კარგად ორგანიზებული კოლექტივი;

- კარგი სახელმძღვანელოს, სასწავლო და თვალსაჩინო მასალის, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა და სასწავლო მოწყობილობის არსებობა;

- ხელსაყრელი ფსიქოლოგიური კლიმატის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთპატივისცემაზე, კეთილმოსურნეობაზე, თანამშრომლობაზე, მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა სიყვარულზე დამყარებული ჯანსაღი ურთიერთობის არსებობა.

2. ფსიქოლოგიურ-დიდაქტიკური პირობები:

- სწავლების მოცემული ეტაპის შესატყვისი მოსწავლეთა განსწავლულობის მაღალი დონე;

- მოსწავლეებში სწავლისა და შრომის მოტივების ფორმირების ისეთი მაღალი დონის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ მაღალ ინტერესს დამოუკიდებელი სასწავლო-მეშეცნებითი საქმიანობისადმი;

- სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში სწავლების ეფექტური და აქტიური ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;

- სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დიდაქტიკური პრინციპებისა და გაკვეთილის ორგანიზაციის წესების დაცვა.

სწავლების თანამედროვე პრაქტიკაში უკვე გამოკვეთილია გაკვეთილის ორგანიზაციის გარკვეული წესები, რომლებიც განაპირობებენ მის ოპტიმიზაციასა და ეფექტურობას. ასეთ წესებად მიჩნეულია:

1. გაკვეთილის ტიპის, სასწავლო მასალის შინაარსის, ცოდნის წყაროთა, სასწავლო დაეალებათა და დამოუკიდებელ სამუშაოთა დაზუსტებულობა.

2. გაკვეთილის სახეობის, დიდაქტიკური პრინციპებისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებულობა.

3. სწავლების ეფექტური მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შერჩევითობა, ფრონტალური მუშაობის შეხამებულობა თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის დამოუკიდებელი სასწავლო მოქმედიანობასთან.

4. გაკვეთილის მიზნისა და ამოცანების, სწავლების შინაარსისა და მეთოდების შესატყვისი სტრუქტურის დადგენა, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გაკვეთილის სწორი ორგანიზებულობა, მთლიანობა და მოსწავლეთა სასწავლო-მეშეცნებითი საქმიანობის სწორი წარმართვალობა.

5. ამ გაკვეთილისათვის წინასწარ განსაზღვრული ყველა დიდაქტიური ამოცანის აუცილებელი გადაწყვეტის შესაძლებლობა ამავე გაკვეთილზე.

**§ 3 ბაკვეთილის თანა- გეგმვა** - გაკვეთილის თვისობრივი თავისებურებანი განპირობებულია საგნის სპეციფიკურობით, მისი მიზნებისა და შინაარსის თავისებურებით და ჩატარების მეთოდიკით. იმისათვის, რომ გაკვეთილთა მრავალფეროვნებაში გამოვავლინოთ მათი საერთო მხარეები, აუცილებელია მათი კლასიფიკაცია. დიდაქტიკაში, იმის მიხედვით თუ რა ნიშნები მიიღება მხედველობაში, გვთავაზობენ გაკვეთილების ტიპოლოგიის სხვადასხვა ვარიანტს. ერთნი გაკვეთილების კლასიფიკაციის საფუძველად მიიჩნევენ გნოსეოლოგიურ პრინციპს და შესაბამისად არჩევენ ე.წ. ინდუქციურსა და დედუქციურ გაკვეთილებს. მეორენი იყენებენ ფსიქოლოგიურ პრინციპებს და ამ საფუძველით არჩევენ ე.წ. დასწავლის, შემოქმედების, განმავითარებელსა და სხვა სახის გაკვეთილებს. მესამენი ეყრდნობიან რა მეთოდიკურ პრინციპებს, გაკვეთილებს განასხვავებენ მეთოდური ხერხების მიხედვით: თხრობის, ლაბორატორიული მუშაობის, წიგნზე მუშაობის, წერითსა და სხვა სახის გაკვეთილებს. მეოთხენი გაკვეთილების კლასიფიკაციის საფუძველად მიიჩნევენ სასწავლო დისციპლინებს და გაკვეთილებს აჯგუფებენ სასწავლო დისციპლინების მიხედვით: ისტორიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ლიტერატურისა და ა.შ. გაკვეთილები.

კ. დ. უშინსკი მხოლოდ 4 ტიპის გაკვეთილს განიხილავდა. ესენია:

- შერეული გაკვეთილი, რომლის მიზანია გავლილი მასალის განმეორება, ახალი მასალის ახსნა და განმტკიცება;

- ზეპირი და პრაქტიკული ვარჯიშის გაკვეთილი, რომელზედაც ხდება ცოდნის, უნარებისა და ჩვევების განმეორება და განმტკიცება;

- წერთი ვარჯიშის გაკვეთილი, რომლის მთავარ დან-  
იშნულებას წარმოადგენს წერის კულტურისა და ამროვნების გან-  
ვითარება;

- ცოდნათა შეფასების გაკვეთილები, რომლებიც ტარდება  
სწავლების გარკვეული პერიოდის შემდეგ და სასწავლო წლის  
ბოლოს.

არის გაკვეთილების ტიპოლოგიის სხვა პრინციპებიც. მა-  
გალითად, გაკვეთილების მიხედვით: მასალის პირველადი  
გაცნობის; ცნებებისა და კანონზომიერებათა გაცნობიერების;  
ვარჯიშის; განმეორებისა და განზოგადების; საკონტროლო  
სამუშაოების; შერეული ანუ კომბინირებული გაკვეთილი. ან  
კიდევ, გაკვეთილების კლასიფიკაცია მისი ჩატარების ძირითადი  
ხერხების, გზების, მეცადინეობათა მრავალსახეობათა მიხედვით:  
სალექციო, საუბრის, ექსკურსიის, დამოუკიდებელი, ლაბორატორ-  
იული ან სხვა სახის პრაქტიკული მუშაობის. პედაგოგიურ ლიტ-  
ერატურაში აგრეთვე ვხვდებით გაკვეთილების კლასიფიკაციას  
მისი ორგანიზაციის მიზნების მიხედვით: ახალი მასალის შესწავ-  
ლის, ცოდნის, უნარებისა და ჩვევების სრულყოფის, განსწავ-  
ლულობის კონტროლისა და შეფასების ან ყველა ამ ამოცანათა  
შეხამების ანუ ე.წ. კომბინირებული გაკვეთილი.

დ. ლორთქიფანიძე გაკვეთილების კლასიფიკაციისას ეყრდნობა  
რა მათი დანიშნულების პრინციპს, „დიდაქტიკაში“ გამოყოფს 4  
ტიპის გაკვეთილს: ახალი მასალის გადაცემის, განმეორების,  
ცოდნის შემოწმება-შეფასებისა და კომბინირებული ტიპის  
გაკვეთილს.

1983 წელს ი. კ. ბაბანსკის რედაქციით გამოცემულ „პედაგ-  
ოგიკის“ სახელმძღვანელოში მოცემულია 6 ტიპის გაკვეთილი:  
მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის დაუფლების, უნარებისა და  
ჩვევების გამომუშავების, ცოდნის განზოგადება-სისტემატიზაციის,  
განმეორება-განმტკიცების, საკონტროლო-შემოწმებისა და  
კომბინირებული გაკვეთილები.

რამდენადმე ასეთივეა, ს.ბარანოვისა და ვ.სლასტენინის  
რედაქციით 1986 წელს გამოცემულ „პედაგოგიკაში“ მოცემული  
კლასიფიკაციაც. აქ 5 ძირითადი ტიპის გაკვეთილია აღწერილი:

კომბინირებული, ახალი მასალის ახსნის, განმტკიცების, განმეორებისა და ცოდნის შემოწმების.

ამრიგად, ტრადიციული ტიპოლოგიის მიხედვით გაკვეთილების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

1. შერეული ანუ კომბინირებული გაკვეთილი.
2. ახალი მასალის ახსნის ანუ ახალ ცოდნათა გადაცემის გაკვეთილი.
3. შესწავლილი მასალის განმტკიცების გაკვეთილი.
4. განმეორების ანუ შესწავლილი მასალის განმეორების, სისტემატიზაციისა და განზოგადების გაკვეთილი.
5. ცოდნის შემოწმებისა და შეფასების გაკვეთილი.

უახლეს პედაგოგიკურ ლიტერატურაში გაკვეთილების ამ ტრადიციულ ტიპებს ემატება კიდევ სხვა სახეობანი. ესენია:

- გაკვეთილი-სემინარი,
- გაკვეთილი-კონფერენცია,
- გაკვეთილი-ექსკურსია,
- ლაბორატორიული მუშაობის გაკვეთილი,
- ვარჯიშის გაკვეთილი და სხვა.

ა. ვობრონიძე ეთანხმება ი.ბაბანსკისეულ ტიპოლოგიას და ფართოდ განიხილავს თითოეული ტიპის გაკვეთილს (1,158).

ვ. გაგუა კლასიფიკაციას აკეთებს გაკვეთილის 4 ტიპის მიხედვით:

- ახალი მასალის გადაცემის გაკვეთილი,
- განმეორების გაკვეთილი,
- ცოდნის შემოწმებისა და შეფასების გაკვეთილი,
- კომბინირებული გაკვეთილი.

რა შეიძლება ითქვას გაკვეთილის ტიპოლოგიათა ამ სისტემებზე?

მაპატიონ აქ ციტირებულმა მეცნიერ-პედაგოგებმა, მაგრამ მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილებამ, პრაქტიკოს-მასწავლებელთა მოსაზრებებმა და სწავლების

რეალური პედაგოგიური პრაქტიკის ხანგრძლივმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ რეალურად არსებობს და პრაქტიკაში გამოიყენება გაკვეთილის მხოლოდ ოთხი ტიპი. ესენია:

- შერეული ანუ კომბინირებული გაკვეთილი,
- ახალი მასალის ახსნისა და ახალი უნარ-ჩვევების გამო-მუშავების გაკვეთილი,
- შესწავლილი მასალის განმეორების, განმტკიცებისა და გა-მომუშავებული უნარ-ჩვევების გაფართოება-განვითარების გაკვეთილი,
- ცოდნის, უნარ-ჩვევების კონტროლის, შემოწმებისა და შე-ფასების გაკვეთილი.

ჩვენი აზრით, ყველა სხვა ტიპის გაკვეთილის დასაბუთების მცდელობა მხოლოდ გაკვეთილის ტიპების რაოდენობათა გაზრდის მიზნით ხდება და მოკლებულია რეალურ საფუძველს და აი, რატომ:

რა იგულისხმება „შესწავლილი მასალის განმტკიცების“ გაკვეთილში?

განა განმეორების გაკვეთილზე არ ხდება „განმტკიცება“? ან კიდევ, სასწავლო მასალის სისტემატიზაცია, განზოგადება თანმხლები არაა ახალი მასალის ახსნის პროცესისა?

რას ნიშნავს გაკვეთილი სემინარი?

სემინარი არის ცოდნის შემოწმების ერთ-ერთი მეთოდი, ხერხი და მისი დამოუკიდებელი ტიპის გაკვეთილად გამოყოფა არასწორია.

ასევე ითქმის ექსკურსიაზეც. თუ გაეთვალისწინებთ, რომ ექსკურსია ეს არის ადგილზე მისვლით ობიექტის, მოვლენის გაცნობა, იგი შეიძლება ემსახუროდეს ან ახალი მასალის თვალსაჩინო გაცნობიერებას, ახსნილის პრაქტიკულ დადასტურებას ან თეორიული მასალის მატერიალურ აღქმას. ასე რომ, არც ექსკურსია შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული ტიპის გაკვეთილად.

რაც შეეხება ლაბორატორიული მუშაობის ან ვარჯიშის გაკვეთილს, ესეც თეორიული მასალის პრაქტიკული გაგება-გაამრების საშუალებებია და არა გარკვეული ტიპის დამოუკიდებელი გაკვეთილი.

*გაკვეთილის გიპოლოგიას შეიძლება ორი საფუძველი ჰქონდეს:*

*პირველი. რას ემსახურება ეს გაკვეთილი, რაა მისი მთავარი მიზანი?*

ეს შეიძლება იყოს ახალი მასალის ახსნა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. შესაბამისად, საქმე გვექნება ახალი მასალის ახსნისა და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავების გაკვეთილთან.

ეს შეიძლება იყოს უკვე შესწავლილის, გამომუშავებულის განმტკიცება, განვითარება-გაფართოება და სრულყოფა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შესწავლილი მასალის განმეორების, განმტკიცებისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების გაფართოება-განვითარების გაკვეთილთან.

თუ გაკვეთილის მთავარი მიზანია ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების შემოწმება, კონტროლი და შეფასება, გასაგებია, რომ ეს იქნება ცოდნის, უნარ-ჩვევების კონტროლის, შემოწმებისა და შეფასების გაკვეთილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც გაკვეთილი უკვე ჩამოთვლილ სამივე მიზანს ემსახურება, მაშინ საქმე გვექონია შერეულ ანუ კომბინირებულ გაკვეთილთან.

ეს იმდენად ნათელია, რომ კამათს არ უნდა იწვევდეს.

*მეორე საფუძველი, რომელსაც შეიძლება ემყარებოდეს გაკვეთილის გიპოლოგია, არის დრო და ადგილი, რომელიც ეთმობა ამა თუ იმ მიზნის რეალიზაციას გაკვეთილზე.*

თუ გაკვეთილზე მთავარი ადგილი და დროის დიდი ნაწილი ეთმობა ახალი მასალის ახსნასა და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავებას - ეს ახალი მასალის ახსნის გაკვეთილია, თუ უკვე შესწავლილ-გამომუშავებულის განმტკიცებას, გაფართოებასა და გაღრმავებას გაკვეთილზე უჭირავს მეტი ადგილი და დრო, გასაგებია, რომ ესაა განმეორების გაკვეთილი. როდესაც გაკვეთილზე დროისა და ადგილის მიხედვით დომინირებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონტროლი, შემოწმება და შეფასება - ეს შემოწმებისა და შეფასების გაკვეთილია. რაც შეეხება კომბინირებულ გაკვეთილს, აქ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ



კომპონენტს დაახლოებით ერთნაირი ადგილი და დრო ეთმობა, არც ერთი არ დომინირებს ერთმანეთზე.

ყველა სხვა ე.წ. სემინარი, კონფერენცია, ექსკურსია, ლაბორატორიული თუ ვარჯიშის გაკვეთილი ფაქტიურად წარმოადგენს ჩვენს მიერ ჩამოთვლილი გაკვეთილების შინაარსობრივ, პროცესუალურ თუ მეთოდურ მოდიფიკაციას და ისინი არ შეიძლება გაკვეთილის განსაკუთრებულ ტიპებად მივიჩნიოთ.

ეს იმდენად ნათელია. რომ ვეჭვობთ, საკამათო იყოს.

მაშასადამე, გაკვეთილის ტიპოლოგიის საფუძველს წარმოადგენს გაკვეთილის ძირითადი მიზანი, აგრეთვე დრო და ადგილი იმ კომპონენტისა, რომელიც დომინირებს გაკვეთილზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წმინდა სახით, კომბინირებული გაკვეთილის გარდა, სხვა ტიპის გაკვეთილებს იშვიათად ვხვდებით, რამეთუ, ყველა გაკვეთილი მეტნაკლები მოცულობით თითქმის ერთნაირ ელემენტებს მოიცავს. გამონაკლისად აქ შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ საკონტროლო წერის გაკვეთილი, რომელსაც მთელი ან ორი გაკვეთილიც კი ეთმობა.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება ესა თუ ის გაკვეთილი, უდიდესი მნიშვნელობისაა, რამეთუ ამითაა განპირობებული გაკვეთილის დიდაქტიკური მიზნები, სტრუქტურა, მისი ელემენტები და მეთოდოლოგია.

ამასთანავე, გაკვეთილისა და სწავლების სხვა ორგანიზაციულ ფორმათა დიდაქტიკური საფუძვლების განხილვისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მათ ახასიათებთ ის სტრუქტურული კომპონენტები, რაც სწავლების პედაგოგიურ პროცესს, სახელდობრ: მიზნობრივი, მოტივაციური, შინაარსობრივი, ორგანიზაციულ-პროცესუალური, ემოციურ-ნებელობითი, საკონტროლო-მარეგულირებელი, ანალიზისა და შეფასების კომპონენტები.

ამ კომპონენტთა მიხედვით სხვადასხვა ტიპის გაკვეთილებს ერთნაირ კომპონენტებთან ერთად აქვთ საკუთარი, მხოლოდ ამ გაკვეთილისათვის დამახასიათებელი კომპონენტები.

პედაგოგიკის სახელმძღვანელოში ი. თ. ხარლამოვი სრულიად ახლებურად განიხილავს გაკვეთილის ყველაზე გავრცელებულ ტიპს - კომბინირებულ გაკვეთილს, რომელსაც იგი შე-

რეული ტიპის გაკვეთილსაც უწოდებს. ამ ტიპის გაკვეთილის მომენტებსა და მათს შინაარსს იგი განსაზღვრავს შემდეგნაირად:

**შერეული ანუ კომბინირებული ბაკვეთილი:**

**1. მეცადინეობისათვის მოსწავლეთა მომზადება-ორგანიზაცია.**  
ამ მომენტის არსი მდგომარეობს გაკვეთილისათვის მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ განწყობაში, ყურადღების გამახვილებასა და მეცადინეობისადმი აქტიური დამოკიდებულების გაღვივებაში.

**2. განვლილ მასალაზე სასწავლო-განმეორებითი მუშაობა.**  
სწავლების შეგნებულობის, სისტემატურობისა და სიმტკიცის პრინციპებიდან გამომდინარე, გაკვეთილის ეს მომენტი ემსახურება მოსწავლეთა მიერ უკვე შეთვისებული ცოდნის გამოვლენას, მის შემოწმებასა და შეფასებას. კომბინირებული გაკვეთილისათვის, მას აქვს დიდი სასწავლო მნიშვნელობა, რადგან იგი სამ ძირითად დებულებას ეყრდნობა:

ა) როდესაც მოსწავლემ იცის, რომ მისი ცოდნა აუცილებლად შემოწმდება, იგი უკეთესად ემზადება გაკვეთილისათვის.

ბ) გავლილი მასალის განმეორება და შემოწმება დაკავშირებულია მის კელაფწარმოებასთან, ხოლო ცოდნის კელაფწარმოება წარმოადგენს შესასწავლი მასალის შეთვისების (დამახსოვრების) საუკეთესო საშუალებას.

გ) მოსწავლეთა მიერ ცოდნის განმეორება და შემოწმება დაკავშირებულია ცოდნის სიტყვიერ გადმოცემასთან, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მათი მეტყველების განვითარებას. იმის გამო, რომ მეტყველება ორგანულადაა დაკავშირებული აზროვნებასთან, მამასადამე, გაკვეთილის ეს მომენტი აზროვნების განვითარებასაც ემსახურება.

**3. ახალი მასალის გააზრება და შეთვისება (დამახსოვრება).**

გაკვეთილის ეს უძირითადესი მომენტი იწყება ძველსა და ახალ მასალას შორის კავშირის დამყარებით, რაც შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით:

ა) მასწავლებელმა მოსწავლეები შეიძლება მიიყვანოს ლოგიკურ კავშირამდე ადრე შესწავლილსა და ახალ მასალას შორის.

ბ) კავშირი ძველსა და ახალ მასალას შორის შეიძლება დამყარდეს მათი დაპირისპირების საფუძველზე.

გ) ახალი მასალა შეიძლება დაუკავშირდეს ადრე შესწავლილს მათი განლაგების თანამიმდევრობის მიხედვითაც.

ახალსა და ძველ მასალას შორის კავშირის დამყარების შემდეგ უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი და ის საკითხები, რომელთა შეთვისებაც საჭიროა მოსწავლეთა მიერ ამ გაკვეთილზე. ამ საკითხთა განხილვამ უნდა მოიცვას გაკვეთილის საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქციები. ამასთანავე ახალი მასალის პირველად აღქმასა და გააზრებას, მის შემდგომ სიღრმისეულ გაცნობიერებასა და დამახსოვრებას.

გაკვეთილის ამ ეტაპზე სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია შეიძლება წარიმართოს ოთხი სხვადასხვა ვარიანტით.

**პირველი.** მასწავლებელი თხრობის, ახსნის, საუბრის სახით თვითონ გადმოსცემს ახალ მასალას, შემდეგ კი გადადის მისი შინაარსის გამოკითხვაზე.

**მეორე.** დასაწყისში მასწავლებელი გეპირისტყვიერი მეთოდის გამოყენებით ხსნის ახალ მასალას, შემდეგ კი ახდენს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას.

**მესამე.** მასწავლებელი განსაზღვრავს გაკვეთილის თემასა და მიზანს, ქმნის პრობლემურ სიტუაციას და მიუთითებს იმ საკითხებს, რომლებიც უნდა შეითვისონ მოსწავლეებმა, შემდეგ კი ორგანიზებას უკეთებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და ახდენს განმტკიცებას.

**მეოთხე.** თუ ამის შესაძლებლობას იძლევა სასწავლო დისციპლინა და თემა, ახალი მასალის გაცნობიერებისა და შეთვისების მიზნით ეწყობა ლაბორატორიული მუშაობა სახელმძღვანელოების, დამხმარე და საცნობარო ლიგერატურის გამოყენებით.

ახალი მასალის გაცნობიერება-შეთვისების მომენტი გაკვეთილზე შეიძლება წარიმართოს ე.წ. პრობლემური გადმოცემის გზითაც. ამ მეთოდის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მასწავლებელი, სარგებლობს რა მაგალითებითა და ფაქტებით, მოსწავლეთა წინაშე აყენებს შემეცნებითი ხასიათის პრობლემებსა და ამოცანებს, აიძულებს მათ იაზროვნონ, ეძიონ გზები ამ პრობლემათა გადაწყვეტისა და შესასწავლი მოვლენების თუ

ობიექტების შინაარსის ახსნისათვის, მათში არსებული მიზმ-  
შედევობრივი კავშირების გაცნობიერებისათვის.

**4. ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამო-  
მუშაება**

გაკვეთილის ეს მომენტი დაკავშირებულია მეპირი, წერ-  
ილობითი და პრაქტიკული ვარჯიშის მეთოდის გამოყენებასთან.  
ვარჯიშის ორგანიზაციისას დაცული უნდა იყოს ორი პირობა:

პირველი, არ შეიძლება მივმართოთ ვარჯიშს თუ მოსწაე-  
ლებს ათვისებული არ აქვთ ის თეორიული მასალა, რომელიც  
მათ უნდა გამოიყენონ პრაქტიკაში.

მეორე, იმის გამო, რომ პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება  
მოსწავლეებში იწვევს გარკვეულ სიძნელებებს, საჭიროა გან-  
საკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ მიერ პრაქტიკული  
საეარჯიშოების შესრულების ხერხების გაცნობიერებას. ამასთან  
ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საეარჯიშოთა  
შემოქმედებით ხასიათს, ხოლო მასწავლებლის მიერ მიცემული  
დავალება უნდა აიძულებდეს მოსწავლეებს იაზროვნონ და ცოდნა  
გამოიყენონ სხვადასხვა შეცვლილ პირობებში.

**5. საშინაო დავალების მიცემა**

როგორ კარგადაც არ უნდა წარიმართოს გაკვეთილზე ახალი  
მასალის შესწავლა, იგი მაინც წარმოადგენს ცოდნათა კონცენტ-  
რირებული შეთვისების ფორმას. შესასწავლი მასალის მტკიცე და  
სიღრმისეული შეთვისებისათვის კი არსებითი მნიშვნელობა აქვს  
მისი გაცნობიერებისა და დამახსოვრების პროცესის გაზღას  
დროში. სწორედ ამიტომ ეძლევათ მოსწავლეებს ახალი მასალის  
შესწავლასთან დაკავშირებული დავალება სახლში შესასრულებლად.  
ჩვეულებრივად ასეთი დავალება თავის თავში მოიცავს:  
სახელმძღვანელოდან გექსტის დასწავლას, აგრეთვე წერილობითი  
და პრაქტიკული საეარჯიშოების რიგს. საშინაო დავალებანი უნდა  
აკმაყოფილებდეს შემდეგ დიდაქტიკურ მოთხოვნებს:

- ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი ყურადღებას უნდა  
აქცევდეს მოსწავლეთა მომზადებას საშინაო დავალების  
შესრულებისათვის;

- საშინაო დავალება დაყვანილი არ უნდა იყოს მოსწავლეთა  
რეპროდუქციულ (ცოდნის კელაეწარმოებით) საქმიანობამდე,

არამედ უნდა შეიცავდეს შემოქმედებითი საქმიანობის ელემენტებს;

- სამინაო დაეალება უნდა იყოს გონიერულად დობირებული, შესრულების ეტაპები და ხერხები წინასწარ განსაზღვრული და განმარტებული, სახელმძღვანელოს, დამხმარე და საცნობარო ლიტერატურის პარაგრაფები, გვერდები, სავარჯიშოთა ნომრები და სახეობანი მკაფიოდ მითითებული.

მერეული ანუ კომბინირებული გაკვეთილის ჩატარება მისდამი შემოქმედებით მიდგომასთან ერთად მოითხოვს გაკვეთილის დროის სწორ რეგლამენტაციას მის ცალკეულ ელემენტებსა და ეტაპებს შორის. ი. თ. ხარლამოვის რეკომენდაციით გაეწილ მასალაზე მუშაობასა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას გაკვეთილზე უნდა დაეთმოს 15-18 წუთი, ხოლო დანარჩენი კი - ახალი მასალის შესწავლასა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას (10,245-266).

**§4 ბაკვეთილის სტრუქტურა, მისი მრავალსახეობა და პარანტულობა მიზნის, თემის, შინაარსისა და სსსწავლ პროსესში ამ ბაკვეთილის აღვილის მიხეღვი**

„სტრუქტურა“ ლათინური სიგყვაა და ნიშნავს აგებულებას, წყობას, კავშირს ნაწილებს შორის. „სტრუქტურის“ ცნების ქვეშ ზოგადად გულისხმობენ მთლი-

ანის ცალკეული მხარეების, თუ ნაწილების მტკიცე, შეღარებით მღგრად ურთიერთკავშირებს. მეორენაირად „სტრუქტურის“ ცნების ქვეშ იგულისხმება აგრეთვე მთელის ელემენტთა თანამოქმედების ის სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც აღმოცენდება ამ ობიექტის (მთელის) ფუნქციონირების პროცესში.

აქედან გამომდინარე, გაკვეთილის სტრუქტურა შეიღლება განვიხილოთ როგორც გაკვეთილის აგებულება, მისი ნაწილების, ელემენტების გარკვეული წყობა, მათი შეღარებით მყარი ურთიერთკავშირები და გაკვეთილის

## **ფუნქციონირების პროცესში აღმოცენებული მათი თანამოქმედების სხვადასხვა ვარიანტი.**

გაკვეთილის გრადიციული სტრუქტურის ელემენტებს წარმოადგენს: გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა, განმტკიცება და საშინაო დაეალების მიცემა. ასეთ სტრუქტურას რამდენადმე შაბლონური ხასიათი აქვს და ყველა შემთხვევაში როდი გამოდგება.

ამდენად, გაკვეთილის სტრუქტურისა და შინაარსის სრულყოფა უნდა მოხდეს მისი სამი დონის გათვალისწინებით. ესენია: გაკვეთილის სტრუქტურის დიდაქტიკური, ლოგიკურ-ფსიქოლოგიური და მეთოდიკურ-ორგანიზაციული დონეები.

### **გაკვეთილის დიდაქტიკურ დონეში იგულისხმება:**

1. მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და მათი პრაქტიკული მოქმედიანობის აქტუალიზაცია ანუ მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის სტიმულირება (აქტუალიზაცია).

2. მოსწავლეებში ახალი ცნებებისა და მათი პრაქტიკული საქმიანობის ახალი ხერხების, უნარ-ჩვევების ფორმირება ანუ ახალი მასალის ახსნა უფრო კონკრეტული მნიშვნელობით (ფორმირება).

3. მოსწავლეთა უნარებისა და ჩვევების ფორმირება ანუ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება (გამოყენება).

ამრიგად, გაკვეთილის დიდაქტიკური დონე (სტრუქტურა) წარმოადგენს გაკვეთილის ორგანიზაციის მთავარ განაწესს, რომელიც მელანდება გაკვეთილზე და კონკრეტდება მეთოდიკურ-ორგანიზაციულსა და ლოგიკურ-ფსიქოლოგიურ ქვესტრუქტურებში.

გაკვეთილის მეთოდიკურ-ორგანიზაციული ქვესტრუქტურა მოიცავს მასწავლებლისა და მოსწავლეთა საქმიანობის სხვადასხვა სახეებს: თხრობას, ვარჯიშს, გექსტის კითხვას, კარნახს, კითხვა-პასუხსა და ა.შ. მეთოდიკური სტრუქტურა განაპირობებულია დიდაქტიკური სტრუქტურით, რომელიც ამავე დროს განაპირობებს თანამედროვე გაკვეთილის ორგანიზაციისა და სწავლების ეტაპებსაც. გაკვეთილის ლოგიკური და მეთოდიკური ქვესტრუქტურების ურთიერთდაკავშირებაც დიდაქტიკური სტრუქტურიდან გამომდინარეობს.


გაკვეთილის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური ქვესტრუქტურა შედგება იმ ელემენტებისაგან, რომლებიც ასახავენ სასწავლო შემეცნებით პროცესს - შეძენილი ცოდნის აღდგენა-განმეორებისა და ახალი ცოდნის შეთვისების პროცესს. შეთვისების პროცესი კი ყოველთვის იწყება ფაქტის, მოვლენის, წესის, ცნების აღქმითა და გააზრებით. შემდგომში შედარების, შეპირისპირების, ანალოგიისა და ახსნის ლოგიკურ ოპერაციებს ბაემვები მიჰყავს ახალი მასალის, ცოდნის გაგება-გაცნობიერებამდე. ცალკეული თვისებებისა და ნიშნების განზოგადება კი ხელს უწყობს შესწავლილი მასალის სისტემატიზაციას.

იმის გამო, რომ განმაეითარებელი სწავლებისადმი წაყენებულ მოთხოვნათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა კელევა-ძიებითი საქმიანობის ორგანიზაციას, ამიტომ თანამედროვე გაკვეთილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვესტრუქტურას წარმოადგენს ე.წ. პრობლემურობა, რომლის ძირითადი ელემენტებია: პრობლემური სიტუაციის აღმოცენება, ამ პრობლემის გადაწყვეტის სავარაუდო აზრის (ჰიპოტეზის) წამოყენება, მისი სწორი ფორმულირება, შემდგომში ამ ჰიპოტეზის მტკიცების მიზნით ორგანიზებული კელევა-ძიებითი მუშაობა, ამ გზით პრობლემის გადაწყვეტა და ბოლოს, მიღებული შედეგების (ჰიპოტეზის დამტკიცების) სისწორის შემოწმება. გაკვეთილის ორგანიზაციის ელემენტების თანამიმდევრულობასთან ერთად, სწორედ პრობლემურობის ქვესტრუქტურის ამ ელემენტებში ელინდება გაკვეთილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე - ლოგიკურობა.

გაკვეთილის ქვესტრუქტურებისა და ძირითადი სტრუქტურის ეს ზოგადი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დიდაქტიკური სტრუქტურის, მეთოდუკური, ლოგიკურ-ფსიქოლოგიური და პრობლემურობის ქვესტრუქტურათა ერთიანობა წარმოადგენს თანამედროვე გაკვეთილის მთლიან სტრუქტურას, რომელიც იცვლება გაკვეთილის ტიპის, მისი შინაარსის, სასწავლო მასალის მიხედვით.

გაკვეთილის ამ სტრუქტურათა ერთიანობა სქემის სახით ასე წარმოგვიდგება:

# ბაკვეთილის სტრუქტურის სქემა






მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ აქ მოტანილი გაკვეთილის სტრუქტურა თავისი მეცნიერული ხასიათით შეიძლება რამდენადმე გაუგებარი იყოს მოგიერთი მკითხველისათვის, განსაკუთრებით დაბალი კურსის სტუდენტებისათვის. ამიტომ ქვევით ჩვენ ვიძლევით ვარკვეულწილად გამარტივებულ სტრუქტურას. ამ სტრუქტურის მიხედვით გაკვეთილი გრადიციული თეალსაზრისით საში ძირითადი ნაწილისაგან შედგება ესენია:

**შესავალი ნაწილი** - მოიცავს გაკვეთილის ისეთ ორგანიზაციულ-პროცესუალურ მომენტებს, როგორცაა მოსწავლეთა სწრებადობის შემოწმება, კლასის მომზადება-განწყობა გაკვეთილისათვის და საშინაო დაეალების შემოწმება.

**ძირითადი ნაწილი** - ითვალისწინებს შესავალ საუბარს (კავშირი შესწავლილ და ასახსნელ მასალას შორის, ახალი მასალის ახსნას, მოსწავლეთა მიერ ახალი მასალის ათვისების ღონის შემოწმებას.

**დასკენითი ნაწილი** - ეძენება ახსნილი მასალის განმკიცებას, გაკვეთილის შედეგების შეჯამებას და საშინაო დაეალების მიცემას.

სქემის სახით ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ჩვენს მიერ აქ განხილული სტრუქტურა სავალდებულო იყოს ყველა გაკვეთილისათვის. ისე, როგორც ყველა პედაგოგიური მოვლენა, გაკვეთილის აგება-ჩატარებაც მოითხოვს მასწავლებლის შემოქმედებით ბიძგომას, ადგილობრივი პირობების, გაკვეთილზე გამოსაყენებელ საშუალებათა, მეთოდური შესაძლებლობათა, თავისივე პედაგოგიური ოსტატობის, მოსწავლეთა მომზადების დონის და სხვა მრავალი ფაქტორის სრულსა და მდგანშეწონილ გათვალისწინებას.

პედაგოგიური პრაქტიკის პროგრამისა და სასწავლო დაეალებათა მიხედვით სტუდენტებს უხდბათ ამა თუ იმ ტიპის გაკვეთილის ანალიზის გაკეთება და სწორედ აქ, დაუკვირებლობისა თუ გამოუცდლობის გამო გარკვეულ სიძნელეებს აწყდებიან. როგორც წესი, მათ უმრავლესობას უჭირს სრულყოფილი ანალიზი გაუკეთონ გაკვეთილს. ამის მიზეზი ისიცაა, რომ არც ერთ სახელმძღვანელოში თუ მეთოდური შინაარსის ლიგერაგურაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. სხვადასხვა სასწავლო დისციპლინის სწავლების მეთოდიკათა პროგრამებში ამ საკითხებზე არაფერია გათვალისწინებული. როგორც ჩანს, ვერც ამ დისციპლინათა პედაგოგები და ვერც პედაგოგიური მეთოდისტები უწევენ საჭირო დახმარებას სტუდენტებს ამ საქმეში. ყოველივე ამან გვაიძულა ლექციების კურსში შეგვეგანა ეს საკითხი.

გაკვეთილის ანალიზისას, ვფიქრობთ, გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც მისი ტიპი, სტრუქტურა და შინაარსი, ასევე ორგანიზაციულ-მეთოდური, საგანმანათლებლო, აღმზრდელითი, განმავითარებელი მხარეებიც, გამოყენებული მეთოდები, ხერხები და საშუალებები, გაკვეთილზე მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის, დისციპლინის მდგომარეობა, მისი შედეგები და მხოლოდ ამის შემდეგ ფასდებოდეს იგი. აქედან გამომდინარე, გაკვეთილის ანალიზის იმ საორიენტაციო ნიმუშში, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვიძლევი, გამოყოფთ შემდეგ საკუანძო საკითხებს: ზოგად ცნობებს გაკვეთილის შესახებ, გაკვეთილის მსვლელობის შინაარსს გაკვეთილის გეგმის მიხედვით, გაკვეთილის ორგანიზაციას, გაკვეთილზე გამოყენებულ მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს, მოსწავლეთა შემეცნებით აქტივობას, მოსწავლეთა დისციპლინასა და ქცევას. ბოლოს, გაკვეთილის შედეგებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

### 1. ზოგადი ცნობები:

- ა) თარიღი,
- ბ) სკოლა, კლასი,
- გ) მოსწავლეთა რაოდენობა კლასში,
- დ) მასწავლებლის (პრაქტიკანტის) სახელი და გვარი,
- ე) გაკვეთილის რიგითი ნომერი თემატურ-კალენდარული ღეგეგმვის მიხედვით.
- ვ) საკლასო ოთახის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და აღჭურვილობა.

### 2. გაკვეთილის მსვლელობა გეგმაში გათვალისწინებული მომენტების მიხედვით:

გაკვეთილის საორიენტაციო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარებულიყო გაკვეთილი:

- გაკვეთილის ჩატარების თარიღი,
- გაკვეთილის თემა (საშინაო დაეალებისა და ასახსნელი მასალის კონკრეტული დასახელებით, წერიით და გეპირი სავარჯიშოებით),
- გაკვეთილის მიზანი,
- გაკვეთილის საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ამოცანები,
- თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა, სწავლების გექნიკური საშუალებანი, სახელმძღვანელო, დამხმარე, დამატებითი და საცნობარო ლიტერატურა.

### 3. გაკვეთილის ორგანიცამია:

1. სწრებალობის შემოწმება და კლასის მოსწავლეთა განწყობა-მომზადება გაკვეთილისათვის.

2. საშინაო დაეალების შემოწმება:

ა) მოსწავლეთა ფრონტალური გამოკითხვა (მიუთითეთ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვათა შინაარსი, მათი რაოდენობა, მოსწავლეთა სახელი და გვარი, რომელთაც უპასუხეს შეკითხვებზე, პასუხის სისწორე).

ბ) მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოკითხვა (მიუთითეთ გამოკითხულ მოსწავლეთა სახელი და გვარი, პასუხების დონე),

გ) წერიტი დაეალებების შემოწმება (აღწერეთ რა მეთოდებითა და ხერხებით შემოწმდა წერიტი დაეალება, როგორია ამ დაეალებათა შესრულების დონე),

დ) რამდენი მოსწავლის ცოდნა შეფასდა და როგორია ეს შეფასებები.

3. კავშირი შესწავლილსა და ასახსნელ მასალას შორის (შესავალი საუბარი, კითხვა-პასუხი შეძენილი ცოდნის აქტუალიზაციის მიზნით, მოსწავლეთა მომზადება-განწყობა ახალი თემის შესწავლისათვის).

4. ახალი მასალის ახსნა (მიუთითეთ რა მეთოდები გამოიყენა მასწავლებელმა ახალი მასალის ახსნისათვის, როგორია ახსნის შემეცნებითი დონე, მასწავლებლის ქცევა ახსნისას, მეტყველება, ამრის გადმოცემის სიცხადე და მისაწვდომობა, გამოყენებული თვალსაჩინოებანი და სხვა საშუალებანი, თემის ამომწურაობა).

5. მოსწავლეთა მიერ ახსნილი მასალის ათვისების დონის შემოწმების მეთოდები და ხერხები, საცნობარო და განმარტებითი მუშაობა, კითხვა-პასუხი და სხვა.

6. ახსნილი მასალის განმტკიცება, რა მეთოდები და ხერხები საამისოდ გამოყენებული (ვარჯიში, კითხვა-პასუხი, პრობლემური სიტუაცია, წერიტი და პრაქტიკული სამუშაოები).

7. საშინაო დაეალების მიცემა (მიუთითეთ კონკრეტულად რა გეპირი და წერიტი დაეალება მიეცა, განმარტა თუ არა მასწავლებელმა ნათლად საშინაო დაეალების შინაარსი, მისი შესრულების საშუალებები, მოცულობა, მიუთითა თუ არა სახელმძღვანელო და სხვა წყაროები).

**4. გაკვეთილის ანალიზის ძირითადი მიმართულებანი: სწავლების მეთოდები, ხერხები და საშუალებანი:**

ა) რა მეთოდები, ხერხები და საშუალებანი იქნა გამოყენებული გაკვეთილზე (მეთოდთა კლასიფიკაციის მიხედვით) და მათი დახასიათება. მეთოდთა მრავალფეროვნება გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე: საშინაო დაეალების შემოწმებისა და გამოკითხვისას, ახალი მასალის ახსნისას, განმტკიცებისას, ვარ-

ჯმისა და პრაქტიკული მუშაობისას, წერიტი სამუშაოების შესრულებისას. შესატყვისება თუ არა გამოყენებული მეთოდები და ხერხები გაკვეთილის გიჟსა და შინაარსს, გაკვეთილის თითოეულ მომენტს, მოსწავლეთა ასაკს, მომზადების დონესა და რამდენად ეფექტურია ისინი.

ბ) დაახასიათეთ კონკრეტულად გაკვეთილზე გამოყენებული თვალსაჩინოებანი, ტექნიკური საშუალებანი და სხვა დიდაქტიკური მასალა, მათი შემეცნებითი და ესთეტიკურ-მხატვრული დონე, შესატყვისობა გაკვეთილის თემასთან, მიზანსა და ამოცანებთან, გამოყენებულ მეთოდებთან, მათი სასწავლო-შემეცნებითი ეფექტურობა.

გ) როგორ გამოიკვეთა და განხორციელდა გაკვეთილზე სწავლების პედაგოგიური პროცესის საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციები, რა პრობლემური მომენტები აღმოცენდა გაკვეთილზე და როგორ მოხდა მათი გადაწყვეტა.

დ) მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის რა სახეები იქნა გამოყენებული გაკვეთილზე, მათი შინაარსი და შემეცნებით-განმავითარებელი ღირებულება.

ე) მოსწავლეთა კოლექტიური, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმები და მათი თანაფარდობა გაკვეთილზე.

ვ) საშინაო დაეალების შესრულების, მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ჩეეების შემოწმება-შეფასების, საშინაო დაეალებასა და პასუხებში მოსწავლეთა მიერ დაშეებული შეცდომების გამოვლენისა და გამოსწორების გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები და ხერხები, შეფასებათა მოტივირება და ობიექტურობა.

### **მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი აქტივობა გაკვეთილზე:**

ა) რა მეთოდები და ხერხები გამოიყენა მასწავლებელმა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის სტიმულირებისათვის, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ამაღლებისათვის, რამდენად ეფექტური იყო ისინი.

ბ) მასწავლებლის შეკითხვების, დაეალებების, სხვადასხვა სამუშაოთა ანალიზი, პრობლემური სიტუაციების, წახალისების,

გაკიცხვის ფორმებისა და მეთოდების ანალიზი მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი აქტივიზაციის თვალსაზრისით.

### ***მოსწავლეთა დისციპლინა და ქცევა გაკვეთილზე***

ა) ყურადღების კონცენტრირება გაკვეთილის ცალკეულ მომენტებში, მისი გაძლიერებისა და შესუსტების დრო და მიზეზები.

ბ) მოსწავლეთა დამოუკიდებელი სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობა გაკვეთილზე.

გ) კლასის კოლექტივისა და ცალკეულ მოსწავლეთა დისციპლინა და ყოფა-ქცევა გაკვეთილზე. იყო თუ არა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მათი გამომწვეები მიზეზები და მასწავლებლის რეაქცია მათზე.

### ***მასწავლებელი გაკვეთილზე:***

ა) მასწავლებლის მუშაობის სტილი გაკვეთილზე და პედაგოგიური ტექნიკა.

ბ) პედაგოგიური დახელოვნების დონე და მახასიათებლები: ხალისი, გაკვეთილის წარმართვის ტემპი, მომთხოვნელობა, ყურადღებებიანობა, მეტყველების კულტურა, ტონი, დიქცია, მიმიკა, პოზა, მოძრაობა და ადგილი კლასში გაკვეთილის სხვადასხვა მომენტში.

გ) როგორ ფლობს კლასს გაკვეთილზე: მოსწავლეთა აქტივობის ამაღლების, საქმიანი და ხალისიანი აგმოსფეროს შექმნის, ინტერესის აღძვრა-გაღვივების, ყურადღების მობილიზების, დისციპლინის დამყარებისა და კოლექტივის ორგანიზაციის უნარ-ჩვევები, მეთოდები და ხერხები.

დ) მასწავლებლის გარეგნული იერსახე: მოხდენილობა ჩაცმულობასა და ვარცხნილობაში, მოძრაობასა და ექსტ-მიმიკაში, ლოგიკური აზროვნებისა და მეტყველების უნარი, ხატოვნება და მისაწვდომობა.

### ***5. გაკვეთილის შედეგები, დასკვნები და დამკვირვებლის შეფასებანი***

ა) მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულება, გაკვეთილის მომენტების დაცვა და მიზნის მიღწევა.

ბ) მოსწავლეთა მიერ გაკვეთილზე შექმნილი ცოდნისა და გამოუმუშავებული უნარ-ჩვევების მოცულობა, შეთვისების ხარისხი, დონე და სიღრმე.

გ) გაკვეთილის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

დ) გაკვეთილის დადებითი მხარეები, მათი შეფასება.

ე) გაკვეთილის უარყოფითი მხარეები, მათი გამომწვევი მიზეზები და გამოსწორების საშუალებანი.

ვ) კონკრეტული მოსაზრებანი, წინადადებანი, დასკვნები და რეკომენდაციები დადებითი მხარეების პრაქტიკაში გამოყენებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

რასაკვირველია, გაკვეთილის ანალიზის ეს საორიენტაციო სქემა დოგმა არაა, მითუმეტეს, მას შეიძლება გარკვეული შეფერილობა და შინაარსობრივი განსხვავებულობა ახასიათებდეს სასწავლო დისციპლინის, გაკვეთილის მასალის, გაკვეთილის ტიპის, მისი მიზნისა და ამოცანების თავისებურებათა და სპეციფიკის მიხედვით. ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ გაკვეთილის ანალიზის ასეთი შინაარსი სხვადასხვაგვარი დონისა იქნება იმის მიხედვით, თუ რომელი კურსის სტუდენტს ეკუთვნის იგი.

ვფიქრობთ, გაკვეთილის ანალიზის აქ მოგანილი საორიენტაციო ნიმუში გარკვეულწილად გამოადგებათ სტუდენტებს პედაგოგიკაში საკურსო სამუშაოთა შესრულებისას იმ შემთხვევაში თუ იგი დაკავშირებულია საამისოდ პრაქტიკული ნაწილის შესრულებასთან.

მთავარი აქ მაინც ისაა, რომ ანალიზის ამ ნიმუშის გაცნობიერება დაეხმარება სტუდენტს - კარგად გაერკვეს სწავლების უპირითადესი ფორმის - გაკვეთილის არსში და მისი ჩატარების საკვანძო საკითხებში.

## § 5 მასწავლებლის მომზადება

### ბ ა კ ვ ე თ ი ლ ის ა თ ვ ი ს

ყოველი გაკვეთილის მაღალხარისხოვნად ჩატარება, მისი ეფექტურობა, მისდამი წაყენებული ძირითადი მოთხოვნების რეალიზაცია პირველ რიგში და უმთავრესად დამოკიდებულია მასწავლებლის თითოეული გაკვეთილისათვის საფუძვლიან მომზადებაზე. ეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება:

1. გაკვეთილის შინაარსის გაცნობიერება, მისთვის საჭირო მასალების შესწავლა-დამუშავება.

2. გაკვეთილისათვის საჭირო ყველა თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალისა და ტექნიკურ საშუალებათა შერჩევა-მომზადება.

3. გაკვეთილის გეგმის შემუშავება-შედგენა.

გაკვეთილისათვის მომზადება მასწავლებლისაგან მოითხოვს შემდეგი სამუშაოების შესრულებას:

ა) სასწავლო პროგრამის საფუძვლიანი ცოდნის საფუძველზე მასწავლებელი ასევე საფუძვლიანად ეცნობა და სწავლობს ამ კონკრეტული გაკვეთილის მასალას სახელმძღვანელოდან, ძირითადი წყაროებიდან, დამხმარე და საცნობარო ლიტერატურიდან, ეცნობა შესაბამის მასალას ფილოსოფიურ, მეთოდოლოგიურსა და მხატვრულ ლიტერატურაში.

ბ) მზადების პროცესში მასწავლებელი განსამზღვრავს გაკვეთილის მთელ შინაარსს, მიზნებს, ამოცანებს, მეთოდებს, სასწავლო-მეცნიერებითი მუშაობის სახეებს, დაადგენს გაკვეთილის სტრუქტურას გაკვეთილის ტიპის, მასალის, სასწავლო დისციპლინის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მოიფიქრებს გაკვეთილის ყველა მომენტს, შეარჩევს შესაბამის თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს და შეიმუშავებს გაკვეთილის გეგმას.

გაკვეთილის გეგმა შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმის, მაგრამ მასში აუცილებლად გასათვალისწინებელია:

- კლასი, ჩატარების თარიღი, სასწავლო საგანი და გაკვეთილის რიგითი ნომერი თემატურ-კალენდარული გეგმის მიხედვით;

- გაკვეთილის თემა, განათლების, აღზრდისა და განვითარების ამოცანები, რომელთა რეალიზაციაც ხდება ამ გაკვეთილზე.

- გაკვეთილის სტრუქტურა მისი ელემენტების თანამიმდევრობის მიხედვით და გაკვეთილის მომენტებს შორის დროის სავარაუდო განაწილებით;

- სასწავლო მასალის (წინა და ახალი) შინაარსი, სასწავლო დაეალებებისა და სავარჯიშოების სახეობა და ხასიათი, სასწავლო მოწყობილობა, თვალსაჩინოება და სწავლების ტექნიკური საშუალებანი;



- საშინაო დაეალების შინაარსი, მოცულობა და მისი შესრულების საშუალებები.

მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება გაკვეთილის გეგმის საინტერესო სხვა ვარიანტიც, რომელიც შემუშავებულია გაკვეთილის დიდაქტიკური სტრუქტურის, მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული და ფსიქოლოგიურ-ლოგიკური ქვესტრუქტურების შესაბამისად და შეიცავს 5 განყოფილებას:

### 1. შესაბამელი

- კლასი, ჩატარების თარიღი, საგანი, გაკვეთილის ნომერი,
- გაკვეთილის თემა,
- გაკვეთილის მიზანი და ამოცანები,
- გაკვეთილის ტიპი,
- გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი მეთოდები,
- თვალსაჩინოება და ტექნიკური საშუალებანი.

### 2. აქტუალიზაცია

- საყრდენი მეცადინეობანი განვლილი მასალიდან,
- დამოუკიდებელი სამუშაოები ცოდნის კელაეწარმოების მიზნით,
- მოტივაციის ფორმირების საშუალებები,
- საშინაო დაეალების შემოწმებისა და ცოდნის კონტროლის ფორმები.

### 3. ფორმირება

- შესასწავლი ახალი ცნებები,
- ახალ მასალასთან დაკავშირებული შემეცნებითი ამოცანები,
- დამოუკიდებელ სამუშაოთა შინაარსი,
- პრობლემურ-განმავითარებელი და საინფორმაციო კითხვები,
- გაკვეთილის ძირითადი და დამატებითი პრობლემები.

### 4. გამოყენება

- უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს გაკვეთილზე,

- ახალ მასალასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი სამუშაოები,

- ათვისების კონტროლი და შემოწმება.

#### 5. საშინაო ღვაწლის შინაარსი

- საშინაო დავალება, მისი შინაარსი და მოცულობა,

- მოკლე ინსტრუქტაჟი მისი გადაწყვეტისა და შესრულების გზებსა და საშუალებებზე, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დასახელება.

§ 6 სწავლების ორგანიზაციის მართალია, გაკვეთილი წარ-  
არასაბაკვეთილო ფორმები მოადგენს სკოლაში სასწავ-  
ლო-აღმზრდელობითი მუშა-  
ობის ძირითად, შეიძლება ითქვას, ცენტრალურ ფორმას, მაგრამ  
სწავლების ყველა ფუნქციის მიზნისა თუ მისდამი წაყენებული  
ყველა მოთხოვნის სრული რეალიზაცია შეუძლებელია მხოლოდ  
გაკვეთილზე და გაკვეთილის მეშვეობით. ამიტომ არსებობს სწავ-  
ლების პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის სხვა ფორმებიც,  
რომლებიც ავსებენ და ამრავალფეროვნებენ, მაღალეფექტურობას  
ანიჭებენ სასწავლო-მეშვენილობით საქმიანობას. ქვემოთ მოგადად  
განვიხილათ მათ.

*სასწავლო ექსკურსიები.* სიტყვა „ექსკურსია“ (Exkursio)  
ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს რომელიმე ადგილზე ან  
ობიექტზე მისვლას მისი შესწავლის მიზნით. ამ თვალსაზრისით  
ექსკურსიის ცნების ქვეშ იგულისხმება სწავლების ორგანიზაციის  
ისეთი ფორმა, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები აღიქვამენ და  
შეითვისებენ ცოდნას შესასწავლი ობიექტის (ბუნების, ქარხნის,  
მეურნეობის, ისტორიული ძეგლის) განლაგების ადგილზე მისეული-  
თა და მისი უშუალო გაცნობის გზით (10, 274).

ექსკურსიის მეშვეობით ხდება სწავლების თვალსაჩინოების  
პრინციპის რეალიზაცია, სწავლების მეცნიერულობის ამაღლება  
და მისი ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცება.

ექსკურსიები ხელს უწყობენ მოსწავლეთა პოლიტექნიკურ განათლებას, აცნობს მათ კულტურის, ისტორიის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, არქიტექტურის, ხელოვნების, ბუნებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა უმნიშვნელოვანეს ობიექტებს და უდიდეს როლს თამაშობენ მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაში. ექსკურსიათა სახეებია:

- საწარმოო ექსკურსიები,
- საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული ექსკურსიები,
- ისტორიულ-ლიტერატურული და ხელოვნების დარგები-სადში მიძღვნილი ექსკურსიები,
- სამხარეობათმცოდნეობო ექსკურსიები.

იმის მიხედვით, თუ რომელი დიდაქტიკური ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება ექსკურსია, იგი შეიძლება იყოს ორი ტიპისა:

ა) პირველი მათგანი ემსახურება ახალი სასწავლო მასალის ვაყნობიერებას, სიღრმისეულ გაგებას.

ბ) მეორე ტიპის ექსკურსიები ემსახურება უკვე შესწავლილი მასალის განმტკიცებასა და გაღრმავება-გაფართოებას.

ექსკურსიათა ჩატარების მეთოდიკა მოიცავს:

- ექსკურსიის მომზადებას,
- თვით მის ჩატარებას,
- ექსკურსიის მასალების დამუშავებასა და შედეგების განხილვა-შეჯამებას.

**ფაკულტატური მეცადინეობანი.** ფაკულტატური მეცადინეობანი, როგორც სწავლების ფორმა, შემოღებულ იქნა 60-იანი წლების დასასრულს და 70-იანი წლების დასაწყისში. ეს სახელწოდება მოდის ლათინური სიტყვიდან და ნიშნავს შესაძლებელს, არასაეაღდებულოს, შესარჩევს. ფაკულტატური მეცადინეობანი ტარდება მოსწავლეთა არჩევით, ნება-ყოფლობის საფუძველზე, საეაღდებულო სასწავლო დისციპლინებში მეცადინეობის პარალელურად ფაკულტატურ მეცადინეობათა მეშვეობით სკოლამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- დააკმაყოფილოს მოსწავლეთა მოთხოვნილებანი ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინის უფრო გაღრმავებული შესწავლის მიზნით.

- განავითაროს მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი ინტერესები, შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ნიჭი.

ფაკულტატურ მეცადინეობათა სპეციფიკურობა გამოჩინარეობს მისი შინაარსიდან. შინაარსი კი შეიძლება იყოს მთელი სასწავლო დისციპლინის პროგრამული მასალა, მისი რომელიმე ნაწილი ან ცალკეული საკვანძო საკითხი, აგრეთვე ისეთი ახალი თემისა თუ პრობლემის შესწავლა, რომელიც გამოდის პროგრამის ჩარჩოებიდან. ფაკულტატივი შეიძლება ჩატარდეს როგორც ჩვეულებრივი გაკვეთილის, ექსკურსიის, სემინარის, დისკუსიისა და სხვა სახით.

სწავლების ორგანიზაციის ფორმათა საკმაოდ დიდ ჯგუფს წარმოადგენს *კლასგარეშე სასწავლო მუშაობის ფორმები*.

საკლასო მეცადინეობანი, როგორც წესი, გარდება მოსწავლეთა მუდმივ შემადგენლობასთან, წინასწარვე განსაზღვრული განრიგით და აქეთ სავალდებულო ხასიათი. ამასთანავე სასწავლო დაწესებულებებში გამოიყენება სასწავლო მუშაობის ისეთი ფორმებიც, რომლებიც ნებაყოფლობითია და მოწოდებულია დააკმაყოფილონ მოსწავლეთა სხვადასხვა შემეცნებითი და შემოქმედებითი მოთხოვნილებანი. ამ ფორმებს კლასგარეშე ან არასაგაკვეთილო ფორმებს უწოდებენ. სიტყვა „კლასგარეშე“ მიუთითებს იმაზე, რომ მათი ჩატარება არ მოითხოვს კლასის მთელს შემადგენლობას, რომ მათში სურვილის მიხედვით მონაწილეობენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, რომ ეს მეცადინეობანი გარდება განრიგის გარეშე.

*საგნობრივი წრეები*. სკოლაში კარგად დაყენებული სასწავლო მუშაობის შედეგად თითქმის ყველა საგანში აღმოჩნდებიან მოსწავლეები, რომელთაც სურთ გაიფართოონ და გაამდიდრონ თავიანთი ცოდნა, მიისწრაფიან ტექნიკური შემოქმედებისა და კვლევითი მუშაობისაკენ. ეს განაპირობებს საგნობრივი წრეების ორგანიზაციას სკოლაში. წრეები ყალიბდება პარალელური და მომიჯნავე (მე-5-6, 7-8 და ა.შ.) კლასების მიხედვით და მათ ხელმძღვანელობენ შესაბამისი საგნების მასწავლებლები. წრეობრივი მუშაობის შინაარსი მოიცავს: პროგრამული მასალის იმ ცალკეული საკითხების გაღრმავებულ შესწავლას, რომლებიც მოსწავლეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს;

გამოჩენილ მეცნიერთა, მწერლებისა და კულტურის მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობას; მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გაცნობას; ცალკეული მოღვაწეებისადმი მიძღვნილი დილა-საღამოებისა და სხვა ღონისძიებათა მომზადება-ჩატარებას; საცდელი, კვლევითი და ტექნიკური მოდელირების სამუშაოთა ორგანიზაციას; მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან შეხვედრების მოწყობას და ა.შ.

*მეცნიერული საზოგადოებანი.* ბოლო წლებში სკოლებში ფართოდ გაერცეულა კლასგარეშე სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ისეთი ფორმები, როგორცაა სასწავლო-მეცნიერული საზოგადოებანი, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა სახის წრეებს, კოორდინაციას უწევენ მათ მუშაობას, აწყობენ შეხვედრებს, დილა-საღამოებს, ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა საცდელ, კვლევითსა და შემოქმედებით-ძიებით მუშაობას.

*ოლიმპიადები, კონკურსები, გამოფენები* როგორც სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ფორმები ორი ძირითადი მიზნის გადაწყვეტას ემსახურება:

- *სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირება და მათი შემოქმედებითი შეჯიბრის განვითარება მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის საქმეში.*

- *სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის შედეგების თეალ-საჩინო შეჯამება და მოსწავლეთა წარმატების საჯარო დემონსტრირება-პროპაგანდა.*

ეს ფორმები ამავე დროს მასწავლებელთა პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასებაცაა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გაერცელებასაც უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში გამიზნულია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ამაღლებისათვის.



- § 4. განათლების შინაარსის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტები და მასალები: 76
- § 5. განათლების შინაარსი ეროვნული განათლების სისტემის საბაზისო, საშუალო და უმაღლესი განათლების საფეხურებზე, მათი სასწავლო დაწესებულებანი. 79

#### თავი 4 სწავლების მეთოდები და საშუალებანი

- § 1. „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა“ განათლების სისტემის მეცნიერული და მეთოდური უზრუნველყოფის შესახებ. 92
- § 2. სწავლების მეთოდის მოგადი ცნება. 96
- § 3. სწავლების მეთოდთა მრავალფეროვნება და მათი კლასიფიკაციის პრობლემები. 103
- § 4. სწავლების მეთოდთა გრადიციული კლასიფიკაცია. 105
- § 5. მეთოდთა კლასიფიკაცია უახლეს პედაგოგიკურ ლიტერატურაში. 109
- § 6. სწავლების ძირითადი საშუალებანი. 115

#### თავი 5. სწავლების ორგანიზაციის ფორმები.

- § 1. სწავლების ორგანიზაციის ფორმის ცნება. 119
- § 2. გაკვეთილი - სწავლების პედაგოგიკური პროცესის ძირითადი ფორმა. 124
- § 3. გაკვეთილის თანამედროვე გიოლოგია. 128
- § 4. გაკვეთილის სტრუქტურა, მისი მრავალფეროვნება და ვარიანტულობა მიზნის, თემის შინაარსისა და სწავლების პროცესში. 137
- § 5. მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის. 147
- § 6. სწავლების ორგანიზაციის არასაგაკვეთილო ფორმები. 150

რედაქტორი  
მხატვრ. რედაქტორი  
ტექნ. რედაქტორი  
კორექტორი  
ოპერატორი  
დამკაბადონებელი

გულნარა ფაღავა  
გურამ გუჯაბიძე  
რობერტ ლომაძე  
ხათუნა თავდგირიძე  
რუსუდან მეგრელიშვილი  
მაია მესხიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.06.98

ქალაქის ზომა 60x84 1/16

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,8

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,1

პირობითი საღებავგატარება 9,2

ფიზიკური თაბახი 9,75

ტირაჟი 500

შეკვ. № 30

### სახელშეკრულებო ფასი

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24

ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“ პოლიგრაფიული ცენტრი, ბათუმი, კოსტავას, 5